განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული 1

წინასაანბანო

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი



ა ი ი ა

თამარ ჯაყელი, თამარ მახარაძე,
ვერიკო სომხიშვილი, ნანა ბურძენიძე

ქართული 1

წინასაანბანო

მასწავლებლის წიგნი

პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული
I კლასი, I ნაწილი
წინასაანბანო
მასწავლებლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორი:
თამარ მახარაძე
თანაავტორები:
ვერიკო სომხიშვილი
ნანა ბურძენიძე

ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი: თამარ ჯაყელი

სამეცნიერო რეცენზენტი: ნათია ფუტკარაძე
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: ია აფთარაშვილი
რედაქტორი: მარინე ხუციშვილი
ილუსტრატორი: მაია ბათუმაშვილი
დამკაბადონებელი: მზია ლეკვეიშვილი
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

სახელმძღვანელო შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

გამოყენებულია ზურაბ ვახანიას მასალა მონოგრაფიიდან „ქართული ენის შემოქმედებითი სწავლება პირველ კლასში“, თბილისი, „ქორბუდა“, 2023

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი – I და II ნაწილი;
მოსწავლის რვეული – I და II ნაწილი;
მასწავლებლის წიგნი – I და II ნაწილი.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8904-2

სარჩევი

შესავალი **5**

შესავალი – წინასაანბანო პერიოდი **8**

თემა: სოფელსა და ქალაქში **13**

თავი 1. „დილა არის მშვენიერი" **13**

მტევანი 1.1. 15

მტევანი 1.2. 19

მტევანი 2.1. 22

მტევანი 2.2. 29

მტევანი 3.1. 33

მტევანი 3.2. 40

მტევანი 3.3. 44

მტევანი 3.4. 48

მტევანი 3.5. 53

თავი 2. ქალაქის უცნაური სტუმრები **56**

მტევანი 1 58

მტევანი 2 65

მტევანი 3 77

მტევანი 4 86

მტევანი 5 93

მტევანი 6 103

თავი 3. ყველაფერი თავიდან **105**

მტევანი 1 107

მტევანი 2 116

მტევანი 3 124

მტევანი 4 134

შეფასების სქემები წინასაანბანო პერიოდისთვის **135**

დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები **144**

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელოს მეთოდიკა ემყარება იაკობ გოგებაშვილისეულ ხედვას, აგრეთვე დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიასა და ბავშვის ფსიქოლოგიას (დაწვრილებითი განმარტებები იხ. დანართში „I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს მეთოდიკური საფუძვლები“).

რა არის უმთავრესი გოგებაშვილისეულ ხედვაში?

გამოვკვეთთ ორ უმთავრეს წახნაგს:

✔ პირველი ეხება მშობლიურ ენის სწავლა-სწავლების მნიშვნელოვნებას. *იაკობ გოგებაშვილს,* ისევე როგორც ყველა დიდ ქართველ ჰუმანისტს, შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ქართულ ენა ეროვნული თვითმყოფადობის საძირკველია: *„თუ ენა უკან მიდის და ღატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება“ (თხზულებათა ათტომეული, ტ. III, 246).* ისიც შესანიშნავად ესმოდა, რომ ბავშვის ენობრივი უნარების მშობლიურ ენაზე გაფურჩქვნა აზროვნებისა და პიროვნული განვითარების საწინდარია: *„დედა-ენა იმითია კაცისთვის ძვირფასი, რომ ღრმად იდგამს ფესვებს მის ბუნებაში, ძლიერ შველის და ეწევა აზროვნებასა და გრძნობიარობის სიღრმავესა“ (გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეული, II, 217).*

იაკობ გოგებაშვილი მშობლიურ ენას ეროვნული თვითმყოფადობისა და პიროვნული განვითარების მთავარ საყრდენად რომ მიიჩნევს, ეს კარგად ჩანს მის ერთერთ ფასდაუდებელ გამონათქვამში:

„დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა“ (ტ. II, 208). როგორ შესანიშნავად არის ნათქვამი: დედაენა, ერთი მხრივ, სალაროა ერის სულიერი სიმდიდრისა, მეორე მხრივ – „დაუსრულებელი რვეული“, რომელიც მომდევნო თაობებმა უნდა შეავსონ.

სწორედ ამ „დაუსრულებელი რვეულის“ გამგრძელებელი თაობის აღზრდის სურვილით ანთებული იაკობ გოგებაშვილი გასაოცარი ძალისხმევით იღვწოდა, რათა მოზარდი თაობა ზიარებოდა მშობლიური ენის – „გულისა და სულის ენის“ – მადლსა და ძალას.

✔ გოგებაშვილისეული ხედვის მეორე მნიშვნელოვანი წახნაგია მისი პედაგოგიკური მრწამსი. იგი განსაცვიფრებელი პედაგოგიკური ალღოთი ჩასწვდა იმ ჭეშმარტებას, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ბავშვის განვითარებისთვის – ესაა „განმაცხოველებელი სიხარული“: *„სკოლა მოკლებულია განმაცხოველებელ სიხარულს, რომელიც ბავშვის ბუნებისთვის იმისთანავე საჭირო სტიქიაა, როგორიც წყალი თევზისთვის“,* – ესაა ქვაკუთხედი წარმატებული პედაგოგიკისა.

რით და როგორ აისახა გოგებაშვილისეული ხედვა „დედაენასა“ და „ბუნების კარში“?

✔ ერთი მხრივ, შეიქმნა ბავშვისთვის მისაწვდომი, ბუნებრივი, კონკრეტული, ხალასი, თბილი, თვალსაჩინო შინაარსით დაწერილი მრავალფეროვანი ტექსტები ბუნებაზე, ზნეობაზე, ეთნოგრაფიასა თუ ისტორიაზე. ეს ტექსტები, სამეცნიერო აბსტრაქციებისგან დაცლილი, ეხმიანება ბავშვის ბუნებრივ სულიერ სამყაროს, არ ამსხვრევს მის ზღაპრისეულ წარმოდგენებს, ასაზრდოებს სასკოლო ასაკის ბავშვის წარმოსახვას, ინტუიციურ აზროვნებას, შემოქმედებით უნარებს და აზიარებს ქართული ენის ძალასა და სიმდიდრეს, რითაც საძირკველს უყრის ბავშვის ცნობიერებაში სამყაროს ქართულენოვან აგებას.

✔ მეორე მხრივ, შემუშავდა კითხვა-წერის სწავლების ქართულენოვანი მეთოდიკა. აღსანიშნავია, რომ გოგებაშვილმა თავდაპირველად შეარჩია კითხვის სწავლების ანალიზური მეთოდი, თუმცა შემდგომში, რესურსების არქონისა და მასწავლებელთა მოუმზადებლობის გამო, ის ანალიზურ-სინთეზურით შეცვალა. ამ მეთოდის არჩევანი პირდაპირ უკავშირდება მის პედაგოგიკურ მრწამსს, რასაც ცხადყოფს მისივე გამონათქვამები. აი, რას წერს იგი ანალიზურ მეთოდზე: „ *...ყმაწვილი... წახალისდება. ერთი სიტყვა აღძრავს მასში მთელ სხვა სიტყვებს, სხვა საგნების მოგონებებს... მაშინვე იგრძნობს, რომ ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლას შუა კავშირი არსებობს და რადგანაც ყოველს ყმაწვილს ბუნება და ცხოვრება უყვარს, სწავლაზედაც წახალისდება".* შევადაროთ, რას წერდა იგი კითხვის სინთეზურ მეთოდზე: *„პირველი და უმთავრესი ნაკლულოვანება ამ მეთოდისა მდგომარეობს იმაში, რომ ანბანი იწყების ასოებიდგან. ასოები კი ცალ-ცალკე არა საგანს არ აჩვენებენ, არა ჰაზრსა არ ხატავენ. ამიტომ სწავლის დაწყება ასოებიდგან ყმაწვილისთვის არის მავნებელი*".

იაკობ გოგებაშვილმა მასწავლებელთათვის განკუთვნილ „დარიგებაში" ლაკონიურად შეაჯამა „დედაენის" საგანმანათლებლო მიზნები: *„ამ წიგნმა მოსწავლეს უნდა მიაღწევინოს სამ მიზნამდის: უნდა გამართოს კითხვაში, გონება გაუღვიძოს და შეასწავლოს თავისი სამშობლო ენა, ე.ი. მეტყველი გახადოს."*

რით, როგორ აისახა გოგებაშვილისეული ხედვა წინამდებარე სახელმძღვანელოში?

ამ ხედვას ასახავს ის ძირითადი 7 მიმართულება, რომლებიც გასდევს წინამდებარე სახელმძღვანელოს წინასაანბანო, საანბანო და ანბანისშემდგომ პერიოდებს.

ამ შვიდი მიმართულებიდან სამი ეხმიანება გოგებაშვილისეულ მეორე და მესამე მიზნებს: „გონება გაუღვიძოს და შეასწავლოს თავისი სამშობლო ენა, ე.ი. მეტყველი გახადოს".

ეს მიმართულებებია:

1. სხვადასხვა ჟანრის ტექსტების (მოთხრობების, ლექსების, ზღაპრების) მოსმენა, შინაარსობრივი და ლექსიკური დამუშავება;

2. წინადადების შედგენასა და გავრცობაზე მუშაობა;

3. სურათის აღწერა.

ეს სამი მიმართულება იწყება წინაასაანბანო პერიოდიდანვე და გრძელდება საანბანო და ანბანისშემდგომ პერიოდებშიც. ისინი ითვალისწინებს ზეპირმეტყველების განვითარებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, წარმოსახვის უნარის, შემოქმედებითობისა და ცნებითი აზროვნების წინაპირობათა განვითარებას (*ამ მიმართულებათა დაწვრილებითი აღწერა იხ. აქვე – წინასაანბანო პერიოდის შესავალი).*

მომდევნო ოთხი მიმართულება ეხმიანება გოგებაშვილისეულ პირველ მიზანს: მოსწავლე **„უნდა გამართოს კითხვაში"** *(დაწვრილებით იხ. აქვე, წინასაანბანო პერიოდის და საანბანო პერიოდის შესავლები):*

წინასაანბანო პერიოდში სახელმძღვანელო გთავაზობთ კითხვა-წერის შემამზადებელ შემდეგ მიმართულებებს:

1. ტექსტის აგებულებაზე მუშაობა ანალიზური ანუ დაღმავალი მეთოდიკით (მოსმენილი და დაბეჭდილი ტექსტი → აბზაცი → სტრიქონი/წინადადება → სიტყვა).

2. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა.

3. ფონოლოგიური უნარების განვითარება, რაც უზრუნველყოფილია თანმიმდევრული ფონოლოგიური სავარჯიშოების სისტემით (ანალიზი და სინთეზი დაახლოებით თანაბრად, ოღონდ მხოლოდ ბგერებით). ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ იაკობ გოგებაშვილის საგულისხმო რეკომენდაცია, რომელიც აქამდე ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი: *„საგნის სახელი უნდა შეისწავლონ ჯერ ხმების მხრივ, მერმე ასოების მხრივ“.*

საანბანო პერიოდი კი კითხვა-წერის სწავლებას ეთმობა ანალიზურ-სინთეზური ანუ დაღმავალ-აღმავალი მეთოდიკის შესატყვისი სავარჯიშოების სისტემით.

ამასთან, სახელმძღვანელოს მეთოდიკა დაბალანსებულია: ანალიზისა და სინთეზის აქტივობები, აგრეთვე, ფონოლოგიისა და კითხვა-წერის აქტივობები გაწონასწორებულია; შეთავაზებულია საკლასო აქტივობათა დიდი მრავალფეროვნება და რეკომენდაციები დიფერენცირებული სწავლების პრინციპების განსახორციელებლად.

კითხვა-წერის სწავლების ორი არჩევანი

სახელმძღვანელო მასწავლებლებს სთავაზობთ კითხვა-წერის ორ განსხვავებულ მიდგომას:

I. **კითხვისა და წერის სწავლების ერთდროულად დაწყება** – წინასაანაბანო პერიოდში იწყება წერის შემამზადებელი აქტივობები, ხოლო საანბანო პერიოდში – წერა.

II. **კითხვისა და წერის სწავლების გამიჯვნა** – წერა იწყება გვიან, საანბანო პერიოდის დასრულების შემდეგ. ეს მიდგომა არც ისე გავრცელებულია, თუმცა მისი შედეგიანობა მრავალწლიანმა პრაქტიკამ დაადასტურა. (დაწვრილებით იხ. დანართში)

მოსწავლის წიგნი და მოსწავლის რვეული ორივე მიდგომისთვის ერთი და იგივეა, მასწავლებლის წიგნები კი – სხვადასხვა.

წინამდებარე დაბეჭდილი მასწავლებლის წიგნი კითხვა-წერის ერთდროულად სწავლებას სთავაზობს მასწავლებელს.

კითხვა-წერის გამიჯნული მიდგომა კი მასწავლებლის ელექტრონულ წიგნშია წარმოდგენილი, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული (იქვე, სადაც სხვა საგნების მასწავლებელთა წიგნებია).

წინასაანბანო პერიოდი

შესავალი

მთელი წინასაანბანო პერიოდის განმავლობაში საჭიროა მუშაობა მრავალი მიმართულებით, რათა უზრუნველვყოთ მოსწავლეთა სრული მზაობა საანბანო და ანბანისშემდგომი პერიოდისთვის. ამ მიმართულებებს განსაზღვრავს სტანდარტის სამიზნე ცნებები.

სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, გამოვკვეთეთ 7 მიმართულება, რომლებიც გასდევს მთელ წინასაანბანო პერიოდს.

სახელმძღვანელო ისეა აგებული, რომ ერთ გაკვეთილზე რამდენიმე განსხვავებული მიმართულება დამუშავდება. ეს აუცილებელია იმისთვის, რათა პროცესი არ იყოს მოსწავლისთვის მოსაბეზრებელი – ამ ასაკის ბავშვებს არ შეუძლიათ ერთ აქტივობაზე ყურადღების დიდხანს შეჩერება.

ეს მიმართულებებია:

I. სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა, ლექსიკური და შინაარსობრივი დამუშავება *(სამიზნე ცნება „ტექსტი“ – ტექსტის შინაარსი, სამიზნე ცნება „სიტყვა“)*

პირველი მიმართულება რამდენიმე საფეხურად დამუშავდება სხვადასხვა ტიპის აქტივობის გამოყენებით. ეს აქტივობები საფეხურებრივად განაწილდება სხვადასხვა გაკვეთილზე. ძირითადი საფეხურებია:

ლექსიკური შემზადება უცნობი ტექსტის მოსასმენად და გასაგებად, ვარაუდების გამოთქმა ილუსტრაციაზე დაყრდნობით;

მასწავლებლის მიერ წაკითხული ტექსტის პირველი მოსმენა *(მნიშვნელოვანია ტექსტის წაკითხვა გამოთქმით, მხატვრულად);*

მოსმენილი ტექსტის შინაარსის განხილვა შეკითხვებით, ნაკლებადცნობილი სიტყვების ახსნა;

შინაარსის განმტკიცება, გაღრმავება, შედარება (სხვა ნასწავლ ტექტსებთან);

როლური გათამაშება (თუ ბუნებრივად ხერხდება) – ძალიან კარგია ზღაპრის გათამაშების მომზადება საკლასო ან სასკოლო ღონისძიებისთვის.

ანბანისშემდგომ პერიოდში მოსწავლე უკვე თავად წაიკითხავს იმ ზღაპარს, რომელიც წინასაანბანო პერიოდში მოსმენილი, გააზრებული და გათამაშებული აქვს.

II. ნაბეჭდი ტექსტის აგებულებაზე მუშაობა *(სამიზნე ცნება „ტექსტი“– ტექსტის აგებულება);*

მოსწავლეებისათვის ტექსტი თავდაპირველად გაუგებარი „იეროგლიფების“ გაუნაწევრებელი გროვაა. თანდათან ხდება ამ ბუნდოვანი და მოუწესრიგებელი მთლიანობის მოწესრიგება და განაწევრება: ჯერ აბზაცებად, შემდეგ – სტრიქონებად, ბოლოს – სიტყვებად (რომლებსაც მოსწავლეები ჯერ ვერ კითხულობენ).

მოსწავლისთვის ძალიან საინტერესოა ბუნებრივი ძიებისა და შემეცნების ეს გზა – დიდ ტექსტებში თანდათან სულ უფრო და უფრო მეტი რამ ხდება გამოკვეთილი და გასაგები – ეს პროცესი მოსწავლეს დაეხმარება, რომ დაძლიოს დიდ ტექსტებთან დაკავშირებული შიში (რაც ზრდასრულებშიც ხშირია) და მეტ თავდაჯერებულობას შესძენს მას.

ნაბეჭდი ტექსტის აგებულებაზე მუშაობაც საფეხურებრივად წარიმართება. სხვადასხვა აქტივობის (მაგ., ჩვენება, შემოხაზვა) გამოყენებით მოსწავლის ყურადღებას ეტაპობრივად მივმართავთ შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებზე:

- ტექსტი, სათაური
- აბზაცი
- სტრიქონი
- სიტყვა
- წინადადება

III. წინადადების შედგენასა და გავრცობაზე მუშაობა *(სამიზნე ცნება „ტექსტი“– სამეტყველო ქმედება)*

დაწყებით კლასებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველების განვითარებაზე მუშაობა, რადგან განვითარებული მეტყველება განვითარებული აზროვნების საფუძველია. რაც უფრო მდიდარია ადამიანის ლექსიკა, მით უფრო „მდიდარია“ მისი ცნობიერება. სწორედ ამიტომ დაწყებით კლასებში (და შემდგომაც) ძალიან მნიშვნელოვანია მშობლიური ენის ლექსიკის შესწავლა და ამ ლექსიკის გამოყენებით ვრცელი, მრავალფეროვანი წინადადებების შედგენა. ყოველივე ამას კი საფუძველი პირველი კლასის წინასაანბანო პერიოდში ეყრება, ამიტომ ამ პერიოდში ლექსიკური ერთეულების ათვისებასა და ვრცელი, გამართული წინადადებების აგებაზე მუშაობა ყოველდღიური სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

დაწყებით კლასებში ლექსიკაზე მუშაობისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: ამ ასაკის მოსწავლეებისთვის ბუნებრივად და ადვილად მისაწვდომია მხოლოდ თვალსაჩინო – **კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვები**.

ასეთი სიტყვები ორგვარია:

- სიტყვები, რომლებიც შეიძლება წარმოვადგინოთ თვალსაჩინო ხატებით (სურათით, სქემატური ნახატით, ან მოქმედების გათამაშებით, მიბაძვით);
- სიტყვები, რომლებიც შეესატყვისება ბავშვის მიერ განცდილ გრძნობებს (მაგ.: გაწბილება, სიხარული, შიში და სხვა).

ამ მიმართულებას სამი საფეხური აქვს:

- წინადადებაში პირველი/ბოლო/მეორე... სიტყვის ამოცნობა;

- წინადადებაში სიტყვების რაოდენობის ამოცნობა;
- წინადადების განვრცობა / შემოკლება.

წინასაანბანო პერიოდში ეს აქტივობა კლასში მოსმენილ წინადადებებზე ტარდება, შემდეგ კი – მოსწავლის მიერ წაკითხულ წინადადებებზე.



IV. სურათების აღწერა შეკითხვებით და შეკითხვების გარეშე *(სამიზნე ცნება „ტექსტი“– სამეტყველო ქმედება)*

აღწერა შეკითხვებით

- მასწავლებელი დაფაზე დაკიდებს სურათს და დასვამს შეკითხვებს სურათზე გამოსახული შინაარსის (კონკრეტული სიუჟეტის) შესახებ. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს. მასწავლებელი ცდილობს, რომ მოსწავლეებმა ვრცელი წინადადებები ჩამოაყალიბონ. შემდეგ ერთი მოსწავლე, რომელიც შეირჩევა მზაობის მიხედვით, მოჰყვება სურათის შინაარსს.

აღწერა შეკითხვების გარეშე

- სურათი იგივეა. ამჯერად მას მოსწავლეები აღწერენ დამხმარე შეკითხვების გარეშე, მაგრამ, თუკი გაუჭირდებათ, მასწავლებელი რამდენიმე შეკითხვას შეაშველებს. მასწავლებლის შეკითხვები მოსწავლეებს დაეხმარება წინადადების გავრცობა-გამდიდრებაში.

შინაარსის გახსენება

- მასწავლებელი აღწერილ სურათს მხოლოდ ხანმოკლე დროით გამოაჩენს. შემდეგ მოსწავლეები სურათის გარეშე იხსენებენ და ჰყვებიან მის შინაარსს. სასურველია, მოსწავლეებმა ერთმანეთის მონაყოლი შეავსონ. უნდა წარმოთქვან სრული წინადადებები; გამოიყენონ უკვე ნასწავლი ნაკლებადცნობილი სიტყვები და გამოთქმები.



V. სიტყვის ბგერით ფორმაზე მუშაობა (*სამიზნე ცნება „წარმოთქმული სიტყვა, დაწერილი სიტყვა“)*

სიტყვის ბგერით ფორმაზე მუშაობა გულისხმობს მოსმენილი სიტყვის ხმოვან ფორმაზე მუშაობას. ბავშვები ზეპირ ტექსტს აღიქვამენ, როგორც უწყვეტ სიტყვიერ ნაკადს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ წინადადებები შედგება სიტყვებისაგან, სიტყვები კი უმცირესი ერთეულებისგან, ბგერებისაგან. ამის გაცნობიერება აუცილებელია იმისთვის, რომ მოსწავლემ ანბანური პრინციპი გაიგოს – ასო ხომ ბგერის ნიშანია! გარდა ამისა, თუკი მოსწავლეს გავავარჯიშებთ სიტყვების ბგერით ფორმებზე, შემდგომში მას გაუადვილდება წაკითხული სიტყვის გამთლიანებაც და დასაწერი სიტყვის ბგერებად დაშლაც (რის გარეშეც სიტყვას ვერ დაწერს).

ასო და ბგერა. გასათვალისწინებელია, რომ ტრადიციულად გავრცელებული ტერმინი „ასო-ბგერა“ დიდ გაუგებრობას ქმნის. არცერთი საგანი არ შეიძლება იყოს ერთდროულად ასოც და ბგერაც. ბგერა არის ის, რაც გვესმის ან რასაც წარმოვთქვამთ, ასო კი არის ის, რასაც ვხედავთ ან ვწერთ. მაშასადამე, **ასო** (მეცნიერული ტერმინით

– ასონიშანი ანუ გრაფემა) სამეტყველო ბგერის (ფონემის) ჩანაწერია, აღმნიშვნელია, ნიშანია.

ხმოვანი თანხმოვანი	ვიღებთ	გავცემთ
ბგერა	სმენით	ენით, წარმოთქმით
ასო	მხედველობით	ხელით, დაწერით

ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მართებულად გამოიყენოს ეს ტერმინები: **ბგერა** მაშინ უნდა გამოიყენოს, როცა სიტყვის ხმოვან ფორმებზე ამუშავებს მოსწავლეებს, ხოლო **ასო** – მაშინ, როცა სიტყვის გრაფიკულ, დაწერილ ფორმებზე ამუშავებს მათ. ასეთი მიდგომით მოსწავლე გაიგებს, რა მიმართებებია სიტყვის ხმოვან და დაწერილ ფორმებს შორის, სახელდობრ, იმას, რომ ხმოვანი ფორმა შედგება ბგერებისგან, ხოლო დაწერილი ფორმა – ასოებისგან. ასოები კი ბგერებს აღნიშნავს, ანუ ბავშვი იგებს ანბანურ პრინციპს.

სიტყვის ბგერით ფორმაზე მუშაობა მოიცავს ორ დიდ საფეხურს:

I საფეხურზე მოსწავლეს ვთავაზობთ აქტივობებს, რომლებიც ეხმარება სიტყვების შემადგენელი **<u>ზეპირი მარცვლების (და არა ბგერების)</u>** აღქმა-გაცნობიერებაში.

მარცვლებზე სავარჯიშოები მხოლოდ სიტყვის ბუნებრივ, რიტმულ დანაწევრებას ემყარება. ჯერ მასწავლებელი აჩვენებს სიტყვის დამარცვლის ნიმუშს ტაშის რიტმით, მაგალითად: კე-დე-ლი. შემდეგ მოსწავლეებიც ასე დამარცვლავენ სიტყვებს. სიტყვები „მარცვალი“ და „დავმარცვლოთ“ მხოლოდ პრაქტიკულ დონეზეა, ანუ მოსწავლეებს არ სჭირდებათ ამ ტერმინების თეორიული ახსნა-განმარტება.

ასეთი აქტივობის ნიმუშებია:

- მოსწავლის სახელის დამარცვლა და მარცვალთა რაოდენობის დათვლა;
- დამარცვლული სიტყვის ამოცნობა და გამთლიანება;
- მარცვალთა გადანაცვლება და სხვა.

II საფეხურზე მოსწავლეებს ვთავაზობთ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია ***ბგერების*** აღქმა-გაცნობიერებაზე. ზოგი აქტივობა მოითხოვს მოსმენილი სიტყვის დაშლას ბგერებად, ზოგი – მოსმენილი ბგერების გამთლიანებას სიტყვად.

ფონოლოგიური აქტივობების ნიმუშებია:

- მითითებული ბგერით დაწყებული სიტყვების ამოცნობა ან მოფიქრება და დასახელება;
- სიტყვაში პირველი/ბოლო/მესამე... ბგერის ამოცნობა;
- სიტყვების დაშლა ბგერებად და ბგერათა რაოდენობის გარკვევა;
- ბგერის შეცვლა ისე, რომ სხვა სიტყვა მიიღო;
- ბგერის ჩამატება ისე, რომ სხვა სიტყვა მიიღო;
- ბგერებად დაშლილი სიტყვის ზეპირად გამთლიანება და სხვა.

VI. დაწერილი მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა (*სამიზნე ცნება „დაწერილი სიტყვა“)*

დაწერილი მოკლე სიტყვის (გრაფიკული ხატის) დამახსოვრება-ამოცნობა ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც მოსწავლეებს კითხვისათვის შეამზადებს – მოსწავლე მთლიანობითად იმახსოვრებს სიტყვის გრაფიკულ ხატს და ამოიცნობს მას გაშიფ-ვრის, ასოებად დაშლის გარეშე. მთელ-მთელ სიტყვათა კითხვის მეთოდით მოსწავლე განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე „აღმოაჩენს“ სიტყვის მნიშვნელობას. ასეთი „აღმოჩენები“ მას ახარებს და კითხვის პროცესს სახალისოსა და მიმზიდველს ხდის. ეს კი, თავის მხრივ, მოსწავლეს დადებით დამოკიდებულებას უყალიბებს საკითხავ აქტივობათა მიმართ. შემდგომში, ვარჯიშის შედეგად, მოსწავლე თანდათანობით გამოანაწევრებს ასოებს მთლიანი სიტყვიდან, რომელსაც თავდაპირველად დაუნაწევრებლად, მთლიანობითად აღიქვამდა.

VII. კონკრეტული, თვალსაჩინო მოქმედებისა და მეტყველების, როგორც მოქმედების, გაცნობიერება

მნიშვნელოვანია, მოსწავლემ ეტაპობრივად გააცნობიეროს:

- სხვისი ქცევა, მოქმედება (სხვისი და რეალური უფრო თვალსაჩინოა), მაგ.: რა ქნა ჩიტმა? რას შვრება გიორგი?
- საკუთარი ქცევა/მოქმედება, მაგალითად: შენ ახლა რა გააკეთე? რას აკეთებდი გუშინ საღამოს?
- მეტყველება, როგორც მოქმედება, მაგალითად:

– გიორგი, ხელი ასწიე! კარგი, ახლა ნანამ მიპასუხოს: რა ქნა გიორგიმ? {ხელი ასწია} დიახ. ახლა კი ლეომ მიპასუხოს: – რა ქნა ნანამ, სრული პასუხი! {ნანამ თქვა, გიორგიმ ხელი ასწიაო}.

- შემდეგ ასეთივე აქტივობა სურათით:

კიდია მარტივი სურათი, რომელზეც ჩანს, რომ მტრედი მიფრინავს. – გიორგი, **რას შვრება მტრედი**? {მტრედი მიფრინავს}. – კარგი. ახლა მითხრას ნინომ: ნინო, **რა ქნა გიორგიმ? {გიორგიმ თქვა,** მტრედი მიფრინავსო}.

- ზეპირად ნათქვამ წინადადებაში სიტყვების რაოდენობა.

მეთოდიკური კომენტარი:

მტრედი მიფრინავს – ეს არის კონკრეტული მოქმედება.

გიორგიმ თქვა, მტრედი მიფრინავსო – ეს არის სამეტყველო მოქმედება. აქ მოქმედება არის მეტყველება. მოქმედება ფიზიკური სივრციდან მეტყველების სიბრტყეზეა გადასული.

ამგვარი კონკრეტული შეკითხვების დასმით მოსწავლე ნელ-ნელა ისწავლის კონკრეტული, თვალსაჩინო მოქმედებისა და სამეტყველო ქმედების ერთმანეთისაგან გარჩევას.

მასწავლებელი მხოლოდ კონკრეტული შეკითხვების დასმით გაამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას ამ მნიშვნელოვან განსხვავებაზე. არ არის რეკომენდებული ზოგადი ახსნა-განმარტებები, მით უფრო ისეთი აბსტრაქტული ცნებებით, როგორებიცაა „მოქმედება“ და „მეტყველება“.

თემა 1. სოფელსა და ქალაქში

თავი 1. „დილა არის მშვენიერი"

გრძელვადიანი მიზნები
სამიზნე ცნება: ტექსტი • **სამიზნე ცნების მოცულობა:** ჟანრი, ტექსტის შინაარსი, ტექსტის ენა, ტექსტის სტრუქტურა-აგებულება, სამეტყველო ქმედება, საკომუნიკაციო სიტუაცია, არავერბალური მეტყველების საშუალებები. **სამიზნე ცნება: სიტყვა** • **სამიზნე ცნების მოცულობა:** თემატური ლექსიკა, ფუნქციური ლექსიკა, სიტყვათწარმოება, შესიტყვებები, სიტყვის ბგერითი ფორმა, სიტყვის აგებულება, სიტყვათა სემანტიკური კავშირები **სამიზნე ცნებები – წარმოთქმული სიტყვა (სიტყვის ხმოვანი ფორმა); დაწერილი სიტყვა (სიტყვის გრაფიკული ფორმა)**
შუალედური მიზნები
შუალედური მიზნები და შეფასების კრიტერიუმები **1) მოთხრობის „აი ია" მოსმენა და გაგება-გააზრება (ცნება – ტექსტის შინაარსი, ტექსტის ენა);** ***შეფასების კრიტერიუმები:*** 1.1. ტექსტში პირდაპირ მოცემული ინფორმაციის ამოცნობა; 1.2. არაპირდაპირ, მინიშნებებით მოცემული, ნაგულისხმევი ინფორმაციის ამოცნობა, მინიშნებებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა (მაგ., პერსონაჟთა შორის არსებული ურთიერთობების ამოცნობა, მოქმედებათა თანმიმდევრობის ამოცნობა, მოქმედების დროისა და ადგილის ამოცნობა); 1.3. შინაარსის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება (მაგ., ტექსტის შინაარსთან, პერსონაჟის ქცევასთან დაკავშირებით); 1.4. უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა 1-ელი კლასის დონის შესაბამისი კონტექსტური გასაღებების გამოყენებით (მაგ., უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობ-გაგება მასწავლებლის მიერ მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითის საფუძველზე). **2) სკოლის ილუსტრაციის აღწერა, მოთხრობის „აი ია" სურათებზე დაყრდნობით ამბის გადმოცემა, ვრცელი წინადადებების შედგენა; (ცნება – სამეტყველო ქმედება);** ***შეფასების კრიტერიუმები:*** 2.1. წინადადების შედგენა და განვრცობა შეკითხვების დახმარებით; 2.2. მასწავლებლის მიერ ნათქვამი ვრცელი წინადადებების წარმოთქმა/გამეორება; 2.3. ნაცნობი სიუჟეტის მქონე სურათის აღწერა შეკითხვების დახმარებით; 2.4. სურათებზე დაყრდნობით ამბის გადმოცემა ზეპირმეტყველებით. **3) მოთხრობაში „აი ია" სათაურისა და აბზაცის ამოცნობა (ცნება – ტექსტის აგებულება);**

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

3.1. ტექსტის სათაურის, მითითებული აბზაცის მოძებნა;

3.2. ტექსტში აბზაცების რაოდენობის გარკვევა და პასუხის ახსნა - დასაბუთება;

4) თემასა და შესწავლილ მოთხრობასთან დაკავშირებული ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისება (ცნება – თემატური ლექსიკა);

<u>შეფასების კრიტერიუმი</u>

4.1. ახალნასწავლი ლექსიკური ერთეულების გაგება და გამოყენება

5) თემასთან, ტექსტთან დაკავშირებული მოსასმენი სიტყვები (ცნება – წარმოთქმული სიტყვა);

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

5.1. წარმოთქმული სიტყვის მარცვლებად დაშლა, მარცვლების დათვლა ტაშით;

5.2. წარმოთქმული სიტყვის დაშლა ბგერებად (ფონოლოგიური ანალიზი), ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი);

5.3. წარმოთქმული ბგერების რაოდენობის ამოცნობა;

5.4. წარმოთქმული ბგერის ადგილმდებარეობის ამოცნობა (მერამდენე ბგერაა);

5.5. ახალი სიტყვის მიღება ბგერის დამატებით/მოკლებით/ჩანაცვლებით;

5.6. ორი წარმოთქმული სიტყვის შედარება ბგერითი შედგენილობის მიხედვით.

6) წინასაანბანო პერიოდის საყრდენი სიტყვები (ცნება – დაწერილი სიტყვა)

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

6.1. სიტყვის ხმოვანი და გრაფიკული ფორმების ურთიერთდაკავშირება;

6.2. სიტყვის გრაფიკული ფორმის ამოცნობა ნიმუშზე დაყრდნობით.

შემოქმედებითი დავალება – ფონოლოგიური გამოცანის შექმნა

- რვეულში მოცემული სურათებიდან მოსწავლეთა თითოეულმა წყვილმა უნდა შეარჩიოს ერთი სურათი;
- ამ სურათის შესაბამისი სიტყვა უნდა დაშალოს ბგერებად და სურათის ქვეშ ჩამოუსვას იმდენი ხაზი, რამდენი ბგერაცაა ამ სიტყვაში.

გამოცანის წარდგენა:

წყვილი წარადგენს გამოცანას შემდეგნაირად: დაასახელებს შერჩეული სიტყვის პირველ ბგერას და ამავე სიტყვის ბგერათა რაოდენობას. სხვა მოსწავლეებმა სურათების დახმარებით უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვაა.

დავალების შეფასების კრიტერიუმები

- ზეპირი სიტყვის დაშლა ბგერებად;
- სიტყვაში ბგერების რაოდენობის გარკვევა;
- სიტყვაში ბგერის ადგილმდებარეობის ამოცნობა.

თითოეული პარაგრაფი რამდენიმე მტევნისგან შედგება. მტევანი აღნიშნავს სხვადასხვა მიმართულებასთან (იხ. შესავალი) დაკავშირებულ აქტივობათა ნაკრებს. ერთი მტევნის აქტივობებს მასწავლებელი იმდენ გაკვეთილზე გაანაწილებს, რამდენიც დასჭირდება. სავარაუდოდ, ეს სამი-ხუთი გაკვეთილი იქნება.

§ 1. პირველი დღე სკოლაში



მტევანი 1.1

აქტივობა 1. „მე სკოლაში მოვედი“
აქტივობა 2. „ესაა ჩემი ადგილი“
აქტივობა 3. თამაში – „თუ ასეა, ტაში დაუკარი!“
აქტივობა 4. გრძნობების გამოხატვა
აქტივობა 5. ფონოლოგიური თამაში (საკუთარ სახელებზე, იგივე თამაშები შესაძლებელია ბავშვების გვარებზეც) *(კრიტ. 5.1)*
აქტივობა 6. ლექსის „სკოლისაკენ“ მოსმენა და დამუშავება
აქტივობა 7. სურათის გაფერადება

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 3 სთ.

აქტივობა 1. „მე სკოლაში მოვედი!“

ამ აქტივობის მიზანია:

- ერთმანეთის გაცნობა
- დადებითი გუნება-განწყობილების შექმნა

► ინსტრუქცია

მოსწავლეები დასხით წრეში. თქვენ იწყებთ: მაგ.: „მე ვარ ნანა მასწავლებელი და სკოლაში მოვედი სიხარულით. ოჯახში მე მყავს დედა, მამა, შვილები – ნინია და მათე, მეუღლე...“

ამის შემდეგ განაგრძობენ მოსწავლეები: თითოეული ბავშვი ამბობს **თავის სახელს** და ასახელებს, რა გრძნობით მოვიდა სკოლაში (მაგ: სიხარულით, ცოტა მორცხვად, შიშით...). ჩამოთვლის თავისი ოჯახის წევრებს.

აქტივობა 2. „ესაა ჩემი ადგილი“

ამ აქტივობის მიზანია:

- მოსწავლეს დაეხმაროს კლასში თავისი ადგილის „მონიშვნაში“. ეს მათ სიმშვიდის განცდას მოჰგვრის, რადგან პირველ დღეებში ბავშვებს ყველაზე მეტად აშინებთ უცნობი ადგილი და უცხო ადამიანები.
- მოსწავლეებმა თვალი შეაჩვიონ და დაიმახსოვრონ საკუთარი სახელის დაწერილობა (მთლიანი სიტყვის გრაფიკული ფორმა).

► ინსტრუქცია

- წინასწარ წებოვან ბართებზე დიდი ასოებით დაწერეთ თითოეული მოსწავლის სახელი (პირველ კლასში არსად არ უნდა გამოვიყენოთ მთავრული შრიფტი – თანაბარი სიმაღლის ასოები);
- თითოეულ მოსწავლეს მიეცით „თავისი“ ბარათი და უთხარით, რომ ამ ბარათზე წე-

რია მისი სახელი. აჩვენეთ წარწერა და წაუკითხეთ გაბმულად, მთლიან სიტყვად);
- სთხოვეთ მოსწავლეებს, წარწერები გააფერადონ სასურველ ფერებად და მიაკრან თავიანთ მერხს ან სკამს.

აქტივობა 3. თამაში – „თუ ასეა, ტაში დაუკარი!“

აქტივობის მიზანი: ეს თამაში დაეხმარება ბავშვებს, გააცნობიერონ, რომ მათი გრძნობები ჩვეულებრივია და მარტონი არ არიან – სხვა ბავშვებიც მათ მსგავსად გრძნობენ და განიცდიან.

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს მიმართეთ:

- თუკი სკოლაში მეგობარი გყავთ – ტაში დაუკარით!
- თუკი წიგნები გიყვართ – ფეხი დააბაკუნეთ!
- თუკი ცოტა გეშინოდათ – ხელი მაღლა ასწიეთ!
- თუკი ახლა აღარ გეშინიათ, ფეხზე წამოდექით!

და ა. შ.

აქტივობა 4. გრძნობების გამოხატვა

რესურსი: დაფაზე სქემატურად დახატული დიდი ხე და ფერადი სტიკერები.

ამ აქტივობის მიზანია:

- დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარ გრძნობებზე დაკვირვებაში, მათ ამოცნობასა და გამოხატვაში;
- დაეხმაროს მასწავლებელს იმის გარკვევაში, თუ რა განცდები აქვთ მის პატარა მოსწავლეებს, როცა პირველად მოდიან სკოლაში, რათა დააძლევინოს უარყოფითი განცდები და შეუქმნას სასიამოვნო გარემო. ბავშვებმა უნდა იგრძნონ, რომ მასწავლებელი მზად არის მათ მოსასმენად და დასახმარებლად.

► ინსტრუქცია

დაფაზე სქემატურად დახატეთ დიდი ხე (ან გააკარით დიდ ფურცელზე დახატული ხე). სთხოვეთ ბავშვებს, აირჩიონ ფერადი სტიკერი იმის მიხედვით, თუ როგორ გრძნობენ თავს (მაგ: ყვითელი – მხიარულად, ლურჯი – ცოტას ვღელავ, შავი – მოწყენილი ვარ, წითელი – მაინტერესებს, მწვანე – მშვიდად ვარ, თეთრი – ცოტა მეშინია) და მიაკრან ხეს.

შენიშვნა: რამდენიმე დღის შემდეგ შეგიძლიათ ეს აქტივობა ხელახლა ჩაატაროთ და ნახოთ, შეცვალა თუ არა რომელიმე მოსწავლემ ფერი – ანუ შეეცვალა თუ არა გუნება-განწყობილება.

აქტივობა 5. ფონოლოგიური თამაში ზეპირი მარცვლებით (საკუთარ სახელებზე)

ა) დამარცვლით, ნელა გამოთქვით მოსწავლეების სახელები. თითოეული სახელის

დამარცვლის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ ამოიცნონ, ვისი სახელი დამარცვლეთ.

ბ) ამოცნობის შემდეგ კიდევ დამარცვლეთ სხვა სახელები და დაითვალეთ მარცვლები ტაშის დაკვრით. გაიმეორეთ რამდენჯერმე, რათა მოსწავლეებმა კარგად გაიგონ, როგორ ითვლით მარცვლებს ტაშის დაკვრით.

გ) ახლა მოსწავლეებს სთხოვეთ, დამარცვლონ საკუთარი სახელები და თან ტაშის დაკვრით დაითვალონ მარცვლები.

ჰკითხეთ (რაც შეიძლება მეტ მოსწავლეს):

რამდენმარცვლიანი ყოფილა შენი სახელი?

აქტივობა 6. ლექსის მოსმენა და შინაარსის დამუშავება

პირობა: მოისმინეთ ლექსი „სკოლისაკენ“



სკოლისაკენ

მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი,
აბა, სწრაფად ტანთ ჩავიცვათ
და სკოლისკენ ჰერი-ჰერი!
სამუშაოდ ეშურება
დიდ-პატარა, ფრინველ-მწერი,
აბა, მარდად, ჩვენც წიგნებით
სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

იროდიონ ევდოშვილი

ა) **ლექსის „სკოლისაკენ“ მოსმენა**

► **ინსტრუქცია**

ბავშვებს ჯერ მთლიანად გამოთქმით წაუკითხეთ ლექსი. შემდეგ თავიდან დაიწყეთ წაკითხვა და მოსწავლეებს ნაწილ-ნაწილ გაამეორებინეთ თქვენთან ერთად (წარმოათქმევინეთ დასრულებული წინადადებები).

ბ) **ლექსის შინაარსის დამუშავება**

მოსწავლეებს ხელმეორედ წაუკითხეთ ლექსი **„სკოლისაკენ“.**

დაუსვით შეკითხვები:


- **ტყორცნა** – **გატყორცნა** რას ნიშნავს ტყორცნა? თქვენ თუ გაგიტყორცნიათ რაიმე?
- რას შეიძლება ნიშნავდეს „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა?“
- როგორი იყო დილა? {მშვენიერი}
- **მშვენიერი** ანუ ...კიდევ როგორ იტყოდით? {ლამაზი}
- ვის ეუბნება ლექსის დამწერი ანუ ავტორი, ტანზე ჩავიცვათო? {მოსწავლეებს}
- **მარდად** – რას ნიშნავს მარდი? მარდად? {სწრაფი, სწრაფად, ცქვიტად}

- რას ნიშნავს „სკოლისკენ ჰერი-ჰერი?“ {სკოლისკენ წავიდეთო}
- **ეშურება** – რას ნიშნავს ეშურება, მიეშურება? {ჩქარა მიდის, მიიჩქარის}
- ვინ მიეშურება სამუშაოდ? {დიდი და პატარა, ფრინველი თუ მწერი}
- დიდ-პატარაში ვინ იგულისხმება? {უფროსები და ბავშვები}
- **მწერი** – მწერი რა არის? ჩამოთვალეთ, რომელი მწერები იცით.
- თქვენი აზრით, ფრინველებისა და მწერების მუშაობა რა არის? როგორ მუშაობენ? {საკვებს ეძებენ და იმარაგებენ, ფუტკარი თაფლს აკეთებს და სხვა}
- პატარების მუშაობა რა არის? {სკოლაში სიარული და სწავლა}
- სკოლაში რომ მოხვედით, რა მოგეწონათ?
- რა არ მოგეწონათ? რატომ?

მეთოდიკური კომენტარი: ლექსი შეგიძლიათ შეასწავლოთ სახალისო მეთოდების გამოყენებით: გამეორება სხვადასხვა სიჩქარითა და ხმის ტემბრით (წვრილი ხმით, ბოხი ხმით, სასაცილო ხმით, ჩქარა, ნელა, ძალიან ჩქარა, ძალიან შენელებულად, წამღერებით და სხვა).

აქტივობა 7.

მოსწავლეები გააფერადებენ ლექსის ილუსტრაციას. სასურველია, კლასში დაიწყონ და სახლში დაასრულონ.



მტევანი 1.2

აქტივობა 1. გრძნობების გამოხატვა
აქტივობა 2. მოტორიკა – გაამთლიანე წყვეტილი ხაზები
აქტივობა 3. სკოლის სურათის აღწერა *(კრიტ. 2.3.)*
აქტივობა 4. წინადადებაში წარმოთქმული სიტყვების რაოდენობის გარკვევა
აქტივობა 5. ფონოლოგიური თამაში ზეპირი მარცვლებით *(კრიტ. 5.2.)*

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 3 სთ.

აქტივობა 1. გრძნობების გამოხატვა

პირობა: მზის ქვეშ გრძნობების გამომხატველი ხატულებია. დააკვირდით მათ. გაიხსენეთ, რას გრძნობდით, სკოლაში პირველად რომ მოხვედით. მზის გულში ჩახატეთ შესაბამისი ხატულა.



► **ინსტრუქცია**

დააკვირვეთ მოსწავლეები სურათზე.


ა) ყურადღება მიაქცევინეთ ბავშვების გამომეტყველებაზე, ასევე გრძნობათა გამომხატველ ხატულებზე. ჰკითხეთ:

- თქვენი აზრით, რომელი ბავშვი და რომელი სახე გამოხატავს აღტაცებას? სიხარულს? გაოცებას? შიშს? მწუხარებას (რომელი ტირის)?

ბ) შემდეგ სთხოვეთ გაიხსენონ, რას გრძნობდნენ სკოლაში პირველად მოსვლისას და მზის გულში (შუაში) ჩახატონ შესაბამისი ხატულა.

აქტივობა 2. წყვეტილი ხაზების გამთლიანება

წყვეტილ ხაზებს გააყოლეთ ფანქარი და გაამთლიანეთ.



აქტივობა 3. სკოლის ეზოს სურათის აღწერა

პირობა: აღწერეთ სურათი.



► **ინსტრუქცია**

აღწერა შეკითხვებით

დაფაზე დაკიდებთ სურათს.

დაუსვამთ მოსწავლეებს შეკითხვებს, ყველა დეტალზე გაამახვილებინებთ ყურადღებას.

შეკითხვების ნიმუშები:

- სურათზე უკან, ეზოს ბოლოში, რა მოჩანს?
- თქვენი აზრით, რა შენობაა?
- რამდენსართულიანია?
- თქვენი აზრით, რა წერია შესასვლელის თავზე?
- როგორი ფანჯრები აქვს სკოლას?
- რა მოჩანს სკოლისკენ მიმავალი გზის აქეთ და იქით?
- თუ ხედავთ ჩიტუნებს? სად არიან?
- კიდევ რას ხედავთ ხეზე? {ციყვს}
- რას შვრება ციყვი?
- ჩიტუნები სად არიან?
- ქვაზე რას ხედავთ? {ლოკოკინას}
- რას აკეთებენ ბავშვები სპორტულ მოედანზე?
- თქვენი აზრით, არიან თუ არა სკოლის ეზოში პირველკლასელები? რომლები? როგორ მიხვდი?
- რა უჭირავს ხელში მასწავლებელს?
- რა უჭირავს ხელში კიკინებიან გოგონას?
- ვის აძლევს გოგონა თაიგულს?
- კიდევ ვინ დგას მასწავლებლის გვერდით?
- რას აკეთებს ლურჯჩანთიანი ბიჭი? {ჩიტებს საკენკს უყრის}
- კიდევ ვის ხედათ სურათზე? რას აკეთებენ?
- პირველკლასელების გვერდით, მასწავლებლის გარდა, ვის ხედავთ? {უფროსებს, მშობლებს}
- წელიწადის რომელი დროა სურათზე? როგორ მიხვდით?
- როგორი ამინდია?
- როგორ გუნებაზე არიან ბავშვები და უფროსები – მოწყენილები არიან თუ მხიარულები?

- თქვენი აზრით, რა უხარიათ?
- თქვენ თუ გიხარიათ, მოსწავლეები რომ გახდით?

და სხვა.

აქტივობა 4. წარმოთქმულ წინადადებაში სიტყვების რაოდენობის გარკვევა.

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეები დააკვირვეთ ოთხკუთხედების 3 მწკრივზე, რომლებიც სურათზეა მოცემული.

პირობა: დააკვირდით ოთხკუთხედების მწკრივებს. უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.



დასვით შეკითხვები:

- რომელია ოთხკუთხედების ყველაზე გრძელი მწკრივი? {მესამე მწკრივი}
- რომელია ყველაზე მოკლე მწკრივი? {პირველი მწკრივი}
- რამდენი ოთხკუთხედია ყველაზე მოკლე მწკრივში? {ორი}
- მეორე მწკრივში რამდენია? {სამი}
- ყველაზე გრძელ მწკრივში რამდენი ოთხკუთხედია? {ოთხი ოთხკუთხედი}
- **უთხარით:** ნახეთ, რაც უფრო მეტი ოთხკუთხედი დაემატა, მით უფრო გრძელი მწკრივი გამოვიდა. აქ (ხელით აჩვენეთ მეორე მწკრივი) ერთი ოთხკუთხედი დაემატა, აქ (აჩვენეთ მესამე მწკრივი) კიდევ ერთი დაემატა და უფრო დაგრძელდა.
- მესამე მწკრივის კიდევ უფრო დაგრძელებაც შეგვიძლია – როგორ დავაგრძელოთ? {მართალია, კიდევ დავამატოთ ოთხკუთხედები}
- წარმოიდგინეთ, რომ ეს ოთხკუთხედები სიტყვებია. მე ვიტყვი წინადადებას. თქვენ კი იმდენი ოთხკუთხედი დახატეთ დაფაზე, რამდენ სიტყვასაც ვიტყვი.
- **ბავშვი თამაშობს** – რამდენი სიტყვა ვთქვი – რამდენი ოთხკუთხედი დავხატოთ? {ორი სიტყვა – ორი ოთხკუთხედი}
- **ბავშვი ბურთს თამაშობს** – რამდენი სიტყვა ვთქვი – რამდენი ოთხკუთხედი დავხატოთ? {სამი სიტყვა – სამი ოთხკუთხედი}
- **ბავშვი ეზოში ბურთს თამაშობს** – რამდენი სიტყვა ვთქვი – რამდენი ოთხკუთხედი დავხატოთ? {ოთხი სიტყვა – ოთხი ოთხკუთხედი}

მსგავსად ამუშავეთ შემდეგ (ან თქვენ მიერ შერჩეულ) წინადადებებზე.

1. ბავშვი მიდის. 2. ბავშვი სკოლაში მიდის. 3. ბავშვი სკოლაში მხიარულად მიდის.


შენიშვნა: როგორც ყოველთვის, წესია: კლასში გუნდური პასუხები არ უნდა იყოს. დაფაზე ოთხკუთხედების დასახატავად მოსწავლეები სათითაოდ გაიყვანეთ.

აქტივობა 5. ფონოლოგიური თამაში ზეპირი მარცვლებით

ა) საკუთარი სახელის დამარცვლა და მარცვლების დათვლა – მოსწავლეები საკუთარ სახელს დამარცვლავენ ტაშის დაკვრით და ითვლიან.

ბ) რვეულში მოსწავლეები იმდენ მძივის მარცვალს აფერადებენ, რამდენი მარცვლისგანაც შედგება მათი სახელი.

პირობა: **გააფერადეთ მძივის იმდენი მარცვალი, რამდენი მარცვლისგანაც შედგება თქვენი სახელი.**



შესაძლებელია სხვა ტიპის ფონოლოგიური თამაშის ჩატარება, მაგალითად:

- **ბოლო მარცვლის გამეორება** – მოსწავლეებმა უნდა გაიმეორონ სახელის ბოლო მარცვალი (მაგ., ზურა-რა, ნინო-ნო, ვახო-ხო და სხვა).
  თავდაპირველად რამდენიმე ნიმუში ერთად შეასრულეთ.
- **მარცვლების გადანაცვლება** – მოსწავლეთა სახელების მარცვლებს გადაანაცვლებთ, მოსწავლეები ამოიცნობენ, ვისი სახელია (მაგ., ზურა – რაზუ; დათო – თოდა...).

შენიშვნა: მომდევნო გაკვეთილებზე ასეთივე აქტივობები უნდა შესრულდეს მოსწავლეთა გვარებზე, სასკოლო ნივთებზე.

§ 2. დილა ტყეში



მტევანი 2.1.

აქტივობა 1. ლექსიკური შემზადება ტექსტის „აი ია“ მოსასმენად *(კრიტ. 4.1.)*

აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა ტექსტის „აი ია“ წაკითხვამდე *(კრიტ. 1.4.)*

აქტივობა 3. მოთხრობის („აი ია“) პირველი ნაწილის წაკითხვა, ვარაუდების გადამოწმება *(კრიტ. 1.4.)*

აქტივობა 4. წინადადების გავრცობა *(კრიტ. 2.1.; 2.2.)*

აქტივობა 5. ტექსტი, სათაური *(კრიტ. 3.1.)*

აქტივობა 6. ფონოლოგიური თამაში ზეპირი მარცვლებით – მარცვლები და რკალები) *(კრიტ. 5.2.)*

აქტივობა 7. გაფერადება

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 3 სთ.

აქტივობა 1. ლექსიკური შემზადება ტექსტის „აი ია“ მოსასმენად

პირობა: დაასახელეთ, რას ხედავთ:



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს სთხოვეთ, დააკვირდნენ და დაასახელონ, რა ამოიცნეს სურათებზე.

? დასვით შეკითხვები:

წერო

- ეს რა არის, რა ჰქვია? (მიუთითეთ წეროზე. თუ ვერავინ ვერ დაასახელებს, თქვენ უთხარით: „ეს არის **წერო.**“)
- რა ფერისაა? რას შვრება წერო ამ სურათზე?

ტბა

- ტბას სად ხედავთ, რომელ სურათზე?
- როგორ გგონიათ, ტბა უფრო დიდია თუ ზღვა?

მუხა

- ეს რა არის? {მიუთითეთ მუხის სურათზე. იტყვიან ხეო, თქვენ დაუზუსტებთ: „დიახ, ეს არის დიდი ხე, მას მუხა ჰქვია.“}
- რა ყოფილა მუხა?
- მუხა რას ისხამს?

რკო (სასურველია, კლასში გვქონდეს)

- გინახავთ **რკო?** მაჩვენეთ სურათზე. აი, რკო. მაშ, რომელი ხე ისხამს რკოებს?
- რას უყვარს რკო, გემრიელად რომ ახრამუნებს?
- სხვა კიდევ რომელი ხეები იცით?

რტო

- მუხას და ყველა ხეს აქვს **ტოტები და რტოები**. რტო ახალი, ნორჩი ტოტია. აბა, სად ხატია ხის ტოტები და რტოები?
- რომელია ტოტი? რომელი იქნება რტო? რტო უფრო დიდია თუ ტოტი?

ბუ

- ბუ ვის უნახავს? რომელ სურათზე ხატია ბუ?
- იცით, როდის სძინავს ბუს? {ბუს დღისით სძინავს} როდის ღვიძავს ბუს?

ია

- ეს რა არის? (მიუთითეთ იის სურათზე)
- გინახავთ ია? როგორი ყვავილები აქვს იას? რა ფერისაა იის ფურცლები?
- ია ტყის მცენარეა თუ ქოთნისა? {ტყეშიც ხარობს, ბოსტნებშიც, ქოთნებშიც აქვთ ხოლმე}
- რომელი ყვავილი ჰგავს იას? {ყოჩივარდა}. ია იისფერია, ყოჩივარდა კი უფრო მოწითალოა, მუქი ვარდისფერია.

კუ

- ვის უნახავს კუ? რომელ სურათზე ხატია კუ?
- კუს რა აქვს ზურგზე – რა ჰქვია კუს სახლს?
- კიდევ რომელი ცხოველი ატარებს თავის სახლს ზურგით?
- რა ჰქვია ლოკოკინას სახლს?

სკა

- ვინ იცის, რა არის **სკა**?
- სად ხედავთ სკას – რომელ სურათზე ხატია?
- გინახავთ სკა? სად გინახავთ?
- რისთვის სჭირდებათ ფუტკრებს სკა? რას აკეთებენ ფუტკრები სკაში?

შენიშვნა: აქტივობა „ლექსიკური შემზადება“ ყოველ ახალ ტექსტს უძღვის წინ.

ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეები ლექსიკურად შევამზადოთ უცნობი ტექსტის მოსასმენად (ეს იქნება ტექსტი **„აი ია“,** ზღაპარი, ლექსი, ენის გასატეხი თუ სხვა რამ), რათა მათ უფრო მეტი ინტერესით მოისმინონ და უკეთ გაიგონ მოსმენილი ტექსტი.

აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა ტექსტის „აი ია“ წაკითხვამდე

პირობა: დააკვირდით სურათს, მოიფიქრეთ, რა მოხდა – რატომ არის სკა გადაყირავებული; რატომ გარბის თხა.



► ინსტრუქცია

ა) დაკვირვება-აღწერა: მოსწავლეები დააკვირვეთ მოსწავლის წიგნში მოცემულ ილუსტრაციაზე. **დაუსვით შეკითხვა:**

რას ხედავთ სურათზე?

ბ) ამის შემდეგ მოსწავლეები დააფიქრეთ, რა შეიძლება მომხდარიყო მანამდე – რატომ არის სკა გადაყირავებული. რატომ გარბის თხა.

? დასვით შეკითხვები:

- ვინ/რამ გადააყირავა სკა?
- რამ შეაშინა, რამ დააფრთხო თხა – რატომ გარბის?

გ) ბოლოს სთხოვეთ, გამოთქვან აზრი, რა მოხდება ამის შემდეგ:

- რას იზამს დამფრთხალი თხა – სად წავა?

შენიშვნა: აუცილებლად ჩაინიშნეთ მოსწავლეთა მიერ გამოთქმული ვარაუდები, რათა შემდგომში, მოთხრობის წაკითხვისას, გადამოწმდეს, რა დაემთხვა მოსწავლეების გამოთქმული ვარაუდებიდან და რა არა.

აქტივობა 3. მოთხრობის „აი ია“ პირველი ნაწილის („დილა ტყეში“) პირველი მოსმენა.

► **ინსტრუქცია**

საანბანო პერიოდში პირველი ტექსტი, რომელსაც მოსწავლეებს წავუკითხავთ, არის მოთხრობა **„აი ია“.** ეს ტექსტი დაფაზე უნდა გაიკრას, ამიტომ ცალკეა დაბეჭდილი დიდ ფორმატის ფურცელზე.

- დაფაზე გააკარით მოთხრობა „აი იას“ ორივე ნაწილი („დილა ტყეში“ და „სხვის ეზოში“ ხმამაღლა, გარკვევით, გამოთქმით, მხატვრულად (ხმისა და მიმიკის ცვლილებით) წაიკითხეთ ჯერ პირველი ნაწილი „დილა ტყეში“ (ამ დროს მოთხრობის მეორე ნაწილიც დაფაზე უნდა იყოს გამოკრული, მაგრამ მას ჯერ არ კითხულობთ. მოსწავლეებს ეტყვით, რომ მეორე ნაწილს მერე წაუკითხავთ).
- წაკითხვისას სტრიქონებს ყოველთვის გააყოლეთ ჯოხი, რათა მოსწავლეებმა კარგად დაინახონ და თავიდანვე კარგად დაიმახსოვრონ **კითხვის მიმართულება**: **მარცხნიდან მარჯვნივ, სტრიქონის ბოლოდან მისი ქვედა სტრიქონის დასაწყისისკენ** (ამის სიტყვიერად ახსნა საჭირო არაა).

დილა ტყეში

გათენდა. ცა მოიწმინდა. მზე ამოვიდა და დიდი მთა გაანათა. მთიდან სიო ქროდა. სიომ ტყე ააშრიალა და ტბა ააღელვა. ტბიდან წერო აფრინდა და ტყეს გადაუფრინა. ტყეში კუმ გაიღვიძა და მუხასთან მიბაკუნდა. მუხას რკო შერჩენოდა. მუხის ძირას იას გაეღვიძა და ნაზად შეიშმუშნა. „აი ია!“ – თქვა კუმ და იას გაუღიმა.

იქვე თხა იდგა. მუხის რტოზე ბუ თვლემდა. რტო ქანაობდა. უცებ რტო მოტყდა. ბუ დაფეთდა და დაიკივლა: „ჰუ-ჰუ-ჰუუ!“ თხას შეეშინდა და გზაზე გავარდა. გზის პირას მინდორი იყო. მინდორში სკა იდგა. თხა სკას დაეჯახა. სკიდან ფუტკრები გამობზუილდნენ და თხას დაედევნენ.

შენიშვნა: არ დაგავიწყდეთ მოსწავლეებთან ერთად მათი ვარაუდებისა და მოთხრობაში მომხდარი ამბის შედარება – ვისი ვარაუდი აღმოჩნდება ყველაზე ახლოს მოთხრობაში მომხდართან.

აქტივობა 4. წინადადების გავრცობა

► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს გაახსენეთ აქტივობა ოთხკუთხედებსა და სიტყვებზე (ერთი ოთხკუთხედი – ერთი სიტყვა). შემდეგ სთხოვეთ, რომ თქვენ მიერ წარმოთქმულ წინადადებებში დაითვალონ სიტყვები და დაფაზე დახატონ შესაბამისი რაოდენობის ოთხკუთხედი. პირველ ეტაპზე ოთხზე მეტსიტყვიანი წინადადება არ დაასახელოთ.

- დილით მერცხალმა ჭიკჭიკი დაიწყო. {ოთხი სიტყვა – ოთხი ოთხკუთხედი}
- მზე ამოვიდა. {ორი სიტყვა – ორი ოთხკუთხედი}
- მინდორში ია ამოვიდა. {სამი სიტყვა – სამი ოთხკუთხედი}

ბ) შემდეგ მოსწავლეებს უთხარით: ახლა გასწავლით მოკლე წინადადებების „დაგრძელებას“. ამისათვის საჭიროა, რომ მოკლე წინადადებას დავამატოთ სიტყვები. ესაა წინადადების **გავრცობა.**

წარმოთქვით წინადადება: **მამალმა დაიყივლა.**

- რამდენი სიტყვაა? {ორი}

მოდი, ახლა ეს წინადადება გავხადოთ სამსიტყვიანი. მე დაგისვამთ შეკითხვებს და თქვენ მიპასუხეთ:

- ვისმა მამალმა დაიყივლა – ვისი შეიძლება იყოს მამალი? {ჩვენი მამალი, მეზობლის მამალი}

კარგი, მაშ, ჩვენს მოკლე წინადადებას დავამატოთ სიტყვა „**ჩვენმა**“: **ჩვენმა მამალმა დაიყივლა.** რამდენი სიტყვაა ახლა? {სამი}

- აბა, ახლა მითხარით, როდის ყივის მამალი – როდის დაიყივლა მამალმა? {დილით დაიყივლა}

კარგია! ეს სიტყვაც დავამატოთ ჩვენს წინადადებას: **დილით ჩვენმა მამალმა დაიყივლა.**

ეს წინადადება **(დილით ჩვენმა მამალმა დაიყივლა)** დიდად, ლამაზად, გარკვევით დაწერეთ დაფაზე, მოსწავლეებს ხმამაღლა წაუკითხეთ, რა დაწერეთ. შემდეგ სთხოვეთ, რომ დაფაზე თითოეული სიტყვის ქვეშ დახატონ ან მიაკრან თითო ოთხკუთხედი.

ჰკითხეთ:

- სულ რამდენი ოთხკუთხედი დახატეთ – რამდენი სიტყვა ყოფილა ამ წინადადებაში: **დილით ჩვენმა მამალმა დაიყივლა?** {ოთხი}
- თავიდან რამდენი სიტყვა იყო – **მამალმა დაიყივლა?** {ორი}
- მერე რამდენი გახდა – **ჩვენმა მამალმა დაიყივლა?** {სამი}
- ბოლოს რამდენსიტყვიანი გახდა ჩვენი მოკლე წინადადება? {ოთხსიტყვიანი}

შენიშვნა: დახატვის ნაცვლად უმჯობესია თითოეული სიტყვის ქვეშ მაგნიტური ოთხკუთხედის/მართკუთხედის მიკვრა.

აქტივობა 5. ტექსტი, სათაური

► ინსტრუქცია

ჯოხით მთლიანად, სათაურის ჩათვლით, შემოხაზეთ საჩვენებელი ტექსტი (ჯერ პირველი ნაწილი) მოსწავლეებს უთხარით:

- მე შემოვხაზე ტექსტი, ეს არის ტექსტი.
- შემდეგ შემოხაზეთ ტექსტის მეორე ნაწილი თავისი სათაურით. **უთხარით:** ესეც ტექსტია.
- აჩვენეთ (შემოხაზეთ) ჯერ პირველი ტექსტის სათაური („დილა ტყეში“), შემდეგ მეორე ტექსტის სათაური („სხვის ეზოში“). **უთხარით**: ნახეთ, ეს არის ამ ტექსტის სათაური. ეს კი მეორე ტექსტის სათაურია.
- მოსწავლეები დააკვირვეთ, რომ სათაური წერია ტექსტის ზემოთ, შუა ადგილას.

? დასვით შეკითხვები:

- სად იწყება და სად მთავრდება ეს ტექსტი? შემოხაზე.

- მაჩვენე, სად წერია სათაური? {ტექსტის ზემოთ, შუა ადგილას}

თითო-თითოდ გაიყვანეთ რამდენიმე მოსწავლე და სთხოვეთ გაჩვენოთ (ჯოხით შემოხაზონ) სათაური და შესაბამისი ტექსტები. ერთდროულად ორ-ორი მოსწავლე გაიყვანეთ.


? დასვით შეკითხვები:


- სად იწყება პირველი ტექსტი? სად მთავრდება? გვაჩვენეთ!
- სად იწყება მეორე ტექსტი? სად მთავრდება? გვაჩვენეთ!
- მაჩვენეთ პირველი ტექსტის, პირველი მოთხრობის სათაური.
- მაჩვენეთ მეორე ტექსტის სათაური.

და მისთ.

აქტივობა 6. ფონოლოგიური თამაში ზეპირი მარცვლებით (მარცვლების რაოდენობის აღნიშვნა რკალებით)

პირობა: დააკვირდით ნიმუშებს. ჩახატეთ იმდენი რკალი, რამდენი მარცვალიცაა შესაბამის სიტყვაში.





► ინსტრუქცია

ა) მოდელირება: მოსწავლეებს გადააშლევინეთ რვეული იმ გვერდზე, რომელზეც ცხოველების სურათებია. მათ ტაშის თანხლებით უნდა დამარცვლონ და დაითვალონ ჯერ პირველი სამი სურათის შესაბამისი სიტყვების – **ლეღვი, კუ, ლოკოკინა** – მარცვლები, თან უნდა დააკვირდნენ სურათების ქვეშ გამოსახულ რკალებს.

ბ) შემდეგ დააკვირვეთ ამ სამი სურათის ქვეშ დახაზულ წერტილოვან რკალებზე და

? დასვით შეკითხვები:

- **ლეღვი** – ამ სიტყვაში რამდენი მარცვალია? {ორი}
- დააკვირდით **ლეღვის** სურათს. რამდენი რკალია სურათის ქვეშ?
- რამდენი მარცვალია სიტყვაში **ლეღვი?** {ორი}

უთხარით: „მაშ, ამ სიტყვაში ორი მარცვალია, სიტყვა ორმარცვლიანია და ამიტომ აქვს ქვეშ ორი რკალი“.

იგივე გაიმეორეთ მომდევნო ორი სურათისთვისაც **(კუ, ლოკოკინა).** ბოლოს კი მოსწავლეებს ფანქრით გაამთლიანებინეთ სამივე სურათის ქვეშ მოცემული წერტილოვანი რკალები.


ბ) დამოუკიდებელი მუშაობა – ამ დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად იმუშავებენ რვეულებში.

სურათების შესაბამისი სიტყვების მარცვალთა რაოდენობას დაითვლიან და სურათების ქვეშ ფანქრით იმდენივე რკალს დახაზავენ, რამდენი მარცვალიც აქვს სიტყვას. თქვენ კი მერხებს შორის ივლით და საჭიროებისამებრ დაეხმარებით მოსწავლეებს. შესაძლებელია, მათ, ვინც დამოუკიდებლად ვერ მუშაობს, თქვენც მიუჯდეთ და გზადაგზა დააკვალიანოთ.


შედეგები შემოწმდება და გასწორდება – მნიშვნელოვანია, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ მარცვლებად.

აქტივობა 7. გაფერადება

პირობა: გააფერადეთ.



წყვეტილ ხაზებს გააყოლეთ ფანქარი და გაამთლიანეთ, შემდეგ გააფერადეთ.



შენიშვნა:

ამ აქტივობამ დიდი დრო რომ არ წაიღოს, სასურველია, კლასში მოსწავლეებმა ერთი სურათი გააფერადონ, დანარჩენი შინ დაასრულონ.



მტევანი 2. 2.

აქტივობა 1. მოთხრობის **„აი ია“** პირველი ნაწილის მეორედ წაკითხვა. შინაარსისა და სიტყვების დამუშავება *(კრიტ. 1.1.; 1..2.; 1.3.; 1.4)*

აქტივობა 2. ტექსტი, სათაური *(კრიტ. 3.1)*

აქტივობა 3. შეადარე სურათები ტექსტს. მოძებნე, რა შეეშალა მხატვარს და დაასახელე. *(კრიტ. 1.1.)*

აქტივობა 4. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა (აქ რა ხატია? აქ რა წერია?) *(კრიტ. 6.1.)*

აქტივობა 5. მთელ-მთელი სიტყვების ცნობა *(კრიტ. 6.2.)*

აქტივობა 6. წინადადებების შედგენა-გავრცობა დასახელებული სიტყვებით *(კრიტ. 4.1.; 2.1; 2.2.)*

აქტივობა 7. ფონოლოგიური თამაში (მარცვლები და რკალები) *(კრიტ. 5.1.)*

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 3 სთ.

აქტივობა 1. მოთხრობის „აი ია“ პირველი ნაწილის მეორედ წაკითხვა. შინაარსისა და სიტყვების დამუშავება

► **ინსტრუქცია**

მეორედ წაუკითხეთ მოსწავლეებს ტექსტის „აი ია“ პირველი ნაწილი (ისევ ხელის გაყოლებით), ოღონდ ოდნავ უფრო აჩქარებულად, ვიდრე თავიდან. ტექსტის შინაარსის გასააზრებლად **დასვით შეკითხვები:**

პირველი აბზაცის დამუშავება

- წელიწადის რომელი დროები იცით?
- ახლა წელიწადის რომელი დროა? {ახლა შემოდგომაა}
- რა ხდება შემოდგომაზე – როგორია ბუნება?
- წელიწადის რომელი დროა მოთხრობაში? როგორ მიხვდით? { ნახსენებია ია, ია კი გაზაფხულზეა}.
- რა ხდება გაზაფხულზე ბუნებაში?
- რას ნიშნავს „ცა მოიწმინდა“?
- რა გაანათა მზემ?
- რა არის მთა? მთა უფრო დიდია თუ გორა?
- რამ ააშრიალა ტყე? რამ ააღელვა ტბა?
- რა არის სიო? სიო უფრო ძლიერია თუ გრიგალი?
- ყოფილხართ ტყეში? როგორია ის? {დაბურული, უღრანი, ლამაზი}
- ტბა თუ გინახავთ? რომელი ტბა გინახავთ?
- რა აფრინდა ტბიდან?
- რას გაეღვიძა ტყეში?
- რასთან მიბაკუნდა კუ?
- რას ნიშნავს „მიბაკუნდა? {ბაკუნით მივიდა} რა არის ბაკუნი – როგორი სიარულია?

- აბა, ვინმემ გაიაროს ბაკუნით! მოდი, ერთად ვიბაკუნოთ!
- რა დაინახა კუმ?
- აბა, სურათზე მაჩვენეთ ია!
- რას ნიშნავს შეიშმუშნა? შეგიძლიათ, მაჩვენოთ, როგორ შეიშმუშნებოდა?
- რა თქვა კუმ იის დანახვაზე?
- მოდი ჩვენც ვთქვათ: „აი ია“!

მეორე აბზაცის დამუშავება

- ჩამოთვალე, რომელი ცხოველები იყვნენ მუხასთან {კუ, თხა}
- მუხის რტოზე რა იჯდა? {ბუ}.
- რას შვრებოდა ბუ რტოზე? {თვლემდა}
- რას ნიშნავს თვლემდა?
- ღამე იყო თუ დღე? აბა ბუ რატომ თვლემდა?
- რამ დააფეთა ბუ?
- რას ნიშნავს დაფეთება? შენ დაფეთებულხარ რამეზე? რაზე?
- როგორი ხმა გამოსცა ბუმ?
- თხა რამ შეაშინა?
- სად გავარდა თხა? რას დაეჯახა?
- გაიხსენეთ, რა არის სკა? სად გინახავთ?
- რა მოხდა, როცა თხა სკას დაეჯახა?
- რას ნიშნავს გამობზუილდნენ? {გამობზუილდნენ ნიშნავს, რომ ბზუილით გამოფრინდნენ}

აქტივობა 2. ტექსტი, სათაური

პირობა: წითლად შემოხაზეთ სათაური, ლურჯად შემოხაზეთ მთლიანი ტექსტი.

დილა ტყეში

გათენდა. ცა მოიწმინდა. მზე ამოვიდა და დიდი მთა გაანათა. მთიდან სიო ქროდა. სიომ ტყე ააშრიალა და ტბა ააღელვა. ტბიდან წერო აფრინდა და ტყეს გადაუფრინა. ტყეში კუმ გაიღვიძა და მუხასთან მიბაკუნდა. მუხას რკო შერჩენოდა. მუხის ძირას იას გაეღვიძა და ნაზად შეიშმუშნა. „აი ია!“ – თქვა კუმ და იას გაუღიმა.

იქვე თხა იდგა. მუხის რტოზე ბუ თვლემდა. რტო ქანაობდა. უცებ რტო მოტყდა. ბუ დაფეთდა და დაიკივლა: „ჰუ-ჰუ-ჰუუ!“ თხას შეეშინდა და გზაზე გავარდა. გზის პირას მინდორი იყო. მინდორში სკა იდგა. თხა სკას დაეჯახა. სკიდან ფუტკრები გამობზუილდნენ და თხას დაედევნენ.

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გაახსენეთ, რა არის **ტექსტი, სათაური.**

ა) დავალება ორგვარად უნდა ჩატარდეს:

მოსწავლე საჩვენებელი ჯოხით შემოხაზავს თქვენ მიერ მითითებულს: ტექსტს, მისი დაწყების ან დამთავრების ადგილს.

მოსწავლეებს საჩვენებელი ჯოხით აჩვენებთ (შემოხაზავთ): ტექსტს, სათაურს და ეკითხებით, რა არის (სათაური, ტექსტი, ტექსტის დასაწყისი, დასასრული...).

ბ) **მოსწავლეები რვეულებში შემოხაზავენ: წითლად – სათაურს, ლურჯად – მთლიან ტექსტს.** რვეულში დავალების შესრულება საშუალებას მოგცემთ გაარკვიოთ, ვის სჭირდება დამატებითი დაკვალიანება (როგორც ჩვეულებრივ, თქვენ მერხებს შორის ივლით და ნახავთ, ვინ შეასრულებს სწორად და ვის სჭირდება დახმარება).

აქტივობა 3. ტექსტისა და სურათის შედარება

შეადარეთ სურათები ტექსტს. მოძებნეთ, რა შეეშალა მხატვარს და დაასახელეთ. აღწერეთ ორივე სურათი.




აქტივობა 4. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა („აქ რა წერია, აქ რა ხატია“)

მოსწავლის წიგნი – საყრდენი სიტყვების გვერდი

ა) მოსწავლეებს წიგნი გადააშლევინეთ იმ გვერდებზე, სადაც საყრდენი სიტყვებია (წარწერებიანი სიტყვები), ასწიეთ წიგნი და რიგრიგობით მიუთითეთ სურათებზე: **წერო, ეზო, კუ, თხა პეპელა, თოჯინა, მზე** (შესაძლებელია, ეს სურათები დაფაზე გამოაკრათ და ისე იმუშაოთ).


თითოეულზე ჰკითხეთ:

- აქ რა ხატია?
  შემდეგ აჩვენეთ წარწერა სურათის ქვეშ და ჰკითხეთ:
- როგორ გგონიათ, აქ რა წერია?

ცხადია, ამ დროს მოსწავლე არ კითხულობს, ის, უბრალოდ, ხვდება, რომ წერია ის, რაც ხატია. როდესაც ეს ხშირად ხდება, მოსწავლეს თავისთავად, არაპირდაპირ გა-ნუმტკიცდება სიტყვის ბგერითი ფორმისა და გრაფიკული ხატის მჭიდრო კავშირი. მოსწავლე გააცნობიერებს, რომ სიტყვას ორი ფორმა აქვს – **ხმოვანი და დაწერილი,** ანუ აცნობიერებს, რომ ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება წარმოითქვას და შეიძლება დაიწეროს.

აქტივობა 5. მთელ-მთელი სიტყვების ცნობა

პირობა: ფერად ბარათებზე მოცემული სიტყვები მოძებნეთ სურათზე და ამოი-ცანით, რა წერია.



კუ ტბა ცა ია ხე მთა მზე

აქტივობა 6. წინადადებების შედგენა-გავრცობა დასახელებული სიტყვებით

მართული პრაქტიკა

მოსწავლეებს უთხარით: მე დავასახელებ სამ სიტყვას მოთხრობიდან **„აი ია“** (წინასწარ გქონდეთ შერჩეული სიტყვები, რომლებსაც დაასახელებთ **(**მაგ.: **ტყე / სიო / წერო).** ამ სიტყვების გამოყენებით ჯერ ერთად შევადგენთ წინადადებებს, შემდეგ კი თქვენ თვითონ უნდა შეადგინოთ.

აი, მე გამოვიყენე სიტყვა **ტყე** და შევადგინე ასეთი წინადადება: **ტყეში ია აღმოცენდა.** მოგწონთ? კარგია, ოღონდ ძალიან პატარა წინადადებაა! რამდენსიტყვიანია? რომელია პირველი სიტყვა?..

დავამატოთ სიტყვები და „დავაგრძელოთ“ ანუ გავავრცოთ ეს წინადადება. ამისათვის მე დავსვამ შეკითხვებს და თქვენ მიპასუხეთ:

- როდის ამოვიდა ია – როდის აღმოცენდა ია ტყეში? სრული პასუხი! {ია ტყეში გაზაფხულზე აღმოცენდა}
- მართალია, მაგრამ უკეთესი ასეა: **გაზაფხულზე ტყეში ია აღმოცენდა.**
- როგორი შეიძლება იყოს ტყე – როგორ ტყეში აღმოცენდა ია? {ია აღმოცენდა უღრან (დაბურულ, დიდ, ბნელ) ტყეში}
- გაიხსენეთ, როგორია ია – როგორი ია აღმოცენდა ტყეში? {ტყეში აღმოცენდა ლურჯთვალა (ნაზი, პატარა) ია}
- როგორ აღმოცენდა ია ტყეში? {ია ტყეში მორცხვად (გაუბედავად, ჩუმად) აღმოცენდა}

ამის შემდეგ წარმოთქვით სრული გავრცობილი წინადადება:

გაზაფხულზე უღრან ტყეში პატარა ია მორცხვად აღმოცენდა.

გაამეორებინეთ რამდენიმე მოსწავლეს. თუ გაუჭირდებათ მთლიანი წინადადების გამეორება, შეკითხვები შეაშველეთ, რათა გაიხსენონ, რა სიტყვა უნდა დაამატონ.


ამის შემდეგ თვითონ მოსწავლეებმა შეადგინონ წინადადებები დანარჩენ სიტყვებზე. თქვენ კი შეკითხვებით დაეხმარეთ, რომ განავრცონ თავიანთი წინადადებები.

ზეპირმეტყველების უნარის გასავითარებლად საჭიროა, მოსწავლეები სრული პასუხების ჩამოყალიბებას მიაჩვიოთ.

აქტივობა 7. ფონოლოგიური თამაში (მარცვლები და რკალები)

ჩახატეთ იმდენი რკალი, რამდენი მარცვალიცაა შესაბამის სიტყვაში.





შენიშვნა: შედეგები შეამოწმეთ – რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლა დაათქმევინეთ მარცვლებად.

§ 3. სხვის ეზოში

(მოთხრობის **„აი ია“** მეორე ნაწილი)

მტევანი 3. 1.

აქტივობა 1. ლექსიკური შემზადება მოთხრობის **„აი ია“** მეორე ნაწილის გასაგებად *(კრიტ. 4.1)*

აქტივობა 2. ილუსტრაციაზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა ტექსტის მეორე ნაწილის წაკითხვამდე *(კრიტ. 1.3)*

აქტივობა 3. მოთხრობის **„აი ია“** მეორე ნაწილის („სხვის ეზოში“) პირველი მოსმენა

აქტივობა 4. ტექსტი, სათაური, აბზაცი *(კრიტ.3.1.; 3.2)*

აქტივობა 5. ფონოლოგიური თამაში ბგერებით (და არა მარცვლებით), ბგერათა რაოდენობის აღნიშვნა

ა) ბგერებად დაშლილი სიტყვის ამოცნობა **(ფონოლოგიური სინთეზი)***(კრიტ. 5.2)*

ბ) მოკლე სიტყვის ბგერებად დაშლა;**(ფონოლოგიური ანალიზი)** *(კრიტ. 5.2;)*

აქტივობა 6. ბგერათა რაოდენობის აღნიშვნა ხაზებით (რვეულში)

აქტივობა 7. წინადადებების შედგენა და გავრცობა დასახელებული სიტყვებით

აქტივობა 8. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა რვეულში (მოძებნე და შემოხაზე) *(კრიტ. 6.1.; 6.2.)*

აქტივობა 9. თამაში „სიტყვების ლოტო“ (მთა, ია, ხე, თხა)

აქტივობა 10. გაფერადება, სიტყვების მოძებნა-დაკავშირება

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 6 სთ.

აქტივობა 1. ლექსიკური შემზადება მოთხრობის „აი ია“ მეორე ნაწილის („სხვის ეზოში“) გასაგებად


დაასახელეთ, რას ხედავთ.



ჭა



რუ



ბზა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს აჩვენეთ **ჭის, ბზისა და რუს** სურათები.

დაუსვით შეკითხვები:

ბზა

- ეს რა არის? მიუთითეთ ბზის სურათზე (სავარაუდოდ, იტყვიან, ბუჩქიაო).

- რის ბუჩქია, რა ჰქვია?
- თუ იცით, ზამთარში ბზას ფოთლები სცვივა თუ არა?
- აბა, რა ჰქვია ისეთ ხეს ან ბუჩქს, რომელსაც ფოთლები არ სცვივა ზამთარში? {მარადმწვანე, ანუ... მუდამ მწვანე}
- დიახ, ბზა მარადმწვანე მცენარეა. კიდევ რომელი მარადმწვანე მცენარეები იცით, ბზის გარდა? {ნაძვი, ფიჭვი, სურო}

რუ

- ეს რა არის? (მიუთითეთ **რუს** სურათზე. შეიძლება თქვან, რომ წყაროა, ან მდინარე. უთხარით, რომ ეს არის რუ, მის წყალს სარწყავად იყენებენ და დალევა არ შეიძლება. რუს უცებ გათხრიან ხოლმე, დროებით. ხოლო მდინარე გაცილებით უფრო დიდია. წყარო მიწიდან გამოდის და სუფთაა, დალევა შეიძლება).
- აბა, საიდან უნდა დავლიოთ წყალი – რომელი წყალია სასმელად გამოსადეგი? {ჭის, ონკანის, წყაროსი}

ჭა

- ჭას ხედავთ სურათზე? მაჩვენეთ!
- ვის აქვს, ან სადმე თუ უნახავს ჭა?
- რისთვის გამოიყენება ჭის წყალი? {ჭის წყალი კარგია დასალევად}
- ვინ იცის, როგორ აკეთებენ ჭას? {თუ ვერავინ იტყვის, თქვენ უთხარით: ამოთხრიან ღრმა და ვიწრო ორმოს, რომელშიც გროვდება მიწიდან ამოსული წყალი. ამოთხრილ ორმოს რიყის ქვებით ამოაშენებენ (აჩვენეთ ნახატი). მიწის წყალი თანდათან დაიწმინდება (დაწმდება) და ჭაში სუფთა წყალი დგება}

აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა ილუსტრაციაზე დაყრდნობით ტექსტის მეორე ნაწილის („სხვის ეზოში“) წაკითხვამდე

პირობა: დააკვირდით სურათს, მოიფიქრეთ, რა მოხდა – რატომ არის თხა ბზის ბუჩქში შემალული; ხბო რატომ არის გაოცებული.



► ინსტრუქცია

ა) **დაკვირვება-აღწერა**

მოსწავლეები დააკვირვეთ მოსწავლის წიგნში მოცემულ ილუსტრაციაზე. **დაუსვით შეკითხვა:**

- რას ხედავთ სურათზე?

ბ) **ვარაუდების გამოთქმა:** ამის შემდეგ მოსწავლეები დააფიქრეთ, რა **შეიძლება მომ-**

ხდარიყო მანამდე. დასვით **შეკითხვები:**

- სად არის თხა? რატომ იმალება ბუჩქებში?
- რატომ არის ხბო გაკვირვებული? რა მოხდა?

გ) **ვარაუდების გამოთქმა:** როგორ გგონიათ, რა მოხდება ამის შემდეგ:

- რას იზამს თხა – სად წავა?
- რით დასრულდება ეს ამბავი?

შენიშვნა: აუცილებლად ჩაინიშნეთ მოსწავლეთა მიერ გამოთქმული ვარაუდები, რათა შემდგომში, მოთხრობის წაკითხვისას, გადამოწმდეს, რა გამართლდა გამოთქმული ვარაუდებიდან და რა – არა.

აქტივობა 3. მოთხრობის მეორე ნაწილის ნაწილის („სხვის ეზოში“) პირველი მოსმენა.

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს ხმამაღლა, გარკვევით, გამოთქმით, მხატვრულად წაუკითხეთ მოთხრობის მეორე ნაწილი („სხვის ეზოში“). არ დაგავიწყდეთ, რომ წაკითხვისას სტრიქონებს გააყოლოთ საჩვენებელი ჯოხი, რათა მოსწავლეებმა კარგად დაინახონ და თავიდანვე კარგად დაიმახსოვრონ **კითხვის მიმართულება**: **მარცხნიდან მარჯვნივ, სტრიქონის ბოლოდან მისი ქვედა სტრიქონის დასაწყისისკენ** (თუმცა ამის სიტყვიერად ახსნა საჭირო არაა).

სხვის ეზოში

შეშინებულ თხას გზა დაებნა. უცებ ლამაზი ეზო დაინახა და შიგ შევარდა. ეზოში ჭა იყო. ჭასთან ბზა იზრდებოდა. ბზასთან რუ მიედინებოდა. რუს წყალს ხბო სვამდა. ხბოს ორი პატარა რქა ჰქონდა. თხამ ხბოს ჩაუქროლა და ბზის ბუჩქებში შეიყუჟა. ხბოს გაუკვირდა და პირი ისე დააღო, რომ ენა გამოუჩნდა.

ეზოში ლეღვის ხე იდგა. ხეზე გოგონა იჯდა. მას ოქროსფერი თმა ჰქონდა. უცებ გოგონამ ფოთოლზე ჭია დაინახა და დაიყვირა: – ვაი, ჭია! – გოგონას ყვირილმა თხა დააფრთხო. თხა ბუჩქებიდან გამოვარდა და ეზოდან გავარდა. გოგონა აკისკისდა.

გზაზე თხამ ვაზი დაინახა და მოეწონა. ვაზის ძირში ია იღიმებოდა. – აი ია! – მხიარულად დაიკიკინა თხამ და შიში სულ გადაავიწყდა.

შენიშვნა: არ დაგავიწყდეთ მოსწავლეებთან ერთად მათი ვარაუდებისა და მოთხრობაში მომხდარის შედარება – ვისი ვარაუდი აღმოჩნდა ყველაზე ახლოს მოთხრობაში მომხდართან!

აქტივობა 4. ტექსტი, სათაური, აბზაცი

► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს ჯერ გაახსენეთ, რა არის ტექსტი, სათაური:

რიგრიგობით გამოიყვანეთ მოსწავლეები და სთხოვეთ შემოხაზონ თქვენ მიერ მითი-

თებული ტექსტი, მისი დაწყების ან დამთავრების ადგილი.

შემდეგ მოსწავლეებს/მოსწავლეს აჩვენეთ (ჯოხით შემოხაზეთ): ტექსტი, სათაური, და ჰკითხეთ, რა არის – სათაურია, ტექსტია, ტექსტის დასაწყისია თუ დასასრულია...).

ბ) შემოხაზეთ ერთი აბზაცი მთლიანად. უთხარით:

– შეხედეთ, ეს არის აბზაცი; ესეც აბზაცია (უჩვენეთ მეორე აბზაცი).
მოსწავლეები დააკვირვეთ აბზაცებზე (ორივე ტექსტში). აჩვენეთ, რომ **აბზაცები შეწეულია.**

? დასვით შეკითხვები:

- რამდენი შეწეული ადგილია პირველ ტექსტში? დავითვალოთ! {2 შეწეული ადგილი}
- ანუ რამდენი აბზაცი ყოფილა? {2 აბზაცი}
- რამდენი შეწეული ადგილია მეორე ტექსტში? დავითვალოთ! {3 შეწეული ადგილი}
- ანუ რამდენი აბზაცი ყოფილა? {3 აბზაცი**}**
- აქედან აქამდე რა არის? {აბზაცი}
- როგორ ვხვდებით, რომ აბზაცი იწყება? {ნაწერი შეწეულია}
- სად იწყება მეორე აბზაცი? სად მთავრდება?

დავალება ორგვარად შეიძლება:

ა) მოსწავლე შემოხაზავს თქვენ მიერ მითითებულს: ტექსტს, პირველ, მეორე ან მესამე აბზაცს; მისი დაწყების ან დამთავრების ადგილს.

? დაუსვამთ შეკითხვებს:

- რომელია ამ ტექსტის ბოლო აბზაცი – მაჩვენეთ!
- მაჩვენეთ ამ ტექსტის მეორე აბზაცი!
- შემომიხაზეთ ამ ტექსტის მეორე აბზაცი!
- შემომიხაზეთ პირველი აბზაცი!
- შემოხაზეთ ტექსტის ბოლო აბზაცი, ბოლოსწინა აბზაცი,
- შემოხაზეთ ამ აბზაცის მომდევნო აბზაცი!

და მისთ.

ბ) მოსწავლეებს თქვენ აჩვენებთ (შემოხაზავთ): ტექსტს, სათაურს, აბზაცს, აბზაცის დასაწყისს, დასასრულს და ჰკითხავთ: ეს რა არის?

შენიშვნა:
ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რას ნიშნავს სიტყვები: **ბოლო, ბოლოსწინა, მომდევნო.**

აქტივობა 5. ფონოლოგიური თამაში ბგერებით (და არა მარცვლებით!)

ა) ბგერებად დაშლილი სიტყვის ამოცნობა

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს გადააშლევინეთ წიგნი იმ გვერდებზე, სადაც საყრდენი სიტყვებია

(წარწერებიანი სიტყვები), ასწიეთ წიგნი და რიგრიგობით მიუთითეთ სურათებზე: **ბზა, კუ, თხა, ტბა, ტყე, ეზო, სკა, ფისო, ცუგა.** შესაძლებელია, ეს სურათები დაფაზე გამოაკრათ და ისე იმუშაოთ.

(შერჩეულია ორ- და სამბგერიანი სიტყვების სურათები, ასევე ორი ისეთი ოთხბგერიანი, სადაც არ არის თანხმოვნების შეჯგუფება). სიტყვები შეარჩიეთ არეული თანმიმდევრობით, ბგერებად დაშალეთ და ისე წარმოთქვით. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და დაასახელონ შესაბამისი სიტყვა.

ბ) მოკლე სიტყვის დაშლა ბგერებად, ბგერათა რაოდენობის აღნიშვნა

► ინსტრუქცია

დაფაზე გამოაკარით იგივე სურათები.

მიუთითეთ და დაასახელეთ ორ- ან სამბგერიანი სიტყვის შესაბამისი სურათი, მოსწავლეებმა უნდა დაშალონ ბგერებად. თან დაეკითხეთ:

- მაშ, ამ სიტყვაში რამდენი ბგერაა?

სურათის ქვეშ ჩამოუსვით იმდენი ხაზი, რამდენი ბგერააცაა იმ სიტყვაში, თან მოსწავლეებს მიაქცევინეთ ყურადღება: „ნახეთ ამ სიტყვაში სამი ბგერაა, ამიტომ აქ სამი ხაზი ჩამოვუსვი“.

შემდეგ დაფასთან გამოიყვანეთ რამდენიმე მოსწავლე და დაფაზე, შესაბამისი სურათების ქვეშ, ჩამოასმევინეთ იმდენი ხაზი, რამდენი ბგერაც იქნება შერჩეულ სიტყვაში.

კონკრეტულ სამბგერიან სიტყვებზე დაუსვით შეკითხვები ბგერების ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით.


მაგალითად, აჩვენებთ თხის სურათს და **ჰკითხავთ**:

- რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში?
- რომელია პირველი ბგერა?
- **ხ** მერამდენე ბგერაა – პირველი, მეორე თუ მესამე?
- ბოლო ბგერა რომელია?

და მისთ.

აქტივობა 6. ბგერების რაოდენობის აღნიშვნა ხაზებით

თითოეული სურათის ქვეშ ჩამოუსვით იმდენი წითელი ხაზი, რამდენი ბგერაცაა შესაბამის სიტყვაში.



შედეგები შემოწმდება და გასწორდება. შემოწმებისას რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლა დააშლევინეთ ბგერებად.

აქტივობა 7. წინადადების შედგენა და გავრცობა დასახელებული სიტყვებით

► **ინსტრუქცია**

- მოსწავლეებმა თქვენ მიერ დასახელებული ახალნასწავლი სიტყვებიდან (**წერო, ტბა, მუხა რტო**) უნდა შეარჩიონ რომელიმე სიტყვა და მისი გამოყენებით შეადგინონ წინადადებები.
- სავარაუდოდ, შეადგენენ მოკლე (3-4 სიტყვიან წინადადებებს). მათგან აირჩიეთ ერთი წინადადება, მაგალითად: **მამამ მუხა დარგო.** დიდად დაწერეთ ეს წინადადება დაფაზე.

? დასვით შეკითხვები წინადადების გასავრცობად:


- რამდენი სიტყვისგან შედგება ეს წინადადება: **მამამ მუხა დარგო** {სამი სიტყვისგან}
- სად დარგო მამამ მუხა? {მამამ მუხა ეზოში დარგო}
- კარგია, მაგრამ ასე უკეთესი იქნება: **მამამ ეზოში მუხა დარგო.**
- სად დარგო მამამ მუხა, ვის ეზოში – ვისი შეიძლება იყოს ეზო? (ჩვენი, მეზობლის, სკოლის...). კარგია, მაშ, დავწეროთ: **მამამ სკოლის ეზოში მუხა დარგო.**
- სულ რამდენსიტყვიანი გახდა ჩვენი წინადადება? {ხუთსიტყვიანი}
- რამდენსიტყვიანი იყო თავიდან? {თავიდან იყო სამსიტყვიანი}


შენიშვნა: ყოველი ახალი წინადადება დაწერეთ პირველი წინადადების ქვეშ, რათა კარგად გამოჩნდეს მათ შორის განსხვავება სიტყვების რაოდენობის მიხედვით.


აქტივობა 8. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა რვეულში (მოძებნე და შემოხაზე)

პირობა: დააკვირდით ნახატის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვა და ყველა შემოხაზეთ.









აქტივობა 9. თამაში „სიტყვების ლოტო“ (მთა, ია, ხე, თხა)

მერვე აქტივობის სიტყვებისთვის – **მთა, ია, ხე, თხა** – მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები (დაახლოებით, 8 სმ სიმაღლის ასოებით, რათა ყველა მოსწავლემ დაინახოს). შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ, აჩვენებთ მოსწავლეებს სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ბარათის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს. ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

მეთოდიკური მითითებანი: წინასაანბანო პერიოდში კითხვის მთელ-მთელი სიტყვის მეთოდიკით სწავლებისათვის შერჩეულია 50 სიტყვა. საყრდენი სიტყვები ოთხეულებად შემოგვაქვს, თანდათანობით.

დიდ ბარათებზე (A4 ზომისა) მსხვილად დაბეჭდილი საყრდენი სიტყვები თავიანთი სურათებით მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გამოაკრას კედელზე. მან საკლასო ოთახის გვერდითა კედელი მხოლოდ ამ ბარათებისთვის უნდა გამოყოს (რათა მოსწავლეთა ყურადღების ცენტრში მთლიანად სიტყვა+სურათები იყოს, ყურადღების გამფანტავი ფონის გარეშე). კედლის მთელ სიგრძეზე უნდა გაიბას ორი მაგარი მავთული, გამჭვირვალე ფაილებში მოთავსებული სიტყვა+სურათები ორ რიგად დაიკიდოს (ერთ რიგში არ დაეტევა). ფაილები მავთულზე ჩვეულებრივი საკინძებით ჩამოიკიდება. ასე შესაძლებელი იქნება მათი გადასრიალება საჭიროებისამებრ.

წინასაანბანო პერიოდის ბოლოს შემოტანილი (კედელზე დაკიდებული და დამუშავებული) იქნება ყველა საყრდენი სიტყვა. აღნიშნული ბარათები კედელზე საანბანო პერიოდის ბოლომდე მაინც უნდა დარჩეს, რათა მოსწავლემ, საჭიროებისამებრ, შეძლოს შეხედვა და გახსენება.

ამ ბარათების მსგავსი თვალსაჩინოება მოსწავლის წიგნშიცაა. მოსწავლე მასაც ხშირად გამოიყენებს, მათ შორის – შინ მეცადინეობის დროსაც. თუმცა წიგნის თვალსაჩინოება დიდ საკლასო თვალსაჩინოებას სრულფასოვნად ვერ შეცვლის.

მასწავლებელმა მშობლებს უნდა აუხსნას, რომ კითხვას თავისებური, მთელ-მთელი სიტყვების მეთოდიკით ვასწავლით. ამიტომ მშობელი არ უნდა შეეცადოს, რომ ბავშვს ასოები ასწავლოს და სიტყვის ასო-ასო წაკითხვას მიაჩვიოს.

აქტივობა 10. გაფერადება, სიტყვების მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზებით დააკავშირეთ.





მტევანი 3. 2.

აქტივობა 1. მოთხრობის „აი ია“ მეორე ნაწილის მეორე მოსმენა, შინაარსისა და სიტყვების დამუშავება *(კრიტ. 1.1.; 1.2.; 1.3.; 1.4.)*

აქტივობა 2. ტექსტი, სათაური, აბზაცი (ჯერ დაფასთან, შემდეგ რვეულში მუშაობა) *(კრიტ. 3.1.; 3.2)*

აქტივობა 3. წინადადებების შედგენა-გავრცობა დასახელებული სიტყვებით *(კრიტ. 2.1.; 2.2.)*

აქტივობა 4. ტექსტის და ილუსტრაციის შედარება *(კრიტ. 1.1.)*

აქტივობა 5. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა *(კრიტ.6.1.; 6.2.)*

აქტივობა 6. თამაში „სიტყვების ლოტო“ (მზე, ცა, ეზო, ტყე)

აქტივობა 7. გაფერადება, სიტყვების მოძებნა-დაკავშირება

აქტივობა 8. ფონოლოგიური თამაში

ა) ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება *(კრიტ.5.2.)*

ბ) პირველი ბგერის ამოცნობა *(კრიტ. 5.4)*

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 4 სთ.

აქტივობა 1. მოთხრობის „აი ია“ მეორე ნაწილის („სხვის ეზოში“) მეორე მოსმენა. შინაარსისა და სიტყვების დამუშავება

► **ინსტრუქცია**

ხელმეორედ წაუკითხეთ მოსწავლეებს ტექსტის **“აი ია“** მეორე ნაწილი „სხვის ეზოში“ (ისევ ჯოხის ან ხელის გაყოლებით), ოღონდ წაიკითხეთ ოდნავ უფრო აჩქარებულად, ვიდრე თავიდან. ტექსტის შინაარსის გასააზრებლად დასვით შეკითხვები.

? შეკითხვები

პირველი აბზაცისთვის

- რატომ შევარდა თხა სხვის ეზოში?
- რა იყო ეზოში?
- რისთვის გამოიყენება ჭის წყალი? {ჭის წყალი კარგია დასალევად}
- რა იზრდებოდა ჭასთან?
- გაიხსენეთ, რა არის ბზა.
- რა არის რუ? რისთვის იყენებენ?
- რომელი ცხოველი სვამდა რუს წყალს?
- რისი შვილია, რისი ნაშიერია ხბო?
- რას ნიშნავს შეიყუჟა? {დაიმალა, შეიმალა}
- სად შეიყუჟა ეზოში შევარდნილი თხა?
- რამ გააოცა ხბო, როგორ გამოხატა გაოცება?
- კიდევ როგორ შეიძლება გამოვხატოთ გაოცება? სიხარული?

მეორე აბზაცისთვის

- ვინ იჯდა ლელვის ხეზე?
- რატომ იკივლა გოგონამ?
- თქვენ თუ გეშინიათ ჭიისა? სად გინახავთ?
- რატომ გაიქცა თხა ეზოდან?
- რატომ აკისკისდა გოგონა?
- როგორი სიცილია კისკისი? მიჰბაძეთ!

მესამე აბზაცისთვის

- რა დაინახა თხამ გზის პირას?
- გინახავთ ვაზი? რას ისხამს?
- როდის მწიფდება ყურძენი – როდის კრეფენ?
- ბევრი ვაზი რომაა ერთად, იმას რა ჰქვია? {ვენახი}
- რის დანახვამ დაავიწყა თხას შიში?
- რა დაიკიკინა გახალისებულმა თხამ?

აქტივობა 2. ტექსტი, სათაური, აბზაცი (ჯერ დაფასთან, შემდეგ რვეულში მუშაობა)

პირობა: ფანქრით შემოხაზეთ ტექსტის თითოეული აბზაცი.

სხვის ეზოში

შეშინებულ თხას გზა დაებნა. უცებ ლამაზი ეზო დაინახა და შიგ შევარდა. ეზოში ჭა იყო. ჭასთან ბზა იზრდებოდა. ბზასთან რუ მიედინებოდა. რუს წყალს ხბო სვამდა. ხბოს ორი პატარა რქა ჰქონდა. თხამ ხბოს ჩაუქროლა და ბზის ბუჩქებში შეიყუჟა. ხბოს გაუკვირდა და პირი ისე დააღო, რომ ენა გამოუჩნდა.

ეზოში ლელვის ხე იდგა. ხეზე გოგონა იჯდა. მას ოქროსფერი თმა ჰქონდა. უცებ გოგონამ ფოთოლზე ჭია დაინახა და დაიყვირა: – ვაი, ჭია! – გოგონას ყვირილმა თხა დააფრთხო. თხა ბუჩქებიდან გამოვარდა და ეზოდან გავარდა. გოგონა აკისკისდა.

გზაზე თხამ ვაზი დაინახა და მოეწონა. ვაზის ძირში ია იღიმებოდა. – აი ია! – მხიარულად დაიკიკინა თხამ და შიში სულ გადაავიწყდა.

► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გაახსენეთ, რა არის აბზაცი.

დავალება ორგვარია:

ა) მოსწავლე შემოხაზავს თქვენ მიერ მითითებულს: ტექსტს, პირველ, მეორე ან მესამე აბზაცს, მათი დაწყების ან დამთავრების ადგილს.

მოსწავლეებს თქვენ აჩვენებთ (ჯოხით შემოხაზავთ): ტექსტს, სათაურს, რომელიმე აბზაცს, აბზაცის დასაწყისს, დასასრულს). **ჰკითხავთ:**

- ეს რა არის? {აბზაცი, სათაური, ტექსტი...}
- რამდენი აბზაცისგან შედგება ეს ტექსტი?
- რომელია ამ ტექსტის ბოლო აბზაცი? ბოლოსწინა აბზაცი?

- რომელია პირველი აბზაცი?

და სხვა.

ბ) ამის შემდეგ აუხსნით, რა გააკეთონ რვეულებში – მათ უნდა შემოხაზონ ყველა აბზაცი.

აქტივობა 3. წინადადებების შედგენა-გავრცობა დასახელებული სიტყვებით

► **ინსტრუქცია**

- მოსწავლეებს სთხოვეთ გაიხსენონ და დაასახელონ, რა ახალი სიტყვები ისწავლეს მოსმენილი მოთხრობიდან.
- როცა დაასახელებენ **(ბზა, რუ, სკა, ჭა, ხბო...)**, სთხოვეთ შეადგინონ რაც შეიძლება გრძელი წინადადებები. შეკითხვების დასმით დაეხმარეთ წინადადებების გავრცობაში.

ნიმუში: ფუტკრები სკაში შეფრინდნენ.

? შეკითხვები წინადადების გასავრცობად:

- როდის შეფრინდნენ ფუტკრები სკაში? {საღამოს}
- როგორი ფუტკრები შეფრინდნენ სკაში? {შრომით დაღლილი, ბზუილა, მშრომელი}
- როგორ სკაში შეფრინდნენ ფუტკრები? (დიდ სკაში, პატარა სკაში, ლამაზ სკაში, თბილ სკაში}
- როგორ შეფრინდნენ ფუტკრები სკაში? {შეფრინდნენ სიხარულით, სწრაფად, ნელა, ბზუილით}

მნიშვნელოვანია, რომ თქვენს შეკითხვებზე მოსწავლეებმა სრული პასუხები ჩამოაყალიბონ.

სრული წინადადება: საღამოს შრომით დაღლილი ბზუილა ფუტკრები თავიანთ პატარა, თბილ სკაში შეფრინდნენ სიხარულით.

ცხადია, ბავშვები ასეთ სრულ გავრცობას ვერ შეძლებენ, ჩამოაყალიბონ ნაწილობრივ გავრცობილი წინადადადებები – ვინც როგორ შეძლებს.

აქტივობა 4. ტექსტისა და ილუსტრაციის შედარება


პირობა: შეადარეთ სურათები ტექსტს. მოძებნეთ, რა შეეშალა მხატვარს და დაასახელეთ. შემდეგ აღწერეთ ეს სურათები.





აქტივობა 5. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა რვეულში

პირობა: დააკვირდით ნახატის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.




აქტივობა 6. თამაში „სიტყვების ლოტო“ (მზე, ცა, ეზო, ტყე)

სიტყვებისთვის – **მზე, ცა, ეზო, ტყე** – მომზადებული გექნებათ სიტყვების ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ – დაუმატებთ უკვე გამოკრულ წინა 4 სიტყვას ***(იხ. მტევანი 3.1. აქტივობა 9)***, აჩვენებთ მოსწავლეებს სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ იცნონ და დაასახელონ, რომელი სიტყვაა. (მეთოდიკური კომენტარები ***(იხ. მტევანი 3.1. აქტივობა 9).*** ნებისმიერ გაკვეთილზე შეიძლება ერთი-ორი წუთი გამოყოთ თამაშისთვის „სიტყვების ლოტო“.

აქტივობა 7. გაფერადება, სიტყვების მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზებით დააკავშირეთ.



აქტივობა 8. ფონოლოგიური თამაში

► ინსტრუქცია

ა) ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი)

მოსწავლეებს წიგნი გადააშლევინეთ იმ გვერდებზე, სადაც საყრდენი სიტყვების ილუსტრაციებია, ბგერებად დაშლილად სათითაოდ წარმოთქვამთ შემდეგ სიტყვებს:

ბუ / ჟირაფი / ბზა / თოჯინა / რძე / ბაყაყი / რუ / ბელი / რქა / ლეღვი / რტო / პეპელა / რკო.

მოსწავლეებმა ყოველ ჯერზე უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა წარმოთქვით.

მეთოდიკური კომენტარები:

- ბგერები ჯერ აუჩქარებლად წარმოთქვით. ტემპს აუჩქარეთ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მოსწავლეს გამთლიანება გაუჭირდება.
- ბგერების გამთლიანება სიტყვად, ანუ ფონოლოგიური სინთეზი, კითხვის წინარე უმნიშვნელოვანესი შემამზადებელი აქტივობაა. ამიტომ სასურველია, ამ ტიპის სავარჯიშოს ხშირად შეთავაზება მოსწავლეთათვის.

ბ) პირველი ბგერის ამოცნობა – კიდევ ერთხელ დაასახელებთ განხილული სურათების შესაბამის სიტყვებს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი იწყება

- **„ბ“** ბგერით **(ბუ, ბზა, ბაყაყი);**
- **„რ“** ბგერით **(რძე, რქა, რტო, რკო).**

მტევანი 3. 3.

აქტივობა 1. მოთხრობის **„აი ია“** შეჯამება *(კრიტ. 1.1., 1.2; 1.3; 1.4)*

აქტივობა 2. ზედმეტის პოვნა *(კრიტ. 1.1.)*

აქტივობა 3. „ბ“ ბგერაზე დაწყებული სიტყვების შემოხაზვა

აქტივობა 4. ფონოლოგიური თამაში

ა) ახალი სიტყვის მიღება პირველი ბგერის ჩამოშორებით *(კრიტ. 5.5.)*

ბ) ახალი სიტყვის მიღება პირველი ბგერის დამატებით *(კრიტ.5.5)*

აქტივობა 5. წინადადების შედგენა და გავრცობა

აქტივობა 6. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა *(კრიტ. 6.1; 6.2)*

აქტივობა 7. თამაში „სიტყვების ლოტო“ (სკა, ბუ, რკო, რტო) *(კრიტ. 6.2)*

აქტივობა 8. სურათების გაფერადება, სიტყვების მოძებნა-დაკავშირება *(კრიტ. 6.2)*

აქტივობა 9. მოძებნე ზედმეტი და გადახაზე

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 4 სთ.

აქტივობა 1. მოთხრობის „აი ია“ შეჯამება

► **ინსტრუქცია**


მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ზომიერი ტემპით მთლიანად წაუკითხეთ მოთხრობის „აი ია“ ორივე ნაწილი („დილა ტყეში“ და „სხვის ეზოში“).

დაუსვით შეკითხვები მოთხრობის შესაჯამებლად:

- რომელი ცხოველებია ტექსტში ნახსენები? ჩამოთვალეთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ტექსტში იყო (ორჯერ არ გაიმეოროთ). {წერო, კუ, თხა, ბუ, ხბო}
- თქვენ რომელიმე ცხოველი გყავთ სახლში ან სოფლად?
- რომელი ცხოველი გინდათ, რომ გყავდეთ? რატომ?
- რომელი მცენარეებია ნახსენები ტექსტში? ჩამოთვალეთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ტექსტში იყო, ოღონდ ორჯერ არ გაიმეოროთ. {მუხა, ია, ბზა, ლელვი, ვაზი}
- ტექსტში ნახსენები მცენარეებიდან რომელი იყო მარადმწვანე?
- რას ნიშნავს მარადმწვანე? {სულ მწვანე რომაა – ზამთარშიც რომ არ სცვივა ფოთლები}
- თქვენ რომელი მცენარეები გაქვთ ბინაში ან ეზოში?
- წელიწადის რომელი დრო იყო ტექსტში? საიდან იცით?
- ახლა წელიწადის რა დროა?

აქტივობა 2. ზედმეტის პოვნა

პირობა: დააკვირდით სურათებს. მოძებნეთ და შემოხაზეთ ზედმეტები, რომლებიც მოთხრობაში არ გვხვდება.




► ინსტრუქცია

მოსწავლეებს უთხარით, რომ სურათებზე მოძებნონ და შემოხაზონ ის, რაც არაა ნახსენები ტექსტში.

აქტივობა 3. „ბ“ ბგერაზე დაწყებული სიტყვების შემოხაზვა

პირობა: შემოხაზეთ სიტყვები, რომლებიც იწყება „ბ“ ბგერაზე.



მეთოდიკური შეხსენება: შედეგები შემოწმდება და გასწორდება – შემოწმებისას რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლა დააშლევინეთ ბგერებად, დაუსვით შეკითხვები „ბ“ ბგერის ადგილმდებარეობაზე (მაგ., სიტყვაში **ხბო** „ბ“ მერამდენე ბგერაა?).

აქტივობა 4. ფონოლოგიური თამაში

ა) ახალი სიტყვის მიღება პირველი ბგერის ჩამოშორებით

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს სთხოვეთ, რომ თქვენ მიერ დასახელებულ სიტყვებს პირველი ბგერა მოაკლონ. პირველი ნიმუშები თქვენ შეასრულეთ: წარმოთქვით სიტყვა ცხელი.

? **დასვით შეკითხვები:**

- აბა, სიტყვაში **ცხელი** რომელია პირველი ბგერა? {ც}
- ჩამოვაშოროთ პირველი ბგერა **ც.** რა დარჩა? {ხელი}

ახლა წარმოთქვით სიტყვა **ცომი.**

? **დასვით შეკითხვები::**

- რომელია პირველი ბგერა სიტყვაში **ცომი?** {ც}
- რა სიტყვას მივიღებთ, პირველი ბგერა რომ ჩამოვაშოროთ? {ომი};

ასე განაგრძეთ სხვა სიტყვებზეც:

თათი – ათი
ჯიხვი – იხვი
ქალი – ალი
ღორი – ორი
შავი – ავი

ბ) ახალი სიტყვის მიღება ბგერის დამატებით

► **ინსტრუქცია**

ამის შემდეგ პირიქით გააკეთეთ – მოსწავლეებს უთხარით: *„მე ვიტყვი სიტყვას და თქვენ დაამატეთ პირველი ბგერა ისე, რომ სხვა სიტყვა გამოვიდეს“.* თუ ვერ მიაგნებენ ასეთ ბგერას, თქვენ უკარნახეთ, სიტყვა კი თავად დაასახელონ.

პირველი ნიმუშები თქვენ გააკეთეთ.

ათი – თათი
იხვი – ჯიხვი
ალი – ბალი, ქალი, ხალი, დალი
ორი – ღორი, ჯორი, ტორი, მორი
ავი – შავი, ნავი, თავი

აქტივობა 5. წინადადების შედგენა და გავრცობა

მოსწავლეებს გაახსენეთ ლექსი **„სკოლისაკენ“** და სთხოვეთ დაასახელონ ახალნასწავლი სიტყვები ამ ლექსიდან **(სტყორცნა, მარდად, მიეშურება, მწერი...)**. მათ უნდა შეარჩიონ რომელიმე სიტყვა და მისი გამოყენებით შეადგინონ წინადადებები.

მოსწავლეთა შედგენილი წინადადებებიდან შეარჩიეთ რომელიმე


მაგ.: ბაჭია მარდად დახტის.

შეკითხვებით დაეხმარეთ წინადადების გავრცობაში:

- როგორი ბაჭია დახტის მარდად, ცქვიტად – როგორი შეიძლება იყოს ბაჭია? {თეთრი ბაჭია, საყვარელი ბაჭია, ყურცქვიტა ბაჭია}
  „თეთრი ბაჭია მარდად დახტის“.
- სად დახტის თეთრი ბაჭია? {მინდორში ტყეში...}
  „თეთრი ბაჭია მინდორში მარდად დახტის“.
- რამდენსიტყვიანია ეს წინადადება? {ხუთსიტყვიანი}
- რამდენსიტყვიანი იყო თავიდან? {თავიდან იყო სამსიტყვიანი}

აქტივობა 6. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა რვეულში

პირობა: დააკვირდით ნახატის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 7. თამაში „სიტყვების ლოტო“ (სკა, ბუ, რკო, რტო)

სიტყვებისთვის **სკა, ბუ, რკო, რტო** მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ – დაუმატებთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებს. აჩვენებთ მოსწავლეებს სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ და დაასახელონ, რომელი სიტყვაა. ნებისმიერ გაკვეთილზე შეიძლება ერთი-ორი წუთი გამოყოთ თამაშისთვის „სიტყვების ლოტო“. (მეთოდიკური კომენტარები იხ. *(მტევანი 3.1. აქტივობა 9)*

აქტივობა 8. გააფერადება, სიტყვების მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზებით დააკავშირეთ.



აქტივობა 9. მოძებნეთ ზედმეტი სიტყვა და გადახაზეთ.



რტო | რტო | რკო | რტო | რტო

მტევანი 3.4

აქტივობა 1. ტექსტის თხრობა ილუსტრაციებზე დაყრდნობით *(კრიტ. 2.4)*

აქტივობა 2. რა შეეშალა მხატვარს *(კრიტ. 1.2)*

აქტივობა 3. მთელ-მთელი სიტყვების ცნობა

მოსწავლის წიგნი

აქტივობა 4. ფონოლოგიური თამაში ბგერებით

ა) ერთი ბგერით განსხვავებულ სიტყვათა სურათების დაკავშირება ხაზით *(კრიტ.5.7)*

ბ) დამატებითი (უფრო მაღალი მზაობის მოსწავლეებისათვის) განსხვავებული ბგერის ადგილმდებარეობის ამოცნობა *(კრიტ. 5.3.; 5.4.)*

აქტივობა 5. წინადადებების შედგენა და განვრცობა დასახელებული სიტყვებით

აქტივობა 6. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა რვეულში (კუ, რუ, ჭა, ჭია) *(კრიტ. 6.1; 6.2)*

აქტივობა 7. თამაში „სიტყვების ლოტო“ (კუ, რუ, ჭა, ჭია) *(კრიტ. 6.2)*

აქტივობა 8. გაფერადება, სიტყვების მოძებნა-დაკავშირება *(კრიტ. 6.1; 6.2)*

აქტივობა 9. მოძებნე ზედმეტი და გადახაზე *(კრიტ. 6.1; 6.2)*

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 4 სთ.

აქტივობა 1. ტექსტის თხრობა ილუსტრაციებზე დაყრდნობით

პირობა: დაათვალიერეთ ილუსტრაციები მოთხრობისა „აი ია“. მათზე დაყრდნობით გაიხსენეთ მთლიანი მოთხრობა და გადმოეცით შინაარსი.



► **ინსტრუქცია**

თანმიმდევრულადაა მოცემული მოთხრობის **„აი ია“** შინაარსის ამსახველი ილუსტრაციები. მათზე დაყრდნობით მოსწავლეებმა უნდა გადმოსცენ მოთხრობის შინაარსი. აჯობებს, თხრობა თითოეული სურათის მიხედვით წარიმართოს და სხვადასხვა მოსწავლემ განაგრძოს. გზადაგზა შესაძლებელია დეტალების დამატება და დაზუსტება. ბოლოს საჭიროა, ტექსტი გამთლიანდეს. მთლიანი ტექსტის თხრობა მას დაავალეთ, ვისაც ეს არ გაუჭირდება.

აქტივობა 2. რა შეეშალა მხატვარს?

პირობა: დააკვირდით მოთხრობის ბოლო სურათს. რა შეეშალა მხატვარს?

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს სთხოვეთ, კარგად დაათვალიერონ ბოლო ილუსტრაცია (თხა გზის პირას, ყურძნებიან ვაზთან დგას, ვაზის ძირას ამოსულ იას უყურებს).


უთხარით: „ამ ილუსტრაციის დახატვისას მხატვარს რაღაც შეეშალა – მას არ ახსოვდა, რომ ტექსტში გაზაფხულია და რაღაც ისე დახატა, რომ გაზაფხულს არ შეესაბამება. მოიფიქრეთ, რა შეეშალა მხატვარს.“


სავარაუდოდ, მოსწავლეები თავად ვერ აღმოაჩენენ შეცდომას, ამიტომ თქვენ უნდა დაეხმაროთ **შეკითხვებით:**

- წელიწადის რომელი დროა ტექსტში? (მინიშნება – იაა აღმოცენებული, თბილა)
- გაზაფხულზე ვაზს მწიფე ყურძენი ასხია? {არა, სულ არ ასხია, მარტო ფოთლები აქვს გაზაფხულზე}
- აბა, ახლა სურათს დააკვირდით – როგორი ვაზი ხატია? {მწიფემტევნებიანი}
- რა შეშლია მხატვარს? {მხატვარმა ვაზი რომ მწიფე ყურძნებით დახატა, გაზაფხულზე ვაზს ნაყოფი ჯერ კიდევ არა აქვს}.

აქტივობა 3. მთელ-მთელი სიტყვების ცნობა

პირობა: ქვემოთ, ფერად ბარათებზე მოცემული სიტყვები მოძებნეთ სურათზე და ამოიცანით, რა წერია.






მზე მთა ცა
ტბა წერო ტყე

ბზა თხა ქია
რუ ჭა ხე


აქტივობა 4. ფონოლოგიური თამაში ბგერებით

ა) პირობა: დააკვირდით სურათებს, დაასახელეთ, რას ხედავთ. ხაზით შეაერთეთ მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავებული სიტყვები.



შედეგები შემოწმდება და გასწორდება – შემოწმებისას რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლა დააშლევინეთ ბგერებად და დაასახელებინეთ განსხვავებული ბგერა.

ბ) პირობა: სიტყვების ამ წყვილებში მოძებნეთ განსხვავებული ბგერები და დაასახელეთ. გააფერადეთ შესაბამისი ხაზი თითოეული სურათის ქვეშ.



► **ინსტრუქცია**

დააკვირვეთ მოსწავლეები ნიმუშზე.

უთხარით:

- დაასახელეთ ამ წყვილის პირველი სიტყვა. რამდენი ბგერისგან შედგება ის?
- ახლა დააკვირდით სიტყვის ქვეშ ჩამოსმულ ხაზებს. რამდენი ხაზია? რატომ?

{ხაზები სიტყვაში ბგერების რაოდენობას აღნიშნავს}.

იგივე გააკეთეთ მეორე სიტყვაზე.

- ეს ორი სიტყვა მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდება ერთმანეთისგან.
- რომელია ეს ერთი განსხვავებული ბგერა?
- მერამდენე ბგერაა განსხვავებული?

დააკვირდით: სწორედ პირველი ხაზია წითლად გაფერადებული **ხართანაც** და **ზართანაც** – ანუ ეს ხაზები აღნიშნავს, სად არის განსხვავებული ბგერა.

მომდევნო ნიმუში მოსწავლეებთან ერთად გააკეთეთ. შემდეგ კი მოსწავლეები მზაობის შესაბამისად იმუშავებენ – დამოუკიდებლად ან თქვენი დახმარებით.

აქტივობა 5. წინადადების შედგენა და გავრცობა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს დაუსახელეთ სიტყვები მოსმენილი მოთხრობიდან (მაგ.: **შეიყუჟა, მიბაკუნდა, აკისკისდა**). სთხოვეთ, რომ ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინონ რაც შეიძლება ვრცელი წინადადებები.

მაგ.: **თხა ვაზთან მიბაკუნდა**

? **შეკითხვები წინადადების გასავრცობად:**

- როგორი თხა მიბაკუნდა ვაზთან? {შავი, ჭრელი, წვერცანცარა...}
- როგორ ვაზთან მიბაკუნდა წვერცანცარა თხა? {დახუნძლულ, დიდმტევნებიან ვაზთან...}
- როგორ მიბაკუნდა თხა ვაზთან? {ამაყად, კიკინით...}

სრული წინადადება: **ჭრელი თხა კიკინით მიბაკუნდა დახუნძლულ ვაზთან.**

შენიშვნა: ყოველ შეკითხვაზე მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ სრული პასუხი.


ანდა: ჩიტი ფოთლებში შეიყუჟა

- როგორი ჩიტი შეიყუჟა ფოთლებში? {სველი, შეშინებული, ღაბუა... ჩიტი}
- როგორ ფოთლებში შეიყუჟა ჩიტი? {მწვანე, ხასხასა...ფოთლებში}
- როდის შეიყუჟა ჩიტი ფოთლებში? {საღამოს, წვიმის დროს...}

სრული წინადადება: საღამოს შეშინებული ჩიტი მწვანე ფოთლებში შეიყუჟა.

აქტივობა 6. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა

პირობა: დააკვირდით ნახატის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.




აქტივობა 7. თამაში „სიტყვების ლოტო“ (კუ, რუ, ჭა, ჭია)

► ინსტრუქცია

სიტყვებისთვის – **კუ, რუ, ჭა, ჭია** – მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ – დაუმატებთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებს, აჩვენებთ მოსწავლეებს სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ და დაასახელონ, რომელი სიტყვაა. ნებისმიერ გაკვეთილზე შეიძლება ერთი-ორი წუთი გამოყოთ თამაშისთვის „სიტყვების ლოტო“ (მეთოდიკური კომენტარები იხ. *მტევანი 3.1. აქტივობა 9).*

აქტივობა 8. გააფერადება, სიტყვების მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზებით დააკავშირეთ.



ჭა | რუ | ჭია | კუ

აქტივობა 9. მოძებნეთ ზედმეტი სიტყვა და გადახაზეთ.



კუ | კუ | რუ | კუ | კუ | კუ



ჭია | ჭია | ჭა | ჭია | ჭია

მტევანი 3.5

აქტივობა 1. ფონოლოგიური თამაში

აქტივობა 2. „ი“ ბგერაზე დაწყებული სიტყვების შემოხაზვა

აქტივობა 3. ფონოლოგიური თამაში


აქტივობა 4. ფონოლოგიური გამოცანების გამოცნობა

შემოქმედებითი დავალების შესრულება

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 3 სთ.

აქტივობა 1. ფონოლოგიური თამაში

პირობა: შემოხაზეთ, რომელი სიტყვები იწყება „ს“ ბგერით.



შემოხაზეთ, რომელი სიტყვები იწყება „ი“ ბგერით.



აქტივობა 2. ფონოლოგიური თამაში
ახალი სიტყვის მიღება შუა ბგერის ჩამატებით


► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს დაუსახელებთ ქვემოთ მოცემულ სიტყვებს. ამ სიტყვებს მოსწავლეებმა შუა ბგერა უნდა დაუმატონ ახალი სიტყვის მისაღებად. თუ ვერ მოძებნიან ასეთ ბგერას, თქვენ უკარნახეთ, სიტყვა კი თავად დაასახელონ:

სამი (სკამი)
კარი (კასრი)
ბერი (ბევრი)
მეხი (მერხი)
გორა (გოგრა)

აქტივობა 3. ფონოლოგიური თამაში – ბგერების რაოდენობის აღნიშვნა

პირობა: ჩამოუსვით იმდენი ხაზი, რამდენი ბგერაცაა შესაბამის სიტყვაში.



შედეგები შემოწმდება და გასწორდება – შემოწმებისას რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლა დააშლევინეთ ბგერებად.

აქტივობა 4. ფონოლოგიური გამოცანების ამოცნობა

ეს აქტივობა მოსწავლეებს შეამზადებს იმისთვის, რომ მათ დამოუკიდებლად შეასრულონ შემოქმედებითი დავალება (გამოცანის შედგენა).

► **ინსტრუქცია**

დაფაზე გამოაკრავთ ან მოსწავლეები რვეულში ნახავენ შემდეგ სურათებს:

ბუ ბელი ბზა მზე მთა მეფე

ჯერ თითოეულ სიტყვას დაასახელებინებთ, შემდეგ შესთავაზებთ გამოცანებს შემდეგნაირად:

ჩაიფიქრებთ სურათებიდან ერთ-ერთ სიტყვას და დაასახელებთ ამ სიტყვის პირველ ბგერას, შემდეგ იტყვით ამავე სიტყვის ბგერათა რაოდენობას. მოსწავლეებმა სურათების დახმარებით უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა ჩაიფიქრეთ და ახსნან, როგორ ამოიცნეს – ხმამაღლა დაშალონ სიტყვა ბგერებად, თან დაითვალონ და დაასახელონ პირველი ბგერა. საჭიროებისამებრ დაეხმარეთ ახსნაში. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მათ გაიგონ, თვითონ როგორ უნდა შეადგინონ გამოცანა.

შემოქმედებითი დავალება

პირობა: აირჩიეთ სიტყვა და მოამზადეთ გამოცანა. უთხარით თანაკლასელს, რომელი ბგერით იწყება და რამდენი ბგერისგან შედგება თქვენი საიდუმლო სიტყვა. ვნახოთ, თუ გამოიცნობენ, რომელი სიტყვა ჩაიფიქრეთ.



► ინსტრუქცია

- მოსწავლეები დააწყვილეთ და სთხოვეთ დააკვირდნენ რვეულში მოცემულ სურათებს. თითოეულმა წყვილმა ამ სურათებიდან უნდა აირჩიოს თითო სურათი; ამ სურათის შესაბამისი სიტყვა უნდა დაშალონ ბგერებად;
- სურათის ქვეშ ჩამოუსვან იმდენი ხაზი, რამდენი ბგერაცაა მათ მიერ არჩეული სურათის შესაბამის სიტყვაში.

გამოცანის წარდგენა:
წყვილი წარადგენს გამოცანას შემდეგნაირად: დაასახელებს შერჩეული სიტყვის პირველ ბგერას და ამავე სიტყვის ბგერათა რაოდენობას. სხვა მოსწავლეებმა სურათების დახმარებით უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვაა.

? გამოცანის წარმდგენი მოსწავლისთვის დასასმელი შეკითხვები:

- რომელი ბგერით იწყება თქვენი არჩეული საიდუმლო სიტყვა?
- რამდენი ბგერისგან შედგება?

? გამოცანის გამომცნობი მოსწავლეებისთვის დასასმელი შეკითხვები:

- აბა, როგორ გგონიათ, რომელი სიტყვაა?
- საიდან მიხვდით? აბა, აგვიხსენით!

? დამხმარე შეკითხვები:

- რომელი ბგერით იწყება?
- რამდენი ბგერისგან შედგება?
- აბა, ბგერები წარმოთქვით და დაფაზე ხაზები ჩამოუსვით – რამდენი ბგერა გამოვიდა?

თავი 2. ქალაქის უცნაური სტუმრები

გრძელვადიანი მიზნები

სამიზნე ცნება: ტექსტი

- **სამიზნე ცნების მოცულობა:** ჟანრი, ტექსტის შინაარსი, ტექსტი ენა, ტექსტის სტრუქტურა-აგებულება, სამეტყველო ქმედება, საკომუნიკაციო სიტუაცია, არავერბალური მეტყველების საშუალებები.

სამიზნე ცნება: სიტყვა

- **სამიზნე ცნების მოცულობა:** თემატური ლექსიკა, ფუნქციური ლექსიკა, სიტყვაწარმოება, შესიტყვებები, სიტყვის ბგერითი ფორმა, სიტყვის აგებულება, სიტყვათა სემანტიკური კავშირები.

სამიზნე ცნებები – წარმოთქმული სიტყვა (სიტყვის ხმოვანი ფორმა); დაწერილი სიტყვა (სიტყვის გრაფიკული ფორმა).

შუალედური მიზნები

1. მოთხრობის „ბელები ქალაქში“ მოსმენა და გაგება-გააზრება (ცნება – ტექსტის შინაარსი, ტექსტის ენა);

შეფასების კრიტერიუმები:

1.1. ტექსტში პირდაპირ მოცემული ინფორმაციის ამოცნობა;

1.2. არაპირდაპირ, მინიშნებებით მოცემული, ნაგულისხმევი ინფორმაციის ამოცნობა, მინიშნებებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა (მაგ., პერსონაჟთა შორის არსებული ურთიერთობების ამოცნობა, მოქმედებათა თანმიმდევრობის ამოცნობა, მოქმედების დროისა და ადგილის ამოცნობა);

1.3. შინაარსის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება (მაგ., ტექსტის შინაარსთან, პერსონაჟის ქცევასთან დაკავშირებით);

1.4. უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა 1-ელი კლასის დონის შესაბამისი კონტექსტური გასაღებების გამოყენებით.

2. ქალაქის ილუსტრაციების აღწერა, ზღაპრის „ბელები ქალაქში“ ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამბის გადმოცემა, ვრცელი წინადადებების შედგენა (ცნება – სამეტყველო ქმედება);

შეფასების კრიტერიუმები:

2.1. წინადადების შედგენა და გავრცობა შეკითხვების დახმარებით;

2.2. მასწავლებლის მიერ ნათქვამი ვრცელი წინადადებების წარმოთქმა;

2.3. ნაცნობი სიუჟეტის მქონე სურათის აღწერა შეკითხვების დახმარებით;

2.4. სურათებზე დაყრდნობით ამბის გადმოცემა ზეპირმეტყველებით.

3. ტექსტში (მოთხრობა „აი ია“) სათაურისა და აბზაცის ამოცნობა **(ცნება – ტექსტის აგებულება);**

<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>

3.1. ტექსტის სათაურის, მითითებული აბზაცის, სტრიქონის, სიტყვის მოძებნა;

3.2. აბზაცში სტრიქონების რაოდენობის განსაზღვრა.

4. თემასთან და შესწავლილ მოთხრობასთან დაკავშირებული ნაკლებადცნობილი სიტყვების ათვისება (ცნება – თემატური ლექსიკა);

<u>შეფასების კრიტერიუმი:</u>

4.1. ახალნასწავლი სიტყვების გაგება და გამოყენება.

5. თემასთან, ტექსტთან დაკავშირებული მოსასმენი სიტყვები (ცნება – წარმოთქმული სიტყვა);

<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>

5.1. წარმოთქმული სიტყვის დაშლა ბგერებად (ფონოლოგიური ანალიზი), ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი);

5.2. წარმოთქმულ სიტყვაში ბგერების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის ამოცნობა.

6. სამიზნე ცნება – დაწერილი სიტყვა.

<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>

6.1. სიტყვის ხმოვანი და გრაფიკული ფორმის ურთიერთდაკავშირება;

6.2. სიტყვის გრაფიკული ფორმის ამოცნობა ნიმუშზე დაყრდნობით.

შემოქმედებითი დავალება – მასწავლებელი კალამი: ამბის შეთხზვა (რა მოხდებოდა, პოლიციელებს ბელები ზოოპარკში რომ წაეყვანათ).

დავალების შეფასების კრიტერიუმები
მოსწავლე ნაშრომის წარდგენისას:

- გადმოსცემს ამბის დასაწყისს, შუა ნაწილს, დასასრულს;
- განავრცობს მითითებულ წინადადებას;
- დაწერილ ტექსტში მიუთითებს სათაურს, აბზაცს, სტრიქონს, სიტყვას;
- ტექსტში ამოიცნობს და მიუთითებს ნასწავლ საყრდენ სიტყვებს.

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა – 31-34 სთ.


მტევანი 1.

აქტივობა 1. სურათების აღწერა შეკითხვებით
აქტივობა 2. სტრიქონი – აბზაცში სტრიქონის მოძებნა
აქტივობა 3. ფონოლოგიური გამოცანები ილუსტრაციაზე დაყრდნობით
აქტივობა 4. წინადადების შედგენა და გავრცობა
აქტივობა 5. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება **(ჩაი, ხბო, ჩანთა, ფისო)**
აქტივობა 6. თამაში „სიტყვების ლოტო“ **(ჩაი, ხბო, ჩანთა, ფისო)**
აქტივობა 7. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება
აქტივობა 8. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა
აქტივობა 9. ფონოლოგიური თამაში („ა“ და „თ“ ბგერებზე)
აქტივობა 10. ფონოლოგიური თამაშები რვეულში

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 5 სთ.

აქტივობა 1. სურათების აღწერა შეკითხვებით

პირობა: აღწერეთ სურათები.





► ინსტრუქცია

დაფაზე გამოაკარით და მოსწავლეებს აჩვენეთ ქალაქის სურათები (ან წიგნებში ნახონ).

დაუსვით შეკითხვები:

- რას ხედავთ **პირველ სურათზე?**
- რას აკეთებენ ადამიანები? {ქუჩაზე (ზებრაზე) გადადიან}
- რატომაა გაჩერებული მანქანები და ავტობუსები? {შუქნიშანზე წითელია ანთებული}
- სკვერს სად ხედავთ, მარჯვნივ თუ მარცხნივ?
- რა არის სკვერში?
- ვის ხედავთ სკვერში?

- რას აკეთებენ ბავშვები სკვერში?
- რას აკეთებს წითელკაბიანი გოგონა? მწვანექურთუკიანი ბიჭი?
- რას ხედავთ **მეორე სურათზე?**
- ვინ იცის, ეს რა მანქანაა? (მიუთითეთ ბულდოზერზე)
- რისთვის იყენებენ ბულდოზერს?
- ბულდოზერის მარცხნივ რას ხედავთ? {ამწეს}
- რისთვის იყენებენ ამწეს?
- შადრევანი სად არის? ვის ხედავთ შადრევანთან?
- რას აკეთებს მოხუცი კაცი?
- რას შვრებიან მტრედები?
- რას აკეთებს ქალი?
- როგორ გგონიათ, აქ რა არის? (მიუთითეთ ზოოპარკის შენობაზე)
- ვის ხედავთ ზოოპარკთან?
- ყოფილხართ ზოოპარკში? რა ნახეთ იქ?
- კიდევ რას ხედავთ სურათზე?

საგზაო წესები:

- აბა, ვინ იტყვის, ეს რა არის? (ხელით ან ჯოხის წვერით აჩვენეთ შუქნიშანი)
- რისთვის არის შუქნიშანი საჭირო?
- რამდენი ფერი აქვს შუქნიშანს?
- გადასასვლელზე გადასვლა როდის შეიძლება? {როცა მწვანე აინთება}
- შუქნიშანი რომ არ იყოს, რა მოხდებოდა?
- აბა, შეხედეთ, ამ ადგილს რა ჰქვია, ქუჩები რომ ერთდება? (აჩვენეთ გზაჯვარედინი)
- ვინ მეტყვის, რატომ ჰქვია გზაჯვარედინი?
- სად გინახავთ გზაჯვარედინი?
- ამას რა ჰქვია, გზაჯვარედინზე რომ ზოლებია? (მიუთითეთ „ზებრაზე“)
- თქვენ თუ იცავთ წესებს ქუჩაზე ან გზაჯვარედინზე გადასვლისას?
- რა საჭიროა წესები? რისთვის უნდა დავიცვათ წესები?
- რა წესები უნდა დავიცვათ ქუჩაზე ან გზაჯვარედინზე გადასვლისას?

და მისთ.

აქტივობა 2. სტრიქონი – აბზაცში სტრიქონის მოძებნა

► ინსტრუქცია

აბზაცის შემდეგ მოსწავლეებს აჩვენეთ, რა არის სტრიქონი

(რადგან სტრიქონი გაცილებით უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე წინადადება, ამიტომ სტრიქონი წინადადებაზე ადრე ისწავლება).

გამოიყენეთ ტექსტის **„აი ია“** პირველი ნაწილი.

საჩვენებელი ჯოხით შემოხაზეთ დაფაზე გაკრული ტექსტის ერთი სტრიქონი – აჩვენეთ მისი დასაწყისი და ბოლო.

უთხარით:

- აბზაცი შედგება სტრიქონებისგან, აი, ეს არის სტრიქონი – აქედან აქამდე. ეს არის მეორე სტრიქონი! (აჩვენეთ სტრიქონი ქვეშ ჯოხის გაყოლებით) ესეც – მესამე სტრიქონი!

? დასვით შეკითხვები:

- ესე იგი, აბზაცი შედგება რისგან? {სტრიქონებისგან}
- სად არის ამ ტექსტის მესამე აბზაცი? შემოხაზეთ!
- მაჩვენეთ მესამე აბზაცის პირველი სტრიქონი.
- ამ აბზაცის ბოლო სტრიქონი რომელია? შემოხაზეთ!
- რამდენი სტრიქონისგან შედგება ეს აბზაცი? აბა, დავთვალოთ!
- მომდევნო აბზაცი რამდენი სტრიქონისგან შედგება?

და მისთ.

დავალებები ორგვარი შეიძლება იყოს:

1. **გამოდის მოსწავლე და აჩვენებს ან შემოხაზავს მითითებულს:** ამა თუ იმ აბზაცის რომელიმე სტრიქონს (პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ბოლო სტრიქონს); მათი დაწყებისა ან დამთავრების ადგილს, სათაურს;

2. **მასწავლებელი გახაზავს რომელიმე სტრიქონს და მოსწავლეებს ეკითხება**, თუ მერამდენეა ეს სტრიქონი; ანდა აჩვენებს რამეს და მოსწავლეებს ეკითხება, თუ რა აჩვენა {სტრიქონი, სათაური, სტრიქონის დასასრული, სტრიქონის დასაწყისი...}; ან – რამდენი სტრიქონისგან შედგება ეს აბზაცი.

თანდათან ემატება ახლებური შეკითხვებიც:

- რომელია ამ სტრიქონის მომდევნო (შემდეგი) სტრიქონი?
- რომელია ამ სტრიქონის წინა სტრიქონი?
- რომელია ამ სტრიქონის შემდეგი სტრიქონი? ბოლოსწინა სტრიქონი?

აქტივობა 3. ფონოლოგიური გამოცანები ილუსტრაციაზე დაყრდნობით (ფონოლოგიური სინთეზი)

► ინსტრუქცია

ხმამაღლა წარმოთქვამთ ბგერებად დაშლილ სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვაა და გაამთლიანონ. შეარჩიეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ქალაქის სურათზეა ასახული. ეტაპობრივად სულ უფრო მეტმარცვლიანი სიტყვები შერჩიეთ. მოსწავლეებს ამოცნობა თუ გაუჭირდებათ, ეტყვით, რომ ეს სიტყვა სურათზეა და კიდევ ერთხელ წარმოთქვამთ დანაწევრებულად. სურათზე მოძებნა მოსწავლეებს დაეხმარება სიტყვის ამოცნობა-გამთლიანებაში.

დაშლილად წარმოსათქმელი სიტყვების სარეკომენდაციო ჩამონათვალი: ***ქუჩა, სახლი, ბუჩქი, სკვერი, მტრედი, მანქანა, ავტობუსი, საქანელა, სასრიალო, შუქნიშანი, გზაჯვარედინი, ბულდოზერი, ზოოპარკი, გადასასვლელი, შადრევანი***

მეთოდიკური შეხსენება:

- ბგერები ჯერ აუჩქარებლად წარმოთქვით. ტემპს აუჩქარეთ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მოსწავლეს გამთლიანება გაუჭირდება.
- ბგერების სიტყვად გამთლიანება, ანუ სინთეზი, კითხვისთვის შემამზადებელი უმნიშვნელოვანესი აქტივობაა, ამიტომ სასურველია ამ ტიპის სავარჯიშოს ხშირად შეთავაზება მოსწავლეთათვის.

აქტივობა 4. წინადადების შედგენა და გავრცობა

► ინსტრუქცია

მოსწავლეებმა თქვენ მიერ მითითებული სიტყვების გამოყენებით უნდა შეადგინონ, რაც შეიძლება, ვრცელი წინადადებები. შეუძლიათ, ერთ წინადადებაში ერთად გამოიყენონ თქვენ მიერ დასახელებული ორი ან მეტი სიტყვა. შეკითხვებით დაეხმარეთ წინადადებების გავრცობაში.

სიტყვები: **შადრევანი, ძელსკამი, თაღი, ბორცვი (სურათზე, ბულდოზერთან ქვიშის ორი ბორცვია).**

მაგალითად, გასავრცობი წინადადება: ბავშვებმა შადრევანი დაინახეს.

? შეკითხვები გასავრცობად:

- სად დაინახეს ბავშვებმა შადრევანი? {ბაღში}
- როგორი შადრევანი დაინახეს ბავშვებმა ბაღში? {დიდი, ლამაზი}

გავრცობილი წინადადება: ბავშვებმა ბაღში დიდი ლამაზი შადრევანი დაინახეს.

სრული გავრცობილი წინადადება გაამეორებინეთ რამდენიმე მოსწავლეს.

ან კიდევ: სკვერში შადრევანი მოაწყვეს.

? შეკითხვები გასავრცობად:

- როდის მოაწყვეს სკვერში შადრევანი – როდისაა შადრევანი კარგი? {ზაფხულში}
- როგორი შადრევანი მოაწყვეს სკვერში – როგორი შეიძლება იყოს შადრევანი? (დიდი, პატარა, ფერადი}
- ვის სკვერში მოაწყვეს ფერადი შადრევანი? (ქალაქის სკვერში, ჩვენს სკვერში}

გავრცობილი წინადადება: ზაფხულში ქალაქის სკვერში ფერადი შადრევანი მოაწყვეს.

აქტივობა 5. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება

პირობა: დააკვირდით სურათის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 6. თამაში „სიტყვების ლოტო“ (ჩაი, ხბო, ჩანთა, ფისო)

► ინსტრუქცია

- ამ აქტივობის სიტყვებისთვის – **ჩაი, ხბო, ჩანთა, ფისო** – მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებთან ერთად (თუ არ გაქვთ გამოსაკრავი სურათები, მოსწავლეები რვეულის სურათებს გამოიყენებენ).
- მოსწავლეებს აჩვენებთ სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს. ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

მეთოდიკური შეხსენება: მოსწავლეებს არ ევალებათ სიტყვების გაშიფვრა-ამოკითხვა, ისინი სიტყვების გრაფიკულ ხატს მთლიანად, „ფოტოგრაფიულად“ იმახსოვრებენ. თამაში „სიტყვების ლოტო“ სასურველია, ყოველ მეორე გაკვეთილზე ჩატარდეს. ***(იხ. თავი 1. მტევანი 3.1. აქტივობა 9).***

აქტივობა 7. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზით დააკავშირეთ ერთმანეთთან.

შენიშვნა: ეს უკვე კარგად ნაცნობი აქტივობაა და სასურველია, მოსწავლეებმა შინ შეასრულონ.



აქტივობა 8. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

ა) პირობა: დააკავშირეთ სურათი შესაბამის სიტყვასთან. მოძებნეთ უსურათოდ დარჩენილი სიტყვა და შემოხაზეთ.



► **ინსტრუქცია**

რაკი ამ ტიპის აქტივობა პირველად კეთდება, სასურველია, ერთი-ორი ნიმუში მოსწავლეებთან ერთად შეასრულოთ:

მოსწავლეებს ჯერ დაასახელებინეთ, რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ დააკვირვეთ ნიმუშზე – სურათის ქვეშ მოცემული სიტყვა ხაზითაა დაკავშირებული იმავე სიტყვასთან შუა სვეტში. ერთად დააკავშირეთ მომდევნო ორი სიტყვა. დარჩება სიტყვა „ციო“, ძალიან მნიშვნელოვანია, არ უთხრათ, რა სიტყვაა – მომდევნო **(ბ)** პუნქტში სიურპრიზად აღმოაჩენენ!

ბ) პირობა: დააკვირდით წინა დავალებაში თქვენ მიერ შემოხაზულ სიტყვას. იგივე სიტყვა მოძებნეთ სურათების ქვეშ. გააფერადეთ შესაბამისი სურათი.



აქტივობა 9. ფონოლოგიური თამაშები
ა) მითითებული ბგერის ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს უთხარით:

„მე დავასახელებ სიტყვებს. ტაში უნდა დაუკრათ მხოლოდ იმ სიტყვებზე, რომლებშიც გაიგონებთ **„თ“** ბგერას.

შემდეგ ხმამაღლა წარმოთქვით სიტყვები: **თითი**, **ტყე, თევზი, წერო, თხა, ბელი, ჩანთა, კურდღელი, სოკო, თუთიყუში, თეფში, კალათა.**


ბ) ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი)

► **ინსტრუქცია**

ხმამაღლა წარმოთქვამთ ბგერებად დაშლილ სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა წარმოთქვით და გაამთლიანონ. სასურველია, დაშლილად წარმოსათქმელი ყველა სიტყვა შეიცავდეს ბგერას **„ა“: თხა / ატამი / ჩანთა / დაფა / ჩაი / აკვანი / აფრა / ოთახი / დათვი.**

აქტივობა 10. ფონოლოგიური თამაშები რვეულში

ა) პირობა: დააკვირდით ნიმუშს. წერტილით მონიშნულია ის მარცვალი, რომელშიც არის ბგერა „ა“. ახლა თქვენ სხვა სიტყვებშიც მონიშნეთ წერტილით, სად, რომელ მარცვლებშია ბგერა „ა“.



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ, სიტყვის რომელ მარცვალში ან მარცვლებშია ბგერა **„ა“** და იქ დასვან წერტილი. ერთი ნიმუში დაფაზე გააკეთეთ მათთან ერთად.

მეთოდიკური შეხსენება:

ჩვეულებისამებრ, თქვენ მერხებს შორის ივლით და ნახავთ, ვინ შეასრულებს სწორად და ვის სჭირდება დახმარება.

შედეგები შემოწმდება და გასწორდება. მნიშვნელოვანია, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ მარცვლებად. მათ უნდა დაასახელონ ის მარცვალი ან მარცვლები, რომლებშიც არის მითითებული ბგერა.

ბ) **„თ“ ბგერით დაწყებული სიტყვების შემოხაზვა**

პირობა: შემოხაზეთ სიტყვები, რომლებიც იწყება „თ“ ბგერით.



მეთოდიკური შეხსენება: შედეგები შემოწმდება და გასწორდება – შემოწმებისას რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლა დააშლევინეთ ბგერებად, დაუსვით შეკითხვები „თ“ ბგერის ადგილმდებარეობაზე (მაგ., ამ სიტყვაში „თ“ მერამდენე ბგერაა?).

მტევანი 2.

აქტივობა 1. ზღაპრის მოსასმენად შემზადება

ა) პერსონაჟების გაცნობა

ბ) ლექსიკური შემზადება

აქტივობა 2. სავარჯიშო წვრილი მოტორიკისთვის (ტიკი)

აქტივობა 3. ზღაპრის **„ბელები ქალაქში“** მოსმენა და ვარაუდების გამოთქმა

აქტივობა 4. სტრიქონი – აბზაცში სტრიქონის მოძებნა (განმტკიცება)

ა) ზეპირად დაფასთან

ბ) რვეულში

აქტივობა 5. ფონოლოგიური თამაში („თ“ და „ხ“ ბგერები)

აქტივობა 6. ფონოლოგიური თამაშები რვეულში

აქტივობა 7. წინადადებების შედგენა მოთხრობის სიტყვებსა და შესიტყვებებზე

აქტივობა 8. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება **(ძაფი, სოკო, წერო, წრე)**

აქტივობა 9. თამაში „სიტყვების ლოტო“ **(ძაფი, სოკო, წერო, წრე)**

აქტივობა 10. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

აქტივობა 11. ენობრივი თამაში – სიტყვობანა

აქტივობა 12. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 6 - 7 სთ.

ტექსტში დამუშავებული სიტყვები, შესიტყვებები: ბურდღუნი, გამობობღდა, ფუსფუსი, კუნძი, ბრანგვი, დიდრონი, თავზარის დაცემა, საზარელი, მოკურცხლა, კუდბუთქუნა, ბორიალი, ჯაჯგური, ზღართანი მოადინა, ყირაზე გადადიოდნენ, აწრიალება, საგანგებო სამსახური, გამყრუებელი, შეყუჟვა, ბჭობა, ტიკი, ბაჯბაჯი, ნუგბარი.

აქტივობა 1. შემზადება მოთხრობის „ბელები ქალაქში“ მოსასმენად

პირობა: გაიცანით დათვების ოჯახი.



► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს დაუსვით შეკითხვები:

- რომელი გარეული ცხოველები იცით?
- ხომ არ გახსენდებათ ზღაპარი ან მულტფილმი დათუნიებზე?
- რა ერქვათ დათუნიებს?
- როგორები იყვნენ? რას აკეთებდნენ?

შემდეგ უთხარით: „ჩვენ დღეს წავიკითხავთ ზღაპარს დათუნიებზე“.

წიგნში აჩვენეთ მოთხრობის პერსონაჟების ილუსტრაციები და გააცანით ისინი: „მამა დათუნიას ჰქვია მამუ, დედას – დადუ. მათი შვილები არიან ბელები – ბაბი და ბუბი. ზღაპრის სათაურია: „ბელები ქალაქში“.

ბ) ლექსიკური შემზადება:

- ვინ იცის, რას ნიშნავს **ჩაბურდღუნება (ჩაბურტყუნება), ჩაიბურტყუნა?** {დაბალ ხმაზე და გაუგებრად რაღაცის თქმა}, აბა ვინ ჩაიბურტყუნებს რამეს?
- ესე იგი, როცა გვინდა ადამიანს ჩვენი ნათქვამი კარგად გავაგებინოთ, როგორ უნდა ვთქვათ? {არ უნდა ჩავიბურტყუნოთ, გარკვევით და ხმამაღლა უნდა ვთქვათ}
- **თავზარის დაცემა ანუ...**
- რას ნიშნავს **საზარელი?** {საშინელი, ძალიან საშიში} აბა, გაიხსენეთ, ზღაპრის ან მულტფილმის რომელ პერსონაჟზე შეიძლება ითქვას, რომ საზრელია? რატომ არის საზარელი?
- **ფუსფუსებდნენ** ანუ... – რაღაცას მონდომებით და სწრაფად აკეთებდნენ. ოჯახის წევრებიდან ვინ გახსენდებათ, რომელიც ხშირად ფუსფუსებს?თქვენ როდის ფუსფუსებთ ხოლმე?
- **კუდბუთქუნა** – რას ნიშნავს კუდბუთქუნა – როგორი კუდი რომ აქვს? {დიდი, ფუმფულა} რას აქვს დიდი და ფუმფულა კუდი, ანუ რა არის კუდბუთქუნა? კიდევ?
- **მოკურცხლა/მოკურცხლეს** – რას ნიშნავს ეს სიტყვა? წარმოიდგინეთ, რომ ძაღლი გამოგეკიდათ, რას იზამთ? აი, სწორედ ასეთ შემთხვევაში თქვენზე იტყვიან, მოკურცხლაო. როცა გეჩქარებათ სკოლაში ან სადმე, როგორ იქცევით – გარბიხართ, ხომ? ანუ მოკურცხლავთ ხოლმე.
- **აწრიალდა** – რას ნიშნავს **აწრიალდა**? აი, თქვენც ხანდახან აწრიალდებით ხოლმე – როდის აწრიალდებით? მაჩვენეთ მოძრაობით, რა არის აწრიალება.
- **შეიყუჟნენ, შეყუჟვა** – შეგიძლიათ მაჩვენოთ, რას ნიშნავს შეყუჟვა? აბა, გამოვიდეს ვინმე და შეიყუჟოს სადმე, მაგალითად კარადის გვერდით. ახლა სხვაც შეიყუჟოს მის გვერდით. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნინო და დათა შეიყუჟნენ?
- **გამაყრუებელი** – მოსწავლეები დააკვირვეთ სიტყვებზე: **გამაწითლებელი, გამათეთრებელი...** ჰკითხეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვები {რაც აწითლებს, რაც ათეთრებს}. ამის შემდეგ დასვით შეკითხვა: რა იქნება **გამაყრუებელი**? {რაც აყრუებს, ანუ ძალიან ხმამაღალი რომაა} აბა, თუ გახსენდებათ რამე, რასაც გამაყრუებელი ხმა აქვს?
- **1-1-2** – თუ იცით, რა ნომერზე უნდა დავრეკოთ, როცა ხანძარია, ან როცა ვინმე ცუდად ხდება, ან როცა პოლიციის გამოძახებაა საჭირო? {უნდა დავრეკოთ ნო-

მერზე **1-1-2}**. უთხარით, რომ ამას ეწოდება „საგანგებო სამსახური“, ანუ 1-1-2-ზე დარეკვით თქვენ რეკავთ **საგანგებო სამსახურში.**

- ვინ იცის, რა არის **ტიკი?** {ტყავის ჭურჭელი, რომელშიც ღვინოს ან წყალს ასხამდნენ. როცა ტიკში რამე ასხია, ძალიან გაბერილია, ამიტომ იტყვიან ხოლმე გაბერილ რამეზე „ტიკივითაა გაბერილიო“}
- ვინ იცის, რა არის **გისოსი?** {რკინის მსხვილი მავთულებით დამზადებული ბადე} სად გინახავთ გისოსი? როგორ გგონიათ, რისთვის აქვს ფანჯრებს გისოსები?
- რას ნიშნავს **დინჯად**? ვინ საუბრობდა ზღაპარში დინჯად? თქვენი ნაცნობებიდან ვის უყვარს დინჯად საუბარი?თქვენ თუ გიყვართ დინჯად საუბარი?

აქტივობა 2. სავარჯიშო წვრილი მოტორიკისთვის – ტიკი

პირობა: გააყოლეთ ფანქარი წყვეტილ ხაზს და ბელი მიიყვანეთ ტიკთან.



აქტივობა 3. მოთხრობის „ბელები ქალაქში“ მოსმენა

ა) ვარაუდების გამოთქმა სათაურზე დაყრდნობით

► ინსტრუქცია

სანამ ზღაპრის წაკითხვას დაიწყებდეთ, მოსწავლეებს კიდევ შეახსენეთ, რომ უნდა წაუკითხოთ ძალიან საინტერესო და სახალისო ზღაპარი: **„ბელები ქალაქში“.**

? წაკითხვამდე დაუსვით შეკითხვა:

- თქვენი აზრით, როგორ მოხვდებოდნენ ბელები ქალაქში – რა შეემთხვათ, რომ ქალაქში აღმოჩნდნენ?

მოსწავლეების აზრები აუცილებლად ჩაინიშნეთ, რათა წაკითხვისას გადაამოწმოთ.

ბ) ზღაპრის მოსმენა

ვარაუდების ჩანიშვნის შემდეგ მოსწავლეებს ნელა, ხმამაღლა, გამოთქმით, ხმისა და მიმიკების ცვლით წაუკითხავთ ზღაპარს **„ბელები ქალაქში“** (პირველ ნაწილს).

ბელები ქალაქში

პირველი ნაწილი

ბაბი და ბუბი საყვარელი ბელები არიან, და-ძმა. დედა დათვი დადუ და მამა დათვი მამუ მათ ტყეს აცნობენ და ტყეში მოქცევის წესებს ასწავლიან. ერთხელ მამა დათვმა, მამუმ, ბელები ტყისპირას გაიყვანა, ქალაქი დაანახვა და უთხრა:

– აი, გაიხედეთ, შორს რომ მოჩანს, მაგას ადამიანები ქალაქს უწოდებენ! იქ

ადამიანებს თავიანთი ბუნაგები აქვთ, – განაგრძო მამუმ და თათი მრავალსართულიანი სახლებისკენ გაიშვირა, – დაიმახსოვრეთ, ქალაქი საშიშია!

– მამი, ადამიანი რა არის? – გაუბედავად იკითხა ბუბიმ.

– ადამიანი? ადამიანი... ჰოოო, ეგ ცოტა ძნელი ასახსნელია! – თავი მოიფხანა მამუმ, – როცა ბრანგვები გახდებით, მაგას მაშინ აგიხსნით!

– ოჰ, ეგ ბრანგვი რაღაა? – ჩაიბურდღუნეს ბელებმა.

– ბრანგვი წამოზრდილი და მოღონიერებული ბელია, თანაც უფრო ჭკვიანი, ვიდრე მოუსვენარი ბელი! – გაიცინა მამამ.

ერთ დღეს ისე აცივდა, დადუს, მამუსა და ბელებს ბუნაგიდან ცხვირიც არ გამოუყვიათ – იწვნენ ერთმანეთს მიხუტებულები და თვალები მიენაბათ. ბუნება ზამთრის გრძელი ძილისთვის ემზადებოდა. დათუნიებმაც დაიძინეს. დათვები ხომ მთელ ზამთარს ძილში ატარებენ.

ერთ მშვენიერ დღეს ბელებს გაეღვიძათ. დადუ და მამუ სადღაც წასულიყვნენ, ალბათ საჭმლის საშოვნელად. ბელები ბუნაგიდან გამობობღდნენ და... ჰოი, საოცრებავ! მზე ათბობდა არემარეს. ხეებს კვირტები გამოსვლოდათ. ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკებდნენ. მაგრამ მალე ბელებმა უფრო საკვირველი რამ დაინახეს: ქალაქი, ის საოცარი ქალაქი, მამუ რომ ბელებს შორიდან აჩვენებდა, თითქოს სულ ახლოს მოსულიყო.

მოშორებით ადამიანები ფუსფუსებდნენ, გზას აკეთებდნენ. უცებ რაღაც საშინელი გრუხუნ-გრიხინი გაისმა. დამფრთხალი ბელები კუნძს ამოეფარნენ და უზარმაზარი, საშინელი მხეცი დაინახეს. დიდრონი ბრჭყალები ჰქონდა და მიწას ისე თხრიდა, თითქოს ქვიშააო. ეს ბულდოზერი მუშაობდა, თურმე ახლოს მშენებლები დიდ საცხოვრებელ კორპუსს აშენებდნენ.

– ხედავ, ადამიანები დიდ ბუნაგებს იშენებენ, – წასჩურჩულა ბაბიმ ბუბის და ნახევრად აშენებულ კორპუსზე მიუთითა.

– ნეტა, რად უნდათ ამხელა ბუნაგები! – ჩაიბურტყუნა ბუბიმ.

უცებ სიომ საიდანღაც საჭმლის საამო სუნი მოიტანა. მშიერი ბელები შეჩერდნენ და ჰაერის ყნოსვა დაიწყეს. თურმე მშენებლებს საცხობში ხაჭაპურები და ღვეზელები ეყიდათ, რათა შესვენებაზე ეჭამათ. ბელებმა ყნოსვით მიაგნეს და მაშინვე ეცნენ – თან სანსლავდნენ, თან თვალებს შიშით აქეთ-იქით აცეცებდნენ.

ამ დროს ბელებს უკნიდან ძაღლების ყეფა მოესმათ. უარესად შეეშინდათ და გაიქცნენ. ძაღლები და ბულდოზერი უკან მოიტოვეს, მაგრამ ძაღლებთან ერთად ტყეც უკან დარჩა, ბელები კი ქალაქისკენ გარბოდნენ! გარბიან და სად გარბიან, თვითონაც არ იციან!

მალე ბაბიმ და ბუბიმ შუა ქალაქში ამოყვეს თავი. ადამიანები, მანქანები, ავტობუსები – ყველაფერი თავზარს სცემდათ.

უცებ გზაჯვარედინზე აღმოჩდნენ. გზაჯვარედინის თავზე ლამაზი შუქნიშანი ეკიდა. ხან წითელი შუქი აინთებოდა, ხან ყვითელი, ხანაც მწვანე.

– ვაიმე, შეხედე, რა საზარელი სამთვალა ბუა! – ჩაიბურტყუნა ბაბიმ და გაოცებით მიაჩერდა შუქნიშანს.

– ხან წითელ თვალს აბრიალებს, ხან ყვითელს, ხან მწვანეს! – შიშით თქვა ბუბიმ.

– ვაიმე, რა უნდა ვქნათ?! მგონი, უნდა გავიქცეთ! – ერთხმად წამოიძახეს ბელებმა და მოკურცხლეს იმ ადგილიდან.

შენიშვნა: არ დაგავიწყდეთ მოსწავლეთა ვარაუდებისა და ზღაპარში მომხდარი ამბის ერთმანეთთან შედარება – ვისი ვარაუდი აღმოჩნდა ყველაზე ახლოს ზღაპარში მომხდართან.

გ) ვარაუდების გამოთქმა

► **ინსტრუქცია**

სანამ ზღაპრის წაკითხვას გააგრძელებდეთ, მოსწავლეებს უთხარით:

- შუა ქალაქში ბელებს მოულოდნელად შემოხვდებათ ტყის პატარა ცხოველი. თქვენი აზრით, რომელი ცხოველი იქნებოდა?

მოსწავლეების აზრები აუცილებლად ჩაინიშნეთ, რათა წაკითხვისას გადაამოწმოთ. ამის შემდეგ გააგრძელეთ ზღაპრის კითხვა.

– ვაიმე, დათვები! საიდან მოვიდნენ, ჩვენს ქალაქში ხომ ზოოპარკი არაა, აქ საიდან გაჩნდნენ?! ბავშვებო, ფრთხილად იყავით! ფრთხილად, მოერიდეთ! – გაისმოდა აქეთ-იქიდან ადამიანების შეძახილები.

უცებ ბელებმა ისეთი რამ გაიგონეს, ყურებს არ უჯერებდნენ:

– გიგი, გიგი, ნახე, ბელები, ნამდვილი ბელები, როგორ მინდოდა ბელების ნახვა! – ყვიროდა ვიღაც წითელკაბიანი გოგონა. ბელებმა მოიხედეს და ქუჩის პირას ხელიხელჩაკიდებული გოგონა და ბიჭუნა დაინახეს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ გოგონას მხარზე კუდბუთქუნა ციყვი ეჯდა. გაოცებული ბელები შეჩერდნენ და ციყვს მიაჩერდნენ. ციყვიც გაოცებით მიაჩერდა ბელებს.

– ვაიმე, – დაიწრიპინა უცებ ციყვმა, – თქვენ მამუსა და დადუს ბელები ხომ არა ხართ? მე ციყვი ციო ვარ, მეც მაგ ტყეში ვცხოვრობდი, თქვენს ბუნაგთან ახლოს მქონდა ფუღურო!

– უი, ეტყობა, ეს ბელები ტყიდან შემთხვევით მოხვდნენ ჩვენს ქალაქში! – უჩურჩულა ბიჭუნამ გოგონას.

– რა უნდა ქნან ამ საწყლებმა ქალაქში?! – შეწუხდა გოგონა – მოდი, ჩვენთან წავიყვანოთ!

– წავიყვანოთოოო! – ამის გაგონებაზე ბაბიმ და ბუბიმ უკანმოუხედავად მოკურცხლეს.

უცებ ბელები შეჩერდნენ და ჰაერის ყნოსვა დაიწყეს. ერთი სახლიდან ნაცნობი, ამ ქვეყნად ყველაზე გემრიელი სუნი გამოდიოდა. ბელები სახლს ფრთხილად მიუახლოვდნენ და შიგ ჩუმად შევიდნენ. ჰოი საოცრებავ – თაროებზე დიდი ქილებით ეწყო მათი უსაყვარლესი ნუგბარი, თაფლი! იქვე თაფლის გამყიდველი გოგონა იჯდა და წიგნს კითხულობდა. ბელებმა ერთი დიდი ქილა ჩამოათრიეს თაროდან და იქიდან თაფლის ტვლეპა დაიწყეს.

ხმაურზე გოგონამ მოიხედა და შიშისგან ისე შეჰკივლა, თავზარდაცემული ბელები უკანმოუხედავად გაცვივდნენ გარეთ.

გარბიან, გარბიან შეშინებული ბელები. ჩაუქროლეს მრავალსართულიან კორპუსებს, მეტროს, თეატრს, აფთიაქებს, მაღაზიებს... უცებ რაღაც ტყისმაგვარი დაინახეს: ხეები, ბუჩქები, ყვავილები... ეს სკვერი იყო. ბელები შეჩერდნენ, მოეწონათ სკვერი – მათ მშობლიურ ტყეს ჰგავდა.

– ნახე, ადამიანებს რა ლამაზი პატარა ტყე ჰქონიათ, – გაიფიქრეს ბელებმა და სკვერში შეცვივდნენ. კიდევ კარგი, იქ არავინ იყო... მერე აქეთ-იქით ბორიალი დაიწყეს, ხან რას მოედნენ, ხან რას. ბოლოს ბუბი საქანელაზე აძვრა და გაქანავდა. ბაბიმაც მოინდომა აძრომა და იმდენს ეჯავჯგურა, რომ საქანელა აყირავდა და ორივემ ძირს მოადინა ზღართანი.

– გიგი, კესო, ჩქარა მოდით, ნახეთ, აქ ყოფილან ჩვენი ნაცნობი ბელები! – მოესმათ ბელებს ვიღაცის წვრილი, სასაცილო ხმა. ზევით აიხედეს და ხეზე ისევ ის კუდბუთქუნა ციყვი დაინახეს, გადასასვლელზე გოგონას რომ ეჯდა მხარზე. ამ დროს ბავშვებმაც მოირბინეს, ბაბის და ბუბის გაქცევა აღარ უცდიათ, პირიქით, ინტერესით უყურებდნენ ბავშვებს. გიგი და კესო ბელებს ფრთხილად მიუახლოვდნენ. უცებ ბაბი ისე სასაცილოდ გადაკოტრიალდა, ბავშვებს სიცილი აუტყდათ. ეს ბუბისაც მოეწონა და ახლა ის გადაკოტრიალდა სასაცილოდ. მალე ბავშვები, ბელები და ციყვი ერთად დარბოდნენ და თამაშობდნენ სკვერში.

ამასობაში ხმა გავრცელდა – ქალაქში დათუნიები არიანო! აწრიალდა მთელი ქალაქი – დიდსა თუ პატარას, ყველას უნდოდა დათუნების ნახვა, თან ეშინოდათ, განსაკუთრებით ბავშვების მშობლებს. სკვერის გარშემო მრავალი ადამიანი მოგროვდა. ტელეფონით 1-1-2 ნომერზე დარეკეს, საგანგებო სამსახურში. მალე სკვერს პოლიციის ჭრელი მანქანა მიადგა გამაყრუებელი პიპინით. ბელები ბუჩქებში შეიყუჟნენ, ბავშვები ბელებს წინ აეფარნენ, რომ დაემალათ, მაგრამ ვერ დამალეს. ცელქი ბელები პოლიციელებმა დაიჭირეს და მანქანის საბარგულში ჩასხეს.

შენიშვნა: არ დაგავიწყდეთ მოსწავლეთა ვარაუდების გადამოწმება – ვისი თვალსაზრისი დაემთხვა ზღაპარში მომხდარს.

დ) ვარაუდების გამოთქმა და ზღაპრის მეორე ნაწილის მოსმენა

► **ინსტრუქცია**

სანამ მოსწავლეებს ზღაპრის მეორე ნაწილს წაუკითხავთ, დაუსვით შეკითხვა:

- ბაბი და ბუბი სკვერში პოლიციელებმა დაიჭირეს. როგორ გგონიათ, სად წაიყვანდნენ ისინი ბელებს?

მათი გამოთქმული თვალსაზრისები აუცილებლად ჩაინიშნეთ, რათა წაკითხვისას შეადაროთ ტექსტს.

მეორე ნაწილი

პოლიციის განყოფილებაში დიდხანს ბჭობდნენ, სად წაეყვანათ ბელები. მერე გადაწყვიტეს, რომ ისევ ტყეში გაეშვათ.

ამასობაში ბელებს მრავალი ადამიანი შემოეხვია. ზოგმა კანფეტები შეუყარა, ზოგმა – ფუნთუშა, ზოგმა – სტაფილო, ნამცხვარი, ბატიბუტი... დათუნიებს მუცლები ტიკებივით დაებერათ.

„როგორი გულკეთილები ყოფილან ადამიანები! ქალაქიც, საშიში კი არა, მშვე-

ნიერი ადგილია!“ – ფიქრობდნენ ბელები.

მერე გისოსებიანი მანქანა დაიძრა და ტყისკენ გაემართა.

მალე სიხარულისგან აცრემლებული დადუ და მამუ თავიანთ ბელებს გულში მაგრად იხუტებდნენ. ბაბი და ბუბი ერთმანეთს არ აცლიდნენ თავიანთი თავგადასავლის მოყოლას. ბოლოს მამუმ დინჯად თქვა:

– დადუ, ეს ჩვენი ბელები ისე გაზრდილან, რომ უკვე ბრანგვები გამხდარან!

– კი, კი, ქალაქში იმდენი ვჭამეთ, რომ გავიზრდებოდით! – გაიცინა ბუბიმ და მუცელზე მოისვა ხელი. დადუსა და მამუსაც გაეცინათ.

გავიდა დრო. ტყისპირას ადამიანებმა მშენებლობა დაამთავრეს, ლამაზი სკვერიც მოაწყვეს. ამ სკვერში ხანდახან ბაბი და ბუბი მიდიოდნენ. ადამიანები მათ სიხარულით ხვდებოდნენ. განსაკუთრებით ბავშვებს უხაროდათ მათი გამოჩენა. გიგი, კესო და ციყვი ციოც ხშირად მიდიოდნენ სკვერში ბელების სანახავად. ბავშვებისთვის თავი რომ მოეწონებინათ, ბელები ხან ყირაზე გადადიოდნენ, ხან ორ თათზე დაბაჯბაჯებდნენ. ბავშვები კისკისებდნენ და კისკისებდნენ ბელების ცელქობაზე და მათ ნაირ-ნაირი ნუგბარით უმასპინძლდებოდნენ.

შენიშვნა: არ დაგავიწყდეთ მოსწავლეთა ვარაუდებისა და ზღაპარში მომხდარი ამბის ერთმანეთთან შედარება – ვისი ვარაუდი აღმოჩნდა ყველაზე ახლოს ზღაპარში მომხდართან.

აქტივობა 4. სტრიქონი – აბზაცში სტრიქონის მოძებნა (განმტკიცება)

ინსტრუქცია

ა) მოსწავლეებს აჩვენეთ დაფაზე გაკრული ტექსტი, დაუსვით შეკითხვები და მიეცით დავალებები.

- ეს რა არის? {ტექსტი}
- რისგან შედგება ტექსტი? {აბზაცებისგან}
- აბზაცი რისგან შედგება? {სტრიქონებისგან}
- შემოხაზეთ ამ ტექსტის მეორე აბზაცი.
- მაჩვენე პირველი აბზაცის პირველი სტრიქონი.
- ამ აბზაცის ბოლო სტრიქონი რომელია? შემოხაზე!
- ამ ტექსტის პირველი სტრიქონი მაჩვენე!
- რამდენი სტრიქონისგან შედგება ეს აბზაცი? აბა, დავთვალოთ!
- მომდევნო აბზაცი რამდენი სტრიქონისგან შედგება?
  და მისთ.

ბ) მოსწავლის რვეულში

მეთოდიკური რეკომენდაცია: ერთზე მეტნაბიჯიანი დავალება მოსწავლეებს ერთბაშად არ უნდა წავუკითხოთ – ჯერ წავუკითხოთ დავალების პირობის ერთი ნაწილი; როცა შეასრულებენ, მერე წავუკითხოთ მეორე და ა.შ.

პირობა:

- პირველ აბზაცში ლურჯად შემოხაზე პირველი სტრიქონი.
- მეორე აბზაცში წითლად შემოხაზე მეორე სტრიქონი.

- მესამე აბზაცში მწვანედ შემოხაზე რომელიმე სტრიქონი.

სხვის ეზოში

შეშინებულ თხას გზა დაებნა. უცებ ლამაზი ეზო დაინახა და შიგ შევარდა. ეზოში ჭა იყო. ჭასთან ბზა იზრდებოდა. ბზასთან რუ მიედინებოდა. რუს წყალს ხბო სვამდა. ხბოს ორი პატარა რქა ჰქონდა. თხამ ხბოს ჩაუქროლა და ბზის ბუჩქებში შეიმალა. ხბოს გაუკვირდა და პირი ისე დააღო, ენა გამოუჩნდა.

ეზოში ლელვის ხე იდგა. ხეზე გოგონა იჯდა. მას ოქროსფერი თმა ჰქონდა. უცებ გოგონამ ფოთოლზე ჭია დაინახა და დაიყვირა: – ვაი, ჭია! – გოგონას ყვირილმა თხა დააფრთხო. თხა ბუჩქებიდან გამოვარდა და ეზოდან გავარდა. გოგონა აკისკისდა.

გზაზე თხამ ვაზი დაინახა და მოეწონა. ვაზის ძირში ია იღიმებოდა. – აი ია! – მხიარულად დაიკიკინა თხამ და შიში სულ გადაავიწყდა.

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებმა თითო აბზაცში თითო სტრიქონი უნდა შემოხაზონ. უნდა გამოჩნდეს, რომ მოსწავლეს სწორად ესმის, სად იწყება და თან მთავრდება სტრიქონი.

მეთოდიკური შეხსენება: იარეთ მერხებს შორის. თუ შეამჩნევთ მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ ამ ან სხვა ტიპის დავალების შესრულება, დაისხით გვერდით ერთერთ მერხთან და გეზისმიმცემი შეკითხვებით დაეხმარეთ აქტივობის შესრულებაში.

აქტივობა 5. ფონოლოგიური თამაში

ა) მითითებული ბგერის ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს უთხარით:

„მე სიტყვებს დავასახელებ, ტაში უნდა დაუკრათ მხოლოდ იმ სიტყვებზე, რომლებშიც გაიგონებთ „ს“ ბგერას. ხმამაღლა და მკვეთრად წარმოთქვით შემდეგი სიტყვები: ***ფისო / საზამთრო / სოკო / შოკოლადი / სტაფილო / ველოსიპედი / წიწილა / ჩუსტი / ჩანჩქერი / სპილო / ცისარტყელა / შაქარი.***

ბ) ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი)


► **ინსტრუქცია**

ხმამაღლა წარმოთქვამთ ბგერებად დაშლილ სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა წარმოთქვით და გაამთლიანონ. სასურველია, დაშლილად წარმოსათქმელი ყველა სიტყვა შეიცავდეს „ხ“ ბგერას: ***თხა / ხიდი / ხერხი / ხმალი / ძროხა / ცეცხლი / ცხვარი / მერცხალი / ოთხკუთხედი.***

აქტივობა 6. ფონოლოგიური თამაშები რვეულში

პირობა: დააკვირდით ნიმუშს. წერტილით მონიშნულია ის მარცვალი, რომელშიც არის ბგერა „ს“. ახლა თქვენ მონიშნეთ წერტილით, სად, რომელ მარცვლებშია „ს"

ბგერა სხვა სიტყვებში.



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ, სიტყვის რომელ მარცვალში ან მარცვლებშია ბგერა **„ს“** და იქ დასვან წერტილი.

მეთოდიკური შეხსენება: შედეგები შემოწმდება და გასწორდება. მნიშვნელოვანია, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ მარცვლებად. მათ უნდა დაასახელონ ის მარცვალი ან მარცვლები, რომლებშიც არის მითითებული ბგერა.

„ხ“ ბგერით დაწყებული სიტყვების შემოხაზვა

პირობა: შემოხაზეთ სიტყვები, რომლებიც იწყება „ხ“ ბგერით.



მეთოდიკური შეხსენება: შედეგები შემოწმდება და გასწორდება – შემოწმებისას რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლა დააშლევინეთ ბგერებად, დაუსვით შეკითხვები „ხ“ ბგერის ადგილმდებარეობაზე (მაგ., სიტყვაში ხიდი „ხ“ მერამდენე ბგერაა?)

აქტივობა 7. წინადადების შედგენა და გავრცობა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებმა თქვენ მიერ მითითებული სიტყვების გამოყენებით უნდა შეადგინონ რაც შეიძლება ვრცელი წინადადებები. ერთ წინადადებაში შეუძლიათ ერთად გამოიყენონ ორი ან მეტი დასახელებული სიტყვა. **შეკითხვებით დაეხმარეთ წინადადებების გავრცობაში.**

სიტყვები: ყირაზე გადადიოდა, ბრანგვი, ფუსფუსებდნენ/ფუსფუსებდა.

ნიმუში

გასავრცობი წინადადება: **ბაბუამ ბრანგვი დაინახა.**

შეკითხვები გასავრცობად:

- როდის დაინახა ბაბუამ ბრანგვი?{გუშინ}
- სად დაინახა ბაბუამ ბრანგვი? {ტყეში}
- როგორ ტყეში დაინახა ბაბუამ ბრანგვი? {უღრან, დაბურულ ტყეში}

- როგორი ბრანგვი დაინახა ბაბუამ უღრან (დაბურულ) ტყეში? {წაბლისფერი, ბურდღუნა... ბრანგვი}


გავრცობილი წინადადება: გუშინ ბაბუმ უღრან ტყეში წაბლისფერი ბრანგვი დაინახა.

გავრცობილი წინადადებების ნიმუშები სიტყვებზე: ყირაზე გადადიოდა, ფუსფუსებდა/ფუსფუსებდნენ.

- ცირკში მხიარული ჯამბაზი ყირაზე გადადიოდა.
- ბზუილა ფუტკრები ყვავილებიან მინდორში ფუსფუსებდნენ.

აქტივობა 8. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება (ძაფი, სოკო, წერო, წრე)

პირობა: დააკვირდით სურათის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 9. თამაში „სიტყვების ლოტო“ (ძაფი, სოკო, წერო, წრე)

- ამ აქტივობის სიტყვებისთვის – **ძაფი, სოკო, წერო, წრე** – მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებთან ერთად. აჩვენებთ მოსწავლეებს სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ, დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს. ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

მეთოდიკური შეხსენება: მოსწავლეებს არ ევალებათ სიტყვების გაშიფვრა-ამოკითხვა, ისინი სიტყვების გრაფიკულ ხატს მთლიანად, „ფოტოგრაფიულად“ იმახსოვრებენ. თამაში „სიტყვების ლოტო“ სასურველია, ყოველ მეორე გაკვეთილზე ჩატარდეს (მეთოდიკური კომენტარები ***იხ. თავი 1. მტევანი 3.1. აქტივობა 9).***

თუ არა გაქვთ გამოსაკრავი სურათები, მოსწავლეები რვეულის სურათებს გამოიყენებენ.

აქტივობა 10. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზით დააკავშირეთ ერთმანეთთან.



შენიშვნა: ეს უკვე კარგად ნაცნობი აქტივობაა და სასურველია, მოსწავლეებმა შინ შეასრულონ.

აქტივობა 11. ენობრივი თამაში – სიტყვობანა

მოსწავლეებს ეტყვით, რომ უნდა ათამაშოთ **სიტყვობანა.**

აუხსენით თამაშის წესები:

ერთ-ერთს გიჩურჩულებთ სიტყვას ნასწავლი სიტყვებიდან. ვისაც ვუჩურჩულებ, მან უსიტყვოდ, მხოლოდ მოძრაობით, გათამაშებით უნდა მიახვედროს თანაკლასელებს, რა სიტყვაა. მხოლოდ სამი თქმის უფლება გექნებათ. თუ მესამე თქმაზეც ვერ გამოიცნობთ, მაშინ გავამჟღავნებ, რა სიტყვა იყო. შემდეგ სხვა მოსწავლე „გაითამაშებს“ გამოსაცნობ სიტყვას.

შემდეგ უთხარით:


სანამ თამაშს დავიწყებთ, მანამდე უნდა გადავამოწმოთ, გახსოვთ თუ არა ამ სიტყვების მნიშვნელობები: ***გამობობღდა, მიეშურება, გამაყრუებელი, თავზარის დაცემა, ფუსფუსი, ყირაზე გადადიოდა, ბრანგვი.***

როცა დარწმუნდებით, რომ ყველამ იცის დასახელებული სიტყვების მნიშვნელობები, დაიწყეთ თამაში. სანიმუშოდ ერთ-ერთი სიტყვა თქვენ განასახიერეთ მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, სიტუაციურად. ვინც პირველი ამოიცნობს, ის იქნება მომდევნო სიტყვის წარმდგენი. თუ ვერც ერთი ვერ გამოიცნობს, მაშინ თქვენ იტყვით, რა სიტყვა იყო და შეარჩევთ მოსწავლეს, რომელსაც მომდევნო სიტყვას უჩურჩულებთ.

მეთოდიკური შენიშვნა: შესაძლებელია ამ აქტივობის, როგორც მოძრავი თამაშის გამოყენება მოსწავლეთა გასახალისებლად.

აქტივობა 12. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

ა) პირობა: დააკავშირეთ სურათი შესაბამის სიტყვასთან. მოძებნეთ უსურათოდ დარჩენილი სიტყვა და შემოხაზეთ.



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს ჯერ დაასახელებინეთ, რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ დამოუკიდებლად იმუშავებენ.

როგორც ყოველთვის, თქვენ მერხებს შორის ივლით და საჭიროებისამებრ დაეხმარებით მოსწავლეებს. შესაძლებელია, ვინც დამოუკიდებლად ვერ მუშაობს, ერთად დასხათ, თქვენც მიუჯდეთ და გზადაგზა დააკვალიანოთ.

დარჩება სიტყვა „მამუ“, ძალიან მნიშვნელოვანია არ უთხრათ მოსწავლეებს, ეს რა სიტყვაა – მომდევნო (**ბ**) პუნქტში სიურპრიზად აღმოაჩენენ!

ბ) პირობა: დააკვირდით წინა დავალებაში თქვენ მიერ შემოხაზულ სიტყვას. იგივე სიტყვა მოძებნეთ სურათების ქვეშ. გააფერადეთ შესაბამისი სურათი.





მტევანი 3.

აქტივობა 1. ზღაპრის **„ბელები ქალაქში“** შინაარსის დამუშავება

აქტივობა 2. ფონოლოგიური თამაშები

აქტივობა 3. ფონოლოგიური თამაში რვეულში

აქტივობა 4. თამაში – სიტყვობანა

აქტივობა 5. სიტყვა – სტრიქონში სიტყვის მოძებნა

აქტივობა 6. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება (ვაშლი, უთო, ნუში, შაშვი)

აქტივობა 7. თამაში „სიტყვების ლოტო“ **(ვაშლი, უთო, ნუში, შაშვი)**

აქტივობა 8. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

აქტივობა 9. ზედმეტის გადახაზვა

აქტივობა 10. წინადადებების შედგენა და გავრცობა

აქტივობა 11. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

აქტივობა 12. მეტყველების გააზრება (მოსწავლის მოქმედება)

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 5 სთ.

<u>მითითებანი წერის შემამზადებელ აქტივობებთან დაკავშირებით</u>

სამუშაო რვეულის წერის დედანში მოცემულია წერის წინარე შემამზადებელი სავარჯიშოები – ბადიანი სტრიქონის აღქმა-გაცნობიერება და ასოთა ნაწილების წერა (იხ. მოსწავლის სამუშაო რვეული, წერის დედანი).

მითითება 1.

- იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც კითხვისა და წერის სწავლების ერთდროულად დაწყება სურთ, მოსწავლეებს უკვე უნდა დააწყებინონ წერის შემამზადებელი სავარჯიშოების შესრულება.
- ის მასწავლებლები, რომლებსაც ურჩევნიათ კითხვისა და წერის სწავლების ერთმანეთისგან გამიჯვნა (ანუ სურთ, წერის სწავლება დაიწყონ ყველა ასოს ცნობის შემდეგ), წერის შემამზადებელ აქტივობებზე მუშაობას დაიწყებენ საანბანო პერიოდის დაახლოებით მესამე კვირიდან.

მითითება 2.

- მოსწავლეები კლასში ავსებენ დღეში ერთი სტრიქონს – ნახევარს კლასში, მეორე ნახევარს – შინ. თუ ერთ დღეს ორი გაკვეთილი აქვთ, მათგან მხოლოდ ერთ გაკვეთილზე ეთმობა დაახლოებით 5 წუთი სტრიქონის შევსებას. ეს დრო სასურველია გამოიყოს გაკვეთილის შუაში ან ბოლოს და არა – დასაწყისში.

მითითება 3.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს:

- მოსწავლის მიერ კალმისტრის კარგად დაკავების ჩვევის განტკიცებას;

- წერის მოძრაობის სწორი მიმართულების მიჩვევას (რასაც მასწავლებელი დაფაზე აჩვენებს);
- შემდეგი სიტყვების სწავლას – სტრიქონი, ზედა უჯრედი, ქვედა უჯრედი, შუა უჯრედი. ამისთვის საჭიროა სათანადო შეკითხვების დასმა, მაგ.: ეს პატარა რკალი რომელ უჯრედშია? ახლა რომელ უჯრედებში ვწერთ?

წერის შემამზადებელი აქტივობა 1. (იხ. წერის დედანი) ბადიანი სტრიქონის სივრცითი მიმართებების აღქმა-გაცნობიერება

► ინსტრუქცია

ა) მომზადებული გაქვთ შემდეგი რესურსი: ფორმატზე ან დაფაზე გადატანილი ბადიანი რვეულის სტრიქონის ფრაგმენტი (სტრიქონის სიმაღლე 6-8 სმ უნდა იყოს, რომ ყველა მოსწავლე კარგად ხედავდეს მას). ორი შუა უჯრედი, თითო უჯრედის გამოტოვებით, გაფერადებულია ყვითლად, ზედა უჯრედი, ასევე თითოს გამოტოვებით – მწვანედ, ქვედა უჯრედი კი – ლურჯად. ფორმატი გაკრული უნდა იყოს ყველასათვის კარგად დასანახად.

საჩვენებელი ჯოხით მოსწავლეებს აჩვენებთ და აცნობთ სტრიქონის აგებულებას: „ეს (მწვანე ფერის) არის ზედა უჯრედი, ესეც ზედა უჯრედია (აჩვენებთ გაუფერადებელსაც); ეს (ყვითელი) შუა უჯრედია. ეს (ლურჯი) ქვედა უჯრედი“... სათითაოდ გამოიყვანეთ მოსწავლეები და ჰკითხეთ:

- რომელია ზედა უჯრედი?
- რომელია ქვედა უჯრედი? შუა?

ბ) **დამოუკიდებელი მუშაობა რვეულში**

ინსტრუქცია: მოსწავლეებს გადააშლევინეთ რვეულები იქ, სადაც მოცემულია გასაფერადებელი ბადიანი სტრიქონები, რომლებიც მათ ნიმუშის მიხედვით უნდა გააფერადონ (იხ. წერის დედანი).

იარეთ რიგებში და თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად დაეკითხეთ: „ლურჯად ბადიანი სტრიქონის რომელ უჯრედს აფერადებ? ყვითლად? მწვანედ?“

თუ შეამჩნევთ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ დავალების შესრულება, დაისხით გვერდით ერთ-ერთ მერხთან და გეზისმიმცემი შეკითხვებით დაეხმარეთ აქტივობის შესრულებაში.

აქტივობა 1. ზღაპრის „ბელები ქალაქში“ შინაარსის დამუშავება

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს შეკითხვებით დაეხმარეთ მოსმენილი ზღაპრის შინაარსის გახსენებაში. რომელი ადგილიც არ გაახსენდებათ, ხელმეორედ წაუკითხეთ. ერთობლივად გაარჩიეთ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი სიტყვები.

დასვით შეკითხვები, ოღონდ ყველა ეს შეკითხვა ერთად ძალიან ბევრი იქნება, ამიტომ გადაანაწილეთ 2-3 გაკვეთილზე.

- ვინ არიან ბაბი და ბუბი?
- სად ცხოვრობენ?
- რა ჰქვია ბელების დედ-მამას?
- რა დაანახვა მამამ ბელებს?

- რა ჰკითხა მამას ბუბიმ, როცა მან ქალაქი დაანახვა?
- რა უპასუხა მამამ? როგორ გგონიათ, რატომ უპასუხა ასე?
- რა ყოფილა **ბრანგვი?**
- რა ეგონათ დათვებს ადამიანების სახლები?
- რატომ დაიძინეს დათვებმა ხანგრძლივად?
- კიდევ რომელი ცხოველები იძინებენ ზამთარში?
- თქვენი აზრით, წელიწადის რომელ დროს გაიღვიძეს ბელებმა? ტექსტში რა მიანიშნებს იმაზე, რომ გაზაფხულია?
- **გამობობღდნენ ანუ...**
- როგორ გგონიათ, რატომ აღმოჩნდა ქალაქი ტყესთან ახლოს?
- რას ნიშნავს **ფუსფუსებდნენ?** {საქმეს მონდომებით და სწრაფად აკეთებდნენ}
- სინამდვილეში რა იყო ის „დიდბრჭყალებიანი მხეცი“, ბელებმა რომ დაინახეს?
- რა არის **ბულდოზერი?** რისთვის იყენებენ? სად გინახავთ?
- როგორ გგონიათ, რატომ იყვნენ ბელები ძალიან მშივრები?
- რას ნიშნავს **„სანსლავდნენ“**? თქვენ ხომ არ სანსლავთ – როგორ უნდა ვჭამოთ საჭმელი?
- რას ნიშნავს **დამფრთხალი**? დამფრთხალი ანუ... {დაფეთებული, შეშინებული, შემკრთალი}
- რომელ ტექსტში შეგხვდათ სიტყვა დაფეთდა? რა იყო იმ ტექსტში დაფეთებული? {„აი იაში“ ბუ იყო დაფეთებული}
- რამ დააფრთხო ბელები?
- რას ნიშნავს **თავზარის დაცემა** {ძალიან შეშინება}
- რამ დასცა თავზარი ბელებს ქალაქში? განსაკუთრებით რისი შეეშინდათ?
- რას მიამსგავსეს შუქნიშანი?
- რას ამბობდნენ ადამიანები ბელების დანახვაზე?
- როგორ გგონიათ, ვინ იყვნენ ის ბავშვები, ბელები რომ დაინახეს?
- როგორ მიხვდით, რომ ისინი იყვნენ?
- რა თქვა ბიჭმა?
- რა თქვა გოგონამ ბელების დანახვისას?
- რა დაიწრიპინა ციყვმა?
- რატომ შეეშინდათ ბელებს?
- როგორ აღმოჩდნენ ბელები თაფლის მაღაზიაში?
- რა მოხდა თაფლის მაღაზიაში?
- ბოლოს სად აღმოჩნდნენ შეშინებული ბელები?
- რა არის **სკვერი**? დადიხართ სკვერში? რას აკეთებთ იქ?
- რატომ მოეწონათ ბელებს სკვერი?
- როგორ გგონიათ, რით მიამსგავსეს ბელებმა სკვერი მშობლიურ ტყეს?
- რა ქნეს ბელებმა სკვერში?
- რატომ მოგროვდნენ ადამიანები სკვერის გარშემო?
- სად დარეკეს?
- ვის ახსოვს, როდის რეკავენ **ნომერზე 1-1-2?**
- რატომ იფიქრეს ბელებმა, რომ ადამიანები კეთილები არიან?
- რას ნიშნავს **ბჭობდნენ?** {თათბირობდნენ, საუბრობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ}
- რა გადაწყვიტეს პოლიციაში? მოგწონთ ეს გადაწყვეტილება? თქვენ რას გააკე-

თებდით?
- გაიხსენეთ, რა არის **ტიკი** და რისთვის იყენებენ მას.
- გაიხსენეთ, რა არის **გისოსი.** რატომ ჩასვეს ბელები გისოსებიან მანქანაში?
- როგორ შეხვდნენ ბელებს მშობლები?
- რა თქვა მამამ, როცა ბელების თავგადასავალი მოისმინა?
- რა თქვეს ბელებმა ამის საპასუხოდ?
- რატომ თქვა მამამ ბელებზე, ესენი უკვე ბრანგვები გამხდარანო?
- როგორ საუბრობდა მამა დათვი – ბურტყუნით, დინჯად თუ ჩქარა?
- როგორ გაგრძელდა ადამიანებისა და დათუნიების ურთიერთობა?
- რითი უმასპინძლდებოდნენ ადამიანები ბელებს – რა არის **ნუგბარი**? თქვენ გიყვართ ნუგბარი?
- მოგწონთ ზღაპრის ასეთი დასასრული?
- თქვენ როგორ დაასრულებდით?

აქტივობა 2. ფონოლოგიური თამაშები
ა) მითითებული ბგერის ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში


► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს უთხარით:
„მე სიტყვებს დავასახელებ, ტაში უნდა დაუკრათ მხოლოდ იმ სიტყვებზე, რომლებშიც გაიგონებთ ბგერას „ო“. ხმამაღლა და მკვეთრად წარმოთქვით შემდეგი სიტყვები: **ფისო, საზამთრო, წიწილა, ირემი, სოკო, იასამანი, შოკოლადი, თოჯინა, იხვი, სტაფილო, ველოსიპედი.**
ბ) ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი)

► **ინსტრუქცია**

ხმამაღლა წარმოთქვამთ ბგერებად დაშლილ სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა წარმოთქვით და გაამთლიანონ. სასურველია, დაშლილად წარმოსათქმელი ყველა სიტყვა შეიცავდეს „ე“ ბგერას: **მზე / მეფე / ეზო / ხერხი / ლეღვი / მცენარე /ენძელა / ეკალი/ პეპელა / მარადმწვანე.**

აქტივობა 3. ფონოლოგიური თამაშები რვეულში
პირობა: მოძებნეთ რამდენი „ო“ ბგერაა სიტყვაში. შეაფერადეთ შესაბამისი ხაზი სურათის ქვეშ. (ფონოლოგიური ანალიზი)



► **ინსტრუქცია**

ნიმუშს ერთად განიხილავთ, შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად გააგრძელებენ მუშაობას. ჩვეულებისამებრ, თქვენ მერხებს შორის ივლით და ნახავთ, ვინ ასრულებს სწორად და ვის სჭირდება დახმარება.

შედეგები შემოწმდება და გასწორდება. მნიშვნელოვანია, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ ბგერებად. დაუსვით მათ შეკითხვები.

ნიმუშები:

- რამდენი ბგერაა სიტყვაში „სოკო“?
- ბგერა „ო“ რამდენია ამ სიტყვაში?
- პირველი „ო“ მერამდენე ბგერაა ამ სიტყვაში?
- მეორე „ო“ მერამდენეა სიტყვაში?

და მისთ.

აქტივობა 4. თამაში სიტყვობანა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს ეტყვით, რომ უნდა ათამაშოთ **სიტყვობანა.**

აუხსენით თამაშის წესები:

ერთ-ერთს გიჩურჩულებთ სიტყვას ნასწავლი სიტყვებიდან. ვისაც ვუჩურჩულებ, მან უსიტყვოდ, მხოლოდ მოძრაობით, გათამაშებით უნდა მიახვედროს თანაკლასელებს, რა სიტყვაა. მხოლოდ სამი თქმის უფლება გექნებათ. თუ მესამე თქმაზეც ვერ გამოიცნობთ, მაშინ გავამჟღავნებ, რა სიტყვა იყო. შემდეგ სხვა მოსწავლე „გაითამაშებს“ გამოსაცნობ სიტყვას.

შემდეგ უთხარით:

სანამ თამაშს დავიწყებთ, მანამდე უნდა გადავამოწმოთ, გახსოვთ თუ არა ამ სიტყვების მნიშვნელობები: **აწრიალდა, ეჯავჯგურება, ზღართანი მოადინა, ბორიალი, საზარელი, ტიკი, სტყორცნა, ბავჯბავჯი, მოკურცხლა.**

როცა დარწმუნდებით, რომ ყველამ იცის დასახელებული სიტყვების მნიშვნელობები, დაიწყეთ თამაში. სანიმუშოდ ერთ-ერთი სიტყვა თქვენ განასახიერეთ მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, სიტუაციურად. ვინც პირველი ამოიცნობს, ის იქნება მომდევნო სიტყვის წარმდგენი. თუ ვერც ერთი ვერ გამოიცნობს, მაშინ თქვენ იტყვით, რა სიტყვა იყო და შეარჩევთ მოსწავლეს, რომელსაც მომდევნო სიტყვას უჩურჩულებთ.

მეთოდიკური შენიშვნა: შესაძლებელია ამ აქტივობის, როგორც მოძრავი თამაშის გამოყენება მოსწავლეთა გასახალისებლად.

აქტივობა 5. სიტყვა – სტრიქონში სიტყვის მოძებნა

► **ინსტრუქცია**

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს კარგად ეცოდინებათ, რა არის **ტექსტი, სათაური, აბზაცი, სტრიქონი,** უნდა ასწავლოთ მითითებული სიტყვის მოძებნა ტექსტში.

შენიშვნა: თითქოს ბუნებრივია, რომ სტრიქონის შემდეგ წინადადება ვასწავლოთ, მაგრამ წინადადებაზე უფრო თვალსაჩინოა სიტყვა, ამიტომ ჯერ ვასწავლით სიტყვას, შემდეგ – წინადადებას.

დაფაზე გააკარით ტექსტი (მაგალითად, **„აი იას“** რომელიმე ნაწილი).
დასვით შეკითხვები (ეცადეთ, მოსწავლეები თავად მივიდნენ სწორ პასუხამდე).

- რისგან შედგება ტექსტი? {ტექსტი შედგება აბზაცებისა და სტრიქონებისაგან}
- რისგან შედგება აბზაცი? {აბზაცი შედგება სტრიქონებისაგან}
- აბა, ახლა ვინ მიხვდება: რისგან შედგება სტრიქონი?

ალბათ, ზოგიერთი მოსწავლე მაინც ვერ მიხვდება, რომ სტრიქონი შედგება სიტყვებისაგან, ამიტომ თქვენ შემოხაზეთ ესა თუ ის სიტყვა სტრიქონში.

ჰკითხეთ:

- ეს რა არის? {ეს არის სიტყვა}

შემდეგ მეორე შემოხაზეთ: „ეს კი მეორე სიტყვაა...„ თავდაპირველად სიტყვა შემოხაზეთ მთლიანად, შემდეგ კი აღარ შემოხაზოთ, მხოლოდ საჩვენებელი ჯოხის დადებით აჩვენეთ.

? დასვით შეკითხვები:

- ამ სტრიქონში რამდენი სიტყვაა? (მოსწავლეებთან ერთად დათვალეთ)
- ამ სტრიქონში რომელია ყველაზე დიდი სიტყვა?
- მერამდენეა ეს სიტყვა (მიუთითეთ) თავის სტრიქონში?

და მისთ.

უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის აქტივობები:

- **გამოდის მოსწავლე და აჩვენებს ან შემოხაზავს მითითებული აბზაცის**, ამა თუ იმ სტრიქონის, რომელიმე (პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ბოლო, ბოლოსწინა) სიტყვას; მათი დაწყების ან დასრულების ადგილს, სათაურს.
- **მასწავლებელი შემოხაზავს რომელიმე სიტყვას** და მოსწავლეებს ეკითხება, თუ მერამდენეა ეს სიტყვა თავის სტრიქონში;
- ან აჩვენებს რომელიმეს – სიტყვას, სტრიქონს, სათაურს, სტრიქონის ბოლოს, სტრიქონის დასაწყისს... – და მოსწავლეებს ეკითხება, თუ რა აჩვენა;
- რამდენი სტრიქონისგან შედგება ეს აბზაცი; რამდენი სიტყვისგან შედგება ეს სტრიქონი.

ემატება ახლებური შეკითხვებიც:

- ეს სიტყვა მერამდენე აბზაცშია?
- მერამდენე სტრიქონშია?
- რომელია ამ სტრიქონში ყველაზე გრძელი სიტყვა?
- ყველაზე მოკლე სიტყვა?

აქტივობა 6. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება (უთო, ნუში, შაშვი, ვაშლი)

პირობა: დააკვირდით სურათის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.




აქტივობა 7. თამაში „სიტყვების ლოტო“ (ვაშლი, უთო, ნუში, შაშვი)

ამ აქტივობის სიტყვებისთვის – **ვაშლი, უთო, ნუში, შაშვი** – მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებთან ერთად. აჩვენებთ მოსწავლეებს სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს. ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

მეთოდიკური შეხსენება: მოსწავლეებს არ ევალებათ სიტყვების გაშიფვრა-ამოკითხვა, ისინი სიტყვების გრაფიკულ ხატს მთლიანად, „ფოტოგრაფიულად“ იმახსოვრებენ. თამაში „სიტყვების ლოტო“ სასურველია, ყოველ მეორე გაკვეთილზე ჩატარდეს (მეთოდიკური კომენტარები ***იხ. თავი 1. მტევანი 3.1. აქტივობა 9).***
თუ არა გაქვთ გამოსაკრავი სურათები, მოსწავლეები რვეულის სურათებს გამოიყენებენ.


აქტივობა 8. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზით დააკავშირეთ ერთმანეთთან.



შენიშვნა: ეს უკვე კარგად ნაცნობი აქტივობაა და სასურველია, მოსწავლეებმა შინ შეასრულონ.

აქტივობა 9. ზედმეტის გადახაზვა
პირობა: მოძებნეთ ზედმეტი სიტყვა და გადახაზეთ.



აქტივობა 10. წინადადებების შედგენა და გავრცობა


► ინსტრუქცია

მოსწავლეებმა თქვენ მიერ მითითებული სიტყვების გამოყენებით ზეპირად უნდა შეადგინონ ვრცელი წინადადებები. თქვენ შეკითხვებით დაეხმარეთ წინადადებების გავრცობაში.
სიტყვები: **დამფრთხალი, ნუგბარი, მოკურცხლა**

გავრცობილი წინადადებების ნიმუშები:

- დამფრთხალმა ბიჭმა შინისაკენ მარდად მოკურცხლა.
- დედამ ახალ წელს საყვარელი ნუგბარი მომიმზადა.

აქტივობა 11. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა
ა) პირობა: დააკავშირეთ სურათი შესაბამის სიტყვასთან. მოძებნეთ უსურათოდ დარჩენილი სიტყვა და შემოხაზეთ.



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს ჯერ დაასახელებინეთ, რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ დამოუკიდებლად იმუშავებენ.
როგორც ყოველთვის, თქვენ მერხებს შორის ივლით, და საჭიროებისამებრ, დაეხმა-

რებით მოსწავლეებს. შესაძლებელია, ვინც დამოუკიდებლად ვერ მუშაობს, ერთად დასხათ, თქვენც მიუჯდეთ და გზადაგზა დააკვალიანოთ.

დარჩება სიტყვა „ბუბი“, ძალიან მნიშვნელოვანია, არ უთხრათ მათ, ეს რა სიტყვაა – მომდევნო (ბ) პუნქტში სიურპრიზად აღმოაჩენენ!

ბ) პირობა: დააკვირდით წინა დავალებაში თქვენ მიერ შემოხაზულ სიტყვას. იგივე სიტყვა მოძებნეთ სურათების ქვეშ. გააფერადეთ შესაბამისი სურათი.



აქტივობა 12. მეტყველების გააზრება

► ინსტრუქცია

რომელიმე მოსწავლეს უთხარით:

- ნინო, აიღე წიგნი!

შემდეგ იკითხეთ:

- ნიკა, რა ქნა ნინომ? {ნინომ წიგნი აიღო}
- თამრიკო, რა ქნა ნიკამ? {ნიკამ თქვა, რომ ნინომ წიგნი აიღო}

ისევ გაიმეორეთ ეს აქტივობა:

- დათო, გამოდი დაფასთან!

დასვით შეკითხვა:

- ლია, რა ქნა დათომ? {დათო დაფასთან გავიდა}
- ზაზა, რა ქნა ლიამ? {ლიამ თქვა, რომ ზაზა დაფასთან გავიდა}



მტევანი 4. „ბელები ქალაქში“

აქტივობა 1. ლექსიკური შემზადება მარიამ წიკლაურის ლექსის **„ზებრა“** მოსასმენად

აქტივობა 2. ლექსის **„ზებრა“** მოსმენა და შინაარსის დამუშავება

აქტივობა 3. ფონოლოგიური თამაშები

აქტივობა 4. ფონოლოგიური თამაში რვეულში

აქტივობა 5. ენობრივი თამაში – სიტყვობანა

აქტივობა 6. მეტყველების გააზრება (განმტკიცება)

აქტივობა 7. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება (დათვი, დაფა, ძუა, ძნა)

აქტივობა 8. თამაში „სიტყვების ლოტო“ **(დათვი, დაფა, ძუა, ძნა)**

აქტივობა 9. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

აქტივობა 10. სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

აქტივობა 11. წინადადებების შედგენა და გავრცობა

აქტივობა 12. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

აქტივობა 13. სიტყვა – სტრიქონში სიტყვის მოძებნა (განმტკიცება)

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 5 სთ.

წერის შემამზადებელ აქტივობები

მეთოდიკური შეხსენება:

- იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც კითხვისა და წერის სწავლების ერთდროულად დაწყება სურთ, მოსწავლეებს უკვე უნდა დააწყებინონ წერის შემამზადებელი სავარჯიშოების შესრულება.
- ის მასწავლებლები, რომლებსაც ურჩევნიათ კითხვისა და წერის სწავლების ერთმანეთისგან გამიჯვნა (ანუ სურთ, წერის სწავლება დაიწყონ ყველა ასოს ცნობის შემდეგ), წერის შემამზადებელ აქტივობებზე მუშაობას დაიწყებენ საანბანო პერიოდის დაახლოებით მესამე კვირიდან.

წერის შემამზადებელი აქტივობები *(იხ. წერის დედანი)*

მოსწავლეები ავსებენ დღეში ერთი სტრიქონს – ნახევარს კლასში, მეორე ნახევარს – შინ. თუ ერთ დღეს ორი გაკვეთილი აქვთ, ამ აქტივობას მხოლოდ ერთ გაკვეთილზე დაეთმობა, დაახლოებით, 5 წუთი. სასურველია, ეს დრო გამოიყოს გაკვეთილის შუაში ან ბოლოს და არა – დასაწყისში *(დეტალური რეკომენდაციები იხ. აქვე, მტევანი 3.).*

აქტივობა 1. ლექსიკური შემზადება მარიამ წიკლაურის ლექსის „ზებრა“ მოსასმენად

პირობა: დააკვირდით სურათს. როგორ ფიქრობთ, რატომ უწოდებენ გადასასვლელს „ზებრას“, გამოთქვით თქვენი აზრი.



აქტივობა 2. ლექსის „ზებრა“ მოსმენა და შინაარსის დამუშავება

► **ინსტრუქცია**

ა) ბავშვებს ჯერ მთლიანად გამოთქმით წაუკითხეთ ლექსი. შემდეგ თავიდან დაიწყეთ კითხვა და მოსწავლეებს ნაწილ-ნაწილ გაამეორებინეთ თქვენთან ერთად (წარმოათქმევინეთ დასრულებული წინადადებები).

ლექსი შეგიძლიათ შეასწავლოთ სახალისო მეთოდების გამოყენებით: გამეორება სხვადასხვა სიჩქარითა და ხმის ტემბრით (წვრილი ხმით, ბოხი ხმით, სასაცილო ხმით, ჩქარა, ნელა, ძალიან ჩქარა, ძალიან შენელებულად და სხვა).

ზებრა

– ზებრა, ზებრა, რას აკეთებ?
– ვეხმარები ბავშვებს, დიდებს,
უსაფრთხოდ და უხიფათოდ
ქუჩაზე რომ გადავიდნენ.
– იმოძრავე! – მწვანე გეტყვის,
– სდექ! – წითელი გეტყვის მკაცრად.
შუქნიშანმა ზუსტად იცის,
როდის რა ჯობს: სვლა თუ დაცდა!

ბ) ლექსის შინაარსის დამუშავება

- ცხოველის გარდა, კიდევ რას ეძახიან ზებრას? {ზოლებიან გადასასვლელს ქუჩაზე}
- რაში ეხმარება ზებრა გადასასვლელი ადამიანებს?
- რას ნიშნავს სიტყვა **სდექ?**
- **სვლა** რა არის ? {სიარული}

- თქვენ თუ გადადიხართ ზებრაზე? როგორ იქცევით გადასვლისას – ჯერ რომელ მხარეს იყურებით, მერე – რომელ მხარეს?

აქტივობა 3. ფონოლოგიური თამაშები

ა) მითითებული ბგერის ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს უთხარით:

მე დავასახელებ სიტყვებს. თქვენ ტაში უნდა დააუკრათ მხოლოდ იმ სიტყვებზე, რომლებშიც გაიგონებთ ბგერას „ი“. შემდეგ ხმამაღლა და მკვეთრად წარმოთქვით სიტყვები: ***იხვი, ია, წიგნი, ბელი, ვაზი, ჭა, ჭია, ირემი, თხილი, რტო, ჭიქა, წიწილა, კიტრი, საქანელა, ცისარტყელა, მელა, ხიდი.***


ბ) ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი)

► ინსტრუქცია

ხმამაღლა წარმოთქვამთ ბგერებად დაშლილ სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვაა და გაამთლიანონ. სასურველია, დაშლილად წარმოსათქმელი ყველა სიტყვა შეიცავდეს „უ“ ბგერას: ***ბუ / რუ / კუ / ქუჩა / ჯუჯა / ღამურა / თუთიყუში / ჩურჩხელა.***

აქტივობა 4. ფონოლოგიური თამაში რვეულში

პირობა: მოძებნეთ რამდენი „ი“ ბგერაა სიტყვაში. გააფერადეთ შესაბამისი ხაზი სურათის ქვეშ.



► ინსტრუქცია

ნიმუშს ერთად განიხილავთ, შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად გააგრძელებენ მუშაობას. ჩვეულებისამებრ, თქვენ მერხებს შორის ივლით და დააკვირდებით, ვინ შეასრულებს სწორად და ვის სჭირდება დახმარება. მოსწავლეები, რომლებსაც უჭირთ ამ აქტივობის შესრულება, დაისხით გვერდით ერთ-ერთ მერხთან და გეზის-მიმცემი შეკითხვებით დაეხმარეთ დავალების შესრულებაში.

შედეგები შემოწმდება და გასწორდება. მნიშვნელოვანია, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ ბგერებად. დაუსვით მათ შეკითხვები:

? შეკითხვის ნიმუშები:

- რამდენი ბგერაა სიტყვაში „ირემი“?
- ბგერა „ი“ რამდენია ამ სიტყვაში?
- პირველი „ი“ მერამდენე ბგერაა ამ სიტყვაში?
- მეორე „ი“?

და მისთ.

აქტივობა 5. ენობრივი თამაში – სიტყვობანა

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს ეტყვით, რომ უნდა ათამაშოთ **სიტყვობანა.**

აუხსენით თამაშის წესები:

რომელიმეს გიჩურჩულებთ სიტყვას ნასწავლი სიტყვებიდან. ვისაც ვუჩურჩულებ, მან უსიტყვოდ, მხოლოდ მოძრაობით, გათამაშებით უნდა მიახვედროს თანაკლასელები, რა სიტყვაა. მხოლოდ სამი თქმის უფლება გექნებათ. თუ მესამე თქმაზეც ვერ გამოიცნობთ, მაშინ გავამჟღავნებ, რა სიტყვა იყო. შემდეგ სხვა მოსწავლე „გაითამაშებს“ გამოსაცნობ სიტყვას.

შემდეგ უთხარით:

სანამ თამაშს დავიწყებთ, მანამდე უნდა გადავამოწმოთ, გახსოვთ თუ არა ამ სიტყვების მნიშვნელობები: ***ჩაუქროლეს, საზარელი, ბაჯბაჯი, შეიყუჟა/შეიყუჟნენ, ბურდღუნი, კუდბუთქუნა, აბრიალებს.***

როცა დარწმუნდებით, რომ ყველამ იცის დასახელებული სიტყვების მნიშვნელობები, დაიწყეთ თამაში. სანიმუშოდ ერთ-ერთი სიტყვა თქვენ განასახიერეთ მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, სიტუაციურად. ვინც პირველი ამოიცნობს, ის იქნება მომდევნო სიტყვის წარმდგენი. თუ ვერც ერთი ვერ გამოიცნობს, მაშინ თქვენ იტყვით, რა სიტყვა იყო და შეარჩევთ მოსწავლეს, რომელსაც მომდევნო სიტყვას უჩურჩულებთ.

მეთოდიკური შენიშვნა: შესაძლებელია ამ აქტივობის, როგორც მოძრავი თამაშის გამოყენება მოსწავლეთა გასახალისებლად.

აქტივობა 6. მეტყველების გააზრება (განმტკიცება)

პირობა: დააკვირდით სურათს და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს გადააშლევინეთ წიგნები იმ გვერდზე, სადაც ზებრას სურათია. აჩვენეთ ილუსტრაცია.

? დასვით შეკითხვები:

- გიორგი, რას შვრებიან ბავშვები? {ბავშვები „ზებრაზე“ (გადასასვლელზე) გადადიან}
- ნინო, რა ქნა გიორგიმ? {გიორგიმ თქვა, რომ ბავშვები „ზებრაზე“ გადადიან}
- გიორგი, შენ რა ქენი? {მე ვთქვი, რომ ბავშვები ზებრაზე გადადიან}
- ნია, რას შვრება ზებრა? {ზებრა გადასასვლელს უყურებს}
- ცოტნე, რა ქნა ნიამ? {ნიამ თქვა, რომ ზებრა გადასასვლელს უყურებს}
- ნია, შენ რა ქენი? {მე ვთქვი, რომ ზებრა გადასასვლელს უყურებს}

აქტივობა 7. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება (დათვი, დაფა, ძუა, ძნა)

პირობა: დააკვირდით სურათის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 8. თამაში „სიტყვების ლოტო“ (დათვი, დაფა, ძუა, ძნა)

ამ აქტივობის სიტყვებისთვის – **დათვი, დაფა, ძუა, ძნა** – მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებთან ერთად. აჩვენებთ მოსწავლეებს სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს; ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

მეთოდიკური შეხსენება: მოსწავლეებს არ ევალებათ სიტყვების გაშიფვრა-ამოკითხვა, ისინი სიტყვების გრაფიკულ ხატს მთლიანად, „ფოტოგრაფიულად“ იმახსოვრებენ.

თუ არა გაქვთ გამოსაკრავი სურათები, მოსწავლეები რვეულის სურათებს გამოიყენებენ.

აქტივობა 9. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზით დააკავშირეთ ერთმანეთთან.

შენიშვნა: ეს უკვე კარგად ნაცნობი აქტივობაა და სასურველია, მოსწავლეებმა შინ შეასრულონ.



აქტივობა 10.

პირობა: სიტყვათა გროვაში მოძებნეთ სიტყვა „ბაბი“ და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 11. წინადადებების შედგენა

► ინსტრუქცია

მოსწავლეებმა სიტყვების გამოყენებით ზეპირად უნდა შეადგინონ ვრცელი წინადადებები. თქვენ შეკითხვებით დაეხმარეთ წინადადებების გავრცობაში.


სიტყვები: **ბუნაგი, კუნძი, საზარელი, თავზარი დაეცათ.**

გავრცობილი წინადადებების ნიმუშები:

- მონადირეებმა ტყეში დათვის ბუნაგს მიაგნეს.
- დიდ კუნძზე კუდბუთქუნა ციყვი ციო იჯდა.
- საზარელი ურჩხულის დანახვაზე ჯუჯებს თავზარი დაეცათ.

აქტივობა 12. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

ა) პირობა: დააკავშირეთ სურათი შესაბამის სიტყვასთან. მოძებნეთ უსურათოდ დარჩენილი სიტყვა და შემოხაზეთ.



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს ჯერ დაასახელებინეთ, რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ დამოუკიდებლად იმუშავებენ.

როგორც ყოველთვის, თქვენ მერხებს შორის ივლით და საჭიროებისამებრ დაეხმარებით მოსწავლეებს.

დარჩება სიტყვა „კესო“, ძალიან მნიშვნელოვანია, არ უთხრათ მათ, რა სიტყვაა – მომდევნო (**ბ**) პუნქტში სიურპრიზად აღმოაჩენენ!

ბ) პირობა: დააკვირდით წინა დავალებაში თქვენ მიერ შემოხაზულ სიტყვას. იგივე სიტყვა მოძებნეთ სურათების ქვეშ. გააფერადეთ შესაბამისი სურათი.



აქტივობა 13. სიტყვა – სტრიქონში სიტყვის მოძებნა (განმტკიცება)

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს დაფაზე გაუკარით ტექსტი, დაუსვით შეკითხვები:

- რისგან შედგება ტექსტი? {ტექსტი შედგება აბზაცებისაგან}
- სულ რამდენი აბზაცია ამ ტექსტში?
- რისგან შედგება აბზაცი? {აბზაცი შედგება სტრიქონებისაგან}
- ამ აბზაცში (მიუთითეთ აბზაცი) რამდენი სტრიქონია?
- რისგან შედგება სტრიქონი? {სიტყვებისაგან}
- დათვალე, რამდენი სიტყვაა ამ (მიუთითეთ) სტრიქონში?
- შემოხაზე მესამე აბზაცის მეორე სტრიქონი.

- მაჩვენე პირველი აბზაცის მესამე სტრიქონის მეორე სიტყვა.
- მაჩვენე ბოლო აბზაცის ბოლო სიტყვა.
- მაჩვენე ამ ტექსტის სათაური.
- ეს სიტყვა (მიუთითეთ) მერამდენეა ამ სტრიქონში?
- ახლა რას გაჩვენებთ – ეს რა არის? {აბზაცი, სტრიქონი, სიტყვა}
- მაჩვენე მეორე აბზაცის პირველი სტრიქონი, ბოლო სტრიქონი.
- სად მთავრდება ეს (მიუთითეთ) აბზაცი?
- ეს სიტყვა (მიუთითეთ) მერამდენე სტრიქონშია? მერამდენე აბზაცშია?
- ამ სტრიქონში (მიუთითეთ) რომელია ყველაზე გრძელი სიტყვა? ყველაზე მოკლე სიტყვა?
- ეს სიტყვა (მიუთითეთ) მერამდენეა თავის სტრიქონში?



მტევანი 5.

აქტივობა 1. ზღაპრის **„ბელები ქალაქში“** შინაარსის გამთლიანება ილუსტრაციებზე დაყრდნობით

აქტივობა 2. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა ილუსტრაციაზე დაყრდნობით

აქტივობა 3. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა-დაკავშირება (ნავი, ტბა, ცუგა, ვაზი)

აქტივობა 4. თამაში „სიტყვების ლოტო“ **(ნავი, ტბა, ცუგა, ვაზი)**

აქტივობა 5. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

აქტივობა 6. წინადადებების შედგენა

აქტივობა 7. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

აქტივობა 8. ფონოლოგიური თამაშები

აქტივობა 9. ფონოლოგიური თამაში რვეულში

აქტივობა 10. ზედმეტის გადახაზვა

აქტივობა 11. ეპიზოდის შერჩევა და გათამაშება

აქტივობა 12. მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობა

აქტივობა 13. ლექსის **„ფიქრიას ნატვრა“** წაკითხვა და შინაარსის დამუშავება

აქტივობა 14. ილუსტრაციის აღწერა

აქტივობა 15. გაფერადება

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 7 სთ.

წერის შემამზადებელი აქტივობები

მეთოდიკური შეხსენება:

- იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც კითხვისა და წერის სწავლების ერთდროულად დაწყება სურთ, მოსწავლეებს უკვე უნდა დააწყებინონ წერის შემამზადებელი სავარჯიშოების შესრულება.
- ის მასწავლებლები, რომლებსაც ურჩევნიათ კითხვისა და წერის სწავლების ერთმანეთისგან გამიჯვნა (ანუ სურთ, წერის სწავლება დაიწყონ ყველა ასოს ცნობის შემდეგ), წერის შემამზადებელ აქტივობებზე მუშაობას დაიწყებენ საანბანო პერიოდის დაახლოებით მესამე კვირიდან.

წერის შემზადებელი აქტივობები *(იხ. წერის დედანი)*

მოსწავლეები ავსებენ დღეში ერთი სტრიქონს – ნახევარს კლასში, მეორე ნახევარს – შინ. თუ ერთ დღეს ორი გაკვეთილი აქვთ, ამ აქტივობას მხოლოდ ერთ გაკვეთილზე დაეთმობა დაახლოებით 5 წუთი. სასურველია, ეს დრო გამოიყოს გაკვეთილის შუაში ან ბოლოს და არა – დასაწყისში *(დეტალური რეკომენდაციები იხ. აქვე, მტევანი 3.).*

აქტივობა 1. ზღაპრის „ბელები ქალაქში“ შინაარსის გამთლიანება ილუსტრაციების გამოყენებით

პირობა: დაათვალიერეთ მოსმენილი ზღაპრის („ბელები ქალაქში“) ილუსტრაციები. მათზე დაყრდნობით გაიხსენეთ მთლიანი ზღაპარი და გადმოეცით შინაარსი.



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს აჩვენეთ ზღაპრის **„ბელები ქალაქში“** ილუსტრაციები. მათზე დაყრდნობით მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ მთლიანი ტექსტი და მოჰყვნენ შინაარსს. თხრობა გააგრძელებინეთ სხვადასხვა მოსწავლეს. ეცადეთ, რომ თხრობაში მონაწილეობა ყველამ მიიღოს.

აქტივობა 2.

პირობა: ფერად ბარათებზე მოცემული სიტყვები მოძებნეთ სურათზე და ამოიცანით, რა წერია.




დათუ | ბაბი | მამუ | ბუში



ბუში | კესო | გიგი | ცოო | ბაბი

აქტივობა 3. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა – ნავი, ტბა, ცუგა, ვაზი

პირობა: დააკვირდით სურათის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 4. თამაში „სიტყვების ლოტო“ (ნავი, ტბა, ცუგა, ვაზი)

► ინსტრუქცია

ამ აქტივობის სიტყვებისთვის – **ნავი, ტბა, ცუგა, ვაზი** – მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებთან ერთად. მოსწავლეებს აჩვენებთ სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს. ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

თუ არა გაქვთ გამოსაკრავი სურათები, მოსწავლეები რვეულის სურათებს გამოიყენებენ.

აქტივობა 5. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

პირობა: გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზით დააკავშირეთ ერთმანეთთან.



შენიშვნა: ეს უკვე კარგად ნაცნობი აქტივობაა და სასურველია, მოსწავლეებმა შინ შეასრულონ.

აქტივობა 6. გავრცობილი წინადადებების შედგენა

► ინსტრუქცია

მოსწავლეებმა თქვენ მიერ მითითებული სიტყვების გამოყენებით ზეპირად უნდა შეადგინონ რაც შეიძლება ვრცელი წინადადებები. თქვენ შეკითხვებით დაეხმარეთ წინადადებების გავრცობაში. შეუძლიათ, ერთ წინადადებაში ერთად გამოიყენონ ორი ან მეტი დასახელებული სიტყვა.


სიტყვები: ბჭობდნენ, გამაყრუებელი, აწრიალდა.

გავრცობილი წინადადებების ნიმუშები:

- ქუჩიდან მანქანების გამაყრუებელი ხმაური ისმოდა.
- საქათმეში ქათმიპარია მელაკუდა დაიჭირეს და გისოსებიან გალიაში ჩასვეს.
- მოსწავლეები დიდხანს ბჭობდნენ, სად დაერგოთ სახლიდან მოტანილი ნერგები.

აქტივობა 7. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

ა) პირობა: დააკავშირეთ სურათი შესაბამის სიტყვასთან. მოძებნეთ უსურათოდ დარჩენილი სიტყვა და შემოხაზეთ.



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს ჯერ დაასახელებინეთ, რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ დამოუკიდებლად იმუშავებენ.

როგორც ყოველთვის, თქვენ მერხებს შორის ივლით და საჭიროებისამებრ დაეხმარებით.

დარჩება სიტყვა „დადუ“, ძალიან მნიშვნელოვანია, არ უთხრათ მათ, ეს რა სიტყვაა – მომდევნო (ბ) პუნქტში სიურპრიზად აღმოაჩენენ!

ბ) პირობა: დააკვირდით წინა დავალებაში თქვენ მიერ შემოხაზულ სიტყვას. იგივე სიტყვა მოძებნეთ სურათების ქვეშ. გააფერადეთ შესაბამისი სურათი.



აქტივობა 8. ფონოლოგიური თამაშები

ა) მითითებული ბგერის ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს უთხარით:

მე დავასახელებ სიტყვებს. თქვენ ტაში უნდა დაუკრათ მხოლოდ იმ სიტყვებზე, რომლებშიც გაიგონებთ ბგერას „ძ“. შემდეგ ხმამაღლა და მკვეთრად წარმოთქვით შემდეგი სიტყვები: ***ძუა, მზე, ძაფი, ეზო, ტყე, ძნა, ზაზუნა, ძროხა, ძილი, ზარი, ზღარბი, ძაღლი, დინოზავრი, ძვალი.***

ბ) ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი)


► **ინსტრუქცია**


- ხმამაღლა წარმოთქვამთ ბგერებად დაშლილ სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვაა და გაამთლიანონ. სასურველია, დაშლილად წარმოსათქმელი ყველა სიტყვა შეიცავდეს „მ“ ბგერას: **მთა / მზე / მეფე / მამა / მელა / მგელი / მარწყვი / მსხალი / მტრედი / მაიმუნი / მთვარე / მაკრატელი.**

მეთოდიკური შეხსენება: ბგერების გამთლიანება სიტყვად, ანუ ფონოლოგიური სინთეზი, კითხვის წინარე უმნიშვნელოვანესი შემამზადებელი აქტივობაა. ამიტომ სასურველია ამ ტიპის სავარჯიშოს ხშირად შეთავაზება მოსწავლეთათვის.

აქტივობა 9. ფონოლოგიური თამაში რვეულში

ა) პირობა: მოძებნეთ რამდენი „მ“ ბგერაა სიტყვაში. გააფერადეთ შესაბამისი ხაზი სურათის ქვეშ.





► ინსტრუქცია

ნიმუშს ერთად განიხილავთ, შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად გააგრძელებენ მუშაობას. როგორც ყოველთვის, თქვენ მერხებს შორის ივლით და ნახავთ, ვინ შეასრულებს სწორად დავალებას და ვის სჭირდება დახმარება.

შედეგები შემოწმდება და გასწორდება – მნიშვნელოვანია, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ ბგერებად. დაუსვით მათ შეკითხვები:


? შეკითხვის ნიმუშები:

- რამდენი ბგერაა სიტყვაში „მაიმუნი“?
- ბგერა „მ“ რამდენია ამ სიტყვაში?
- პირველი „მ“ მერამდენე ბგერაა ამ სიტყვაში?
- მეორე „მ“?

და მისთ.


ბ) „ძ“ ბგერით დაწყებული სიტყვები

პირობა: შემოხაზეთ სიტყვები, რომლებიც იწყება „ძ“ ბგერით.



აქტივობა 10. ზედმეტის გადახაზვა

პირობა: მოძებნეთ ზედმეტი სიტყვა და გადახაზეთ.



აქტივობა 11. ეპიზოდის შერჩევა და გათამაშება

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებმა უნდა გაითამაშონ მოსმენილი ზღაპრის **„ბელები ქალაქში“** ერთი რომელიმე ეპიზოდი;

მაგალითად:

1. ბელები ზამთრის ძილის შემდეგ: როგორ გამოიღვიძეს, როგორ გაიზმორნენ, შემდეგ ბუნაგიდან გაიხედეს და დაინახეს, რომ გაზაფხული მოსულა: ზოგიერთი მოსწავლე ჩაცუცქულა, ვითომ ყვავილია, და სხვა მოსწავლე თავს ევლება პეპელასავით. ზოგი ვითომ ჩიტია და ჭიკჭიკებს: „ჭიკ-ჭიკ“. ერთი ვითომ მზეა, დგას და ყვითელ თავსაფარს აფრიალებს. ბელები დაიძახებენ: „გაზაფხული მოსულა!“ და ბუნაგიდან გამობობღდებიან.


2. ბელები სკვერში არიან, უცებ გიგი, კესო და ციო გამოჩნდებიან... ცოტა ხანში ერთად თამაშობენ – ბელები ყირაზე გადადიან, რომ ბავშვებს ასიამოვნონ. მერე პოლიციის მანქანა მოდის პიპინით, ბელები ბუჩქებში იმალებიან, ბავშვები ცდილობენ დამალონ, მაგრამ ვერ მალავენ. ბელებს იჭერენ და ბჭობენ, სად წაიყვანონ. მერე გადაწყვეტენ, რომ ისევ ტყეში დააბრუნონ და ა.შ.

აქტივობა 12. ნასწავლი საყრდენი სიტყვების მოძებნა ტექსტში

მეთოდიკური რეკომენდაცია: ერთზე მეტნაბიჯიანი აქტივობა მოსწავლეებს ერთბაშად არ უნდა წავუკითხოთ; ჯერ წავუკითხოთ დავალების პირობის ერთი ნაწილი, როცა შეასრულებენ, მერე წავუკითხოთ მეორე და ა.შ. შესაძლებელია ამ აქტივობის შესრულება ორ გაკვეთილზე განაწილდეს – პირობის ორი პუნქტი ერთ გაკვეთილზე, ორი მომდევნო პუნქტი – შემდეგ გაკვეთილზე.

პირობა:

1. მოძებნეთ პირველი აბზაცი. ამ აბზაცის პირველ სტრიქონში მოძებნეთ და შემოხაზეთ ნასწავლი სიტყვები: **ცა / მზე.**
2. პირველი აბზაცის მეორე სტრიქონში მოძებნეთ და შემოხაზეთ: **მთა / ტყე.**
3. პირველი აბზაცის მესამე სტრიქონში მოძებნეთ და შემოხაზეთ: **ტბა / წერო.**
4. პირველი აბზაცის ბოლოსწინა სტრიქონში მოძებნეთ სიტყვა **ია.**
5. მეორე აბზაცში შემოხაზულია ნასწავლი სიტყვები. დააკვირდით, ამოიცანით და დაასახელეთ.



დილა ტყეში

გათენდა. ცა მოინმინდა. მზე ამოვიდა და დიდი მთა გაანათა. მთიდან სით ქროდა. სიომ ტყე ააშრიალა და ტბა აალღვა. ტბიდან წერო აფრინდა და ტყეს გადაუფრინა. ტყეში კუმ გაიღვიძა და მუხასთან მიბაკუნდა. მუხას რკოს შეჩრენოდა. მუხის ძირას ია გაეღვიძა და ნაზად შეიმშუშნა. „აი ია!“ – თქვა კუმ და ია გაულიმა.

იქვე ირხა ადგა. მუხის რტოზე ტუ ოყლემდა. რტე ქანაობდა. უცებ რტე მოტყდა. ტუ დაფეთდა და ბღვილი დაინყო. თხას შეეშინდა და გზაზე გავარდა. გზის პირას სკა იდგა. რხა სკას დაეჯახა. სკიდან ფუტკრები გამობზუილდნენ და თხას დაედევნენ.

► **ინსტრუქცია**

ამ აქტივობის შესრულებისას ტექსტის **„აი ია“** პირველი ნაწილი აუცილებლად უნდა გქონდეთ საკლასო ოთახში გამოკრული; მუშაობას წარმართავთ ნაბიჯ-ნაბიჯ:

ნაბიჯი 1. ჯერ წაუკითხავთ დავალების პირობის პირველ პუნქტს. მოსწავლეებს ეტყვით, რომ სიტყვის ამოსაცნობად შეუძლიათ დაიხმარონ სურათები და მათ ქვეშ მიწერილი სიტყვები.

ნაბიჯი 2. როცა პირველ პუნქტზე მუშაობას დაასრულებენ, გამოიყვანთ ერთ-ერთ მოსწავლეს და იმავე სავარჯიშოს დაფასთან გააკეთებინებთ. მოსწავლეები შეადარებენ, იმსჯელებენ სწორ/არასწორ ვარიანტებზე. საჭიროებისამებრ ყველა გაასწორებს შეცდომებს. ამგვარად მუშაობა გაგრძელდება პირობის სხვა ნაწილებზეც.

მეთოდიკური რეკომენდაცია:

საკლასო ოთახში გამოკრული პირველი **(„დილა ტყეში“)** და მეორე **(„სხვის ეზოში“)** ტექსტის გამოყენებით შესაძლებელია მთელ-მთელ სიტყვებზე მუშაობის გამრავალფეროვნება. სასურველია, ამ აქტივობას 5 წუთი დაეთმოს ხოლმე.

ამ ტიპის აქტივობების დროს მოსწავლე ადარებს თვალსაჩინოების (სურათების) ქვეშ მიწერილ სიტყვებს, ან ისე, ზეპირად ცნობს, როგორც ურჩევნია.

მაგალითად, მასწავლებელი გამოძახებულ მოსწავლეს ავალებს:

1. მოძებნოს, ვთქვათ, მეორე აბზაცის მესამე სტრიქონი. შემდეგ მოძებნოს ამ სტრიქონის, მაგალითად, ბოლოსწინა სიტყვა. მოძებნოს და „წაიკითხოს“, ანუ იცნოს, რა სიტყვაა;
2. მითითებულ სტრიქონში მოძებნოს რომელიმე ნასწავლი სიტყვა, მაგალითად, **სკა**. ბოლოს მოსწავლე არკვევს, სტრიქონში (ან წინადადებაში) მერამდენეა ეს სიტყვა (***სკა);***
3. მითითებულ სტრიქონში მოძებნოს ყველა ნასწავლი სიტყვა. შემდეგ (განსაკუთრებით, მაღალი მზაობის მოსწავლის გამოძახებისას) მთელ აბზაცშიც შეიძლება ყველა ნასწავლი სიტყვის მოძებნა;
4. მასწავლებელი საჩვენებელი ჯოხით შემოხაზავს ერთ-ერთ ნასწავლ სიტყვას და რომელიმე მოსწავლეს ეკითხება, თუ რომელი სიტყვაა ეს. შემდეგ მასწავლებელი შემოხაზავს სხვა ნასწავლ სიტყვას და სხვა მოსწავლეს ეკითხება, თუ რომელი სიტყვაა და ასე შემდეგ.

მეთოდიკური რეკომენდაცია:

მე-4 ტიპის აქტივობაში ზედიზედ ათი მოსწავლის გამოკითხვაც შეიძლება (მეტისა - არა, მოსაბეზრებელი იქნება); ხოლო 1-ელ, მე-2 და მე-3 სავარჯიშოში ერთდროულად ორი-სამი მოსწავლე უნდა იყოს დაფასთან გაყვანილი, თითოეულ მათგანს მიეცეს სხვადასხვა ტექსტი და დამოუკიდებლად, პარალელურად დაიწყონ ძებნა.

როცა ვასწავლით წინადადების ცნობას, ამის შემდეგ 1-ელი, მე-2 და მე-3 ტიპის აქტივობები ჩატარდება წინადადებებზე, სტრიქონების ნაცვლად: „მოძებნე მეორე აბზაცის მესამე წინადადება! ახლა ამ წინადადებაში მოძებნე...“ (ხან – წინადადება და ხან – სტრიქონი).

მე-4 ტიპის სავარჯიშოები საანბანო და ანბანისშემდგომ პერიოდებშიც გრძელდება. ოღონდ კედელზე დაკიდებული დიდი ტექსტების ნაცვლად მსგავსი სავარჯიშო-

ები მოსწავლის წიგნში დაბეჭდილ ტექსტებზე შესრულდება.

აქტივობა 13. ლექსის „ფიქრიას ნატვრა“ მოსმენა და შინაარსის დამუშავება

ფიქრიას ნატვრა

აქეთ ავტო, იქით ავტო,
მოქრიან და მიქრიან,
დღეს ქალაქში სასეირნოდ
წაიყვანეს ფიქრია.
„ეს ცირკია! ზოოპარკიც
უნდა ნახო, პატარავ!“ –
უთხრა ძიამ და ქალაქში
საღამომდე ატარა...
და გოგონას ქალაქიდან
ნატვრა გამოჰყოლოდა:
ოჰ, ნეტავი ეგ ქალაქი
ჩვენს სოფელშიც გვქონოდა!

► **ინსტრუქცია**

ა) ლექსის მოსმენა

ბავშვებს ჯერ გამოთქმით წაუკითხეთ ლექსი. შემდეგ თავიდან დაიწყეთ კითხვა და მოსწავლეებს ნაწილ-ნაწილ გაამეორებინეთ თქვენთან ერთად (წარმოათქმევინეთ დასრულებული წინადადებები).

ლექსი შეგიძლიათ შეასწავლოთ სახალისო მეთოდების გამოყენებით: გამეორება სხვადასხვა სიჩქარითა და ხმის ტემბრით (წვრილი ხმით, ბოხი ხმით, სასაცილო ხმით, ჩქარა, ნელა, ძალიან ჩქარა, ძალიან შენელებულად, წამღერებით და სხვა).

ბ) შინაარსის დამუშავება

მოსწავლეებს დაუსვით შეკითხვები:

- სად წაიყვანეს ფიქრია სასეირნოდ?
- ვინ წაიყვანა ფიქრია ქალაქში?
- რა ნახა ფიქრიამ ქალაქში?
- თქვენი აზრით, კიდევ რას ნახავდა – რა არის ქალაქში?
- როგორ გგონიათ, სად ცხოვრობდა ფიქრია, საიდან იყო? საიდან ჩანს?
- მოეწონა თუ არა გოგონას ქალაქი? როგორ მიხვდით?
- რა ინატრა ფიქრიამ?
- კიდევ რომელი ტექსტი გახსენდებათ ქალაქზე? {„ბელები ქალაქში“}
- მოეწონათ თუ არა ბელებს ქალაქი? საიდან ჩანს?

- ყველაზე მეტად რა მოეწონათ ბელებს ქალაქში? რატომ?
- თქვენ რა მოგწონთ ქალაქში? სოფელში?

აქტივობა 14. ილუსტრაციის აღწერა

პირობა: დააკვირდით სურათს. როგორ გგონიათ, სად იმყოფება ფიქრია? აღწერეთ.



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს აჩვენეთ წიგნის ილუსტრაცია (ფიქრია ცირკში). შეკითხვებით დაეხმარეთ ილუსტრაციის აღწერაში.

? დამხმარე შეკითხვები

- ვისთან ერთად არის ფიქრია ცირკში? საიდან იცით?
- ვის ხედავთ სცენაზე?
- როგორია ჯამბაზი – რა აცვია? {ჯამბაზს აქვს დიდი წითელი ცხვირი და აბურძგნული ყვითელი თმა; აცვია დიდი შავი ფეხსაცმელები, ლურჯზოლებიანი შარვალი და წითელი პერანგი}
- რას აკეთებს ჯამბაზი?
- კიდევ ვინ არის სცენაზე?
- რას აკეთებს გოგონა? {გოგონა თეთრ ცხენზე დგას და მიაჭენებს}
- როგორია გოგონა – რა აცვია? {გოგონას აქვს გრძელი წაბლისფერი თმა, აცვია შავი მაისური, ვარდისფერი მოკლე ფუშფუშა კაბა და წითელი ფეხსაცმელები}
- რას აკეთებს ფიქრია?
- როგორ გგონიათ, გოგონა გახარებულია თუ არა? როგორ მიხვდით?

აქტივობა 15. გაფერადება

პირობა: გააფერადეთ.



გასაფერადებელი საშინაო დავალებად მიეცით.



მტევანი 6.

შემოქმედებითი დავალება: მასწავლებელი კალამი

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 სთ.

აქტივობა 2. მასწავლებელი კალამი

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს უთხარით:

„თქვენ ვითომ მწერლები ხართ, მე კი – თქვენი კალამი. ჩვენ ერთად უნდა მოვიფიქროთ და დავწეროთ ამბავი.

წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ქალაქში პოლიციელებს ბელები ზოოპარკში რომ წაეყვანათ. რას იზამდნენ ციო და მისი მეგობრები – გიგი და კესო?

აი, ამაზე უნდა მოიფიქროთ ამბავი! თქვენ უნდა მიკარნახოთ, მე კი დაფაზე დავწერ თქვენს ნაკარნახევს. შემდეგ დიდ ფურცლებზე გადავწერ. თქვენ მოამზადებთ ნახატებს და ერთად ავაწყობთ წიგნს.“

მოამზადეთ დაფა, ცარცი და მოემზადეთ საწერად.

დასვით შეკითხვები:

- ბავშვებო, საიდან უნდა დავიწყო წერა – დაფის კიდიდან თუ ცოტა შიგნით შევწიო ნაწერი? {უნდა შევწიოთ}
- რატომ უნდა შევწიოთ? {აბზაცით უნდა დავიწყოთ}
- აქედან კარგია? არა? აბა, საიდან დავიწყო? აქედან? (აჩვენეთ ადგილი, სააიდანაც უნდა დაიწყოთ). მაშ, დავიწყოთ!
- ვინ მეტყვის, რა დავწერო, როგორ დავიწყო ჩვენი ტექსტი?

რომელიმე მოსწავლე იტყვის რაიმე წინადადებას. თქვენ შეკითხვებით დააზუსტებინებთ აზრს. შემდეგ სხვებსაც ჰკითხავთ, ეთანხმებიან თუ არა. შეაჯერებთ მათ ნათქვამს და საბოლოოდ შეთანხმებულ წინადადებას დაფაზე დაწერთ. შემდეგ გადახვალთ მომდევნო წინადადებაზე… როცა ერთ სტრიქონს შეავსებთ, მოსწავლეებს ჰკითხეთ:

- ახლა საიდან გავაგრძელო წერა – აქედან თუ აქედან? რატომ? {ახლა აბზაცი აღარაა საჭირო და აღარ უნდა შევწიოთ ნაწერი}.

მოსწავლეების მონაწილეობით შექმნილ ტექსტს დაფაზე დაწერთ გარკვევით, დიდი ასოებით. წერისას ყოველ სიტყვას მკაფიოდ იტყვით. ასევე მკაფიოდ წაიკითხავთ ყოველ დაწერილ წინადადებას.

ყოველი წინადადების ჩაწერის შემდეგ იტყვით: – აქ, წინადადების ბოლოს ვსვამთ წერტილს – აი, ასე! (დასვით წერტილი).

დასრულების შემდეგ მთლიან ტექსტს წაიკითხავთ ნელა, ხმამაღლა, გარკვევით, სტრიქონებზე ჯოხის გაყოლებით (ტექსტი პატარა უნდა იყოს). შემდეგ მოსწავლე-

ებს ჰკითხეთ:

- რა აკლია ჩვენს ტექსტს? {სათაური}
- მოიფიქრეთ ამ ტექსტის სათაური (ალბათ რამდენიმეს დაასახელებენ)
- დასახელებული სათაურებიდან ერთობლივად შეარჩიეთ რომელიმე.
- სად უნდა დავწეროთ სათაური, აქ თუ აქ? {ტექსტის ზემოთ, შუაში}

როცა დაასრულებთ ტექსტს, დასვით შეკითხვები ტექსტის სტრუქტურასთან დაკავშირებით:

- სად იწყება ჩვენი ტექსტი?
- სად მთავრდება? რომელია პირველი სიტყვა? ბოლო სიტყვა რომელია?
- რამდენი აბზაცისგან შედგება?
- რამდენი სტრიქონისგან შედგება?
- რამდენი სიტყვაა პირველ სტრიქონში?
- ბოლო სტრიქონში რამდენი სიტყვაა?
- რომელი სიტყვაა ყველაზე გრძელი მეორე სტრიქონში?

და მისთ.

ასევე დასვამთ შეკითხვებს ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით, მაგალითად:

- რა არის ჩვენი დაწერილი ამბის სათაური?
- ვინ არიან ამბის პერსონაჟები?
- სად წაიყვანეს ბელები პოლიციელებმა?
- რა გააკეთეს ციომ, გიგიმ და კესომ მეგობრების დასახმარებლად?

და მისთ.

შეთხზული ტექსტი დიდი ასოებით ლამაზად გადაწერეთ დიდ ფურცლებზე, მოსწავლეებს სთხოვეთ, სურვილისამებრ, დახატონ სასურველი ეპიზოდის სურათები, რომლებსაც ჩააკრავთ ტექსტის შესაბამის ადგილას. ფურცლებს შეკრავთ, გაუკეთებთ ყდას, დააწერთ სათაურს და გააკეთებთ ხელნაკეთ წიგნს.

ანბანისშემდგომ პერიოდში ეს ტექსტი მოსწავლეებს ხმამაღლა წააკითხეთ.

თავი 3. ყველაფერი თავიდან

გრძელვადიანი მიზნები
სამიზნე ცნება: ტექსტი ● სამიზნე ცნების მოცულობა: ჟანრი, ტექსტის შინაარსი, ტექსტი ენა, ტექსტის სტრუქტურა-აგებულება, სამეტყველო ქმედება, საკომუნიკაციო სიტუაცია, არავერბალური მეტყველების საშუალებები. **სამიზნე ცნება: სიტყვა** ● სამიზნე ცნების მოცულობა: თემატური ლექსიკა, ფუნქციური ლექსიკა, სიტყვაწარმოება, შესიტყვებები, სიტყვის ბგერითი ფორმა, სიტყვის აგებულება, სიტყვათა სემანტიკური კავშირები. **სამიზნე ცნებები** – წარმოთქმული სიტყვა (სიტყვის ხმოვანი ფორმა); დაწერილი სიტყვა (სიტყვის გრაფიკული ფორმა).
შუალედური მიზნები
1. მოთხრობის „ყველაფერი თავიდან“ <u>მოსმენა და გაგება-გააზრება</u> (სამიზნე ცნება – ტექსტი) ***<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>*** 1.1. ტექსტში პირდაპირ მოცემული ინფორმაციის ამოცნობა; 1.2. არაპირდაპირ, მინიშნებებით მოცემული, ნაგულისხმევი ინფორმაციის ამოცნობა, მინიშნებებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა (მაგ., პერსონაჟთა შორის არსებული ურთიერთობების ამოცნობა, მოქმედებათა თანმიმდევრობის ამოცნობა, მოქმედების დროისა და ადგილის ამოცნობა); 1.3. შინაარსის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება (მაგ., ტექსტის შინაარსთან, პერსონაჟის ქცევასთან დაკავშირებით); 1.4. უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა 1-ელი კლასის დონის შესაბამისი კონტექსტური გასაღებების გამოყენებით. 1.5. ემოციების, შთაბეჭდილების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის მიმართ. **2. ტექსტში (მოთხრობა „აი ია“) წინადადების ამოცნობა (ცნება – ტექსტის აგებულება);** ***<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>*** 2.1. ტექსტის სათაურის, მითითებული აბზაცის, სტრიქონის, წინადადების, სიტყვის მოძებნა; 2.2. აბზაცში წინადადებათა რაოდენობის განსაზღვრა.

3. თემასა და შესწავლილ მოთხრობასთან დაკავშირებული ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისება (ცნება – თემატური ლექსიკა);

შეფასების კრიტერიუმი:

3.1. ახალნასწავლი ლექსიკური ერთეულების გაგება და გამოყენება.

4. თემასთან, ტექსტთან დაკავშირებული მოსასმენი სიტყვები (ცნება – წარმოთქმული სიტყვა);

შეფასების კრიტერიუმები:

4.1. წარმოთქმული სიტყვის დაშლა ბგერებად (ფონოლოგიური ანალიზი); ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება (ფონოლოგიური სინთეზი);

4.2. წარმოთქმულ სიტყვაში ბგერების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის ამოცნობა.

5. სამიზნე ცნება – დაწერილი სიტყვა

შეფასების კრიტერიუმები:

5.1. სიტყვის ხმოვანი და გრაფიკული ფორმის ურთიერთდაკავშირება;

5.2. სიტყვის გრაფიკული ფორმის ამოცნობა ნიმუშზე დაყრდნობით.

შემოქმედებითი დავალება – ზღაპრის შინაარსის გათამაშება

მოსწავლეების სურვილებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით გაანაწილეთ როლები. სასურველია, მოამზადოთ საჭირო ატრიბუტები (მაგ.: ცხოველის ნიღაბი, ილუსტრაცია). მოსწავლეები მოირგებენ როლებს, გაივარჯიშებენ და გაითამაშებენ ზღაპრის შინაარსს. თუ მოისურვებენ, შეუძლიათ, თავიანთ ტექსტს რაიმე დაამატონ. სასურველია, გათამაშებისას გადაიღოთ ვიდეოები და თავად მოსწავლეებს შეაფასებინოთ.

დავალების შეფასების კრიტერიუმები:

- ჟესტ-მიმიკის გამოყენებით პერსონაჟის გრძნობათა გამოხატვა;
- სიტყვების, წინადადებების წარმოთქმა სათანადო გამომეტყველებითა და ინტონაციით.

გათამაშების შემდეგ დასასმელი შეკითხვები:

- ახსენი, რატომ შეარჩიე ეს პერსონაჟი, რითია ის შენთვის საინტერესო;
- შენი აზრით, როგორ გუნებაზეა ეს პერსონაჟი? რატომ ფიქრობ ასე?
- რას დაარქმევდი ამ ზღაპარს? რატომ?

თემასთან, ტექსტთან დაკავშირებული შესასწავლი ლექსიკა: ლორთქო, კერკეტი, ფუჩეჩი, ქოჩორა, რუხი, ფუმფულა, ზმუილი, კაშკაშა, თავნება, ჯიუტი.



მტევანი 1.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

აქტივობა 2. ფიქრიას ეზოს აღწერა

აქტივობა 3. სტუმრები ფიქრიას ეზოში

აქტივობა 4. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა (ღობე, ჩირი, ლეღვი, ალი)

აქტივობა 5. თამაში „სიტყვების ლოტო“ (ღობე, ჩირი, ლეღვი, ალი)

აქტივობა 6. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

აქტივობა 7. ლექსიკური შემზადება მოთხრობის „ყველაფერი თავიდან“ მოსასმენად

აქტივობა 8. ტექსტის – „ყველაფერი თავიდან“ – მოსმენა

აქტივობა 9. „სიტყვობანა“ (ლორთქო, კერკეტი, ფუჩეჩი, ქოჩორა)

აქტივობა 10. წინადადებების შედგენა და გავრცობა

აქტივობა 11. წინადადება – ტექსტში წინადადების მოძებნა

აქტივობა 12. ფონოლოგიური თამაში

აქტივობა 13. ფონოლოგიური თამაში რვეულში (ფონოლოგიური ანალიზი)

აქტივობა 14. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 5 სთ.

წერის შემამზადებელი აქტივობები

მეთოდიკური შეხსენება:

- იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც კითხვისა და წერის სწავლების ერთდროულად დაწყება სურთ, მოსწავლეებს უკვე უნდა დააწყებინონ წერის შემამზადებელი სავარჯიშოების შესრულება.
- ის მასწავლებლები, რომლებსაც ურჩევნიათ კითხვისა და წერის სწავლების ერთმანეთისგან გამიჯვნა (ანუ სურთ, წერის სწავლება დაიწყონ ყველა ასოს ცნობის შემდეგ), წერის შემამზადებელ აქტივობებზე მუშაობას დაიწყებენ საანბანო პერიოდის დაახლოებით მესამე კვირიდან.

წერის შემზადებელი აქტივობები (იხ. წერის დედანი)

მოსწავლეები ავსებენ დღეში ერთი სტრიქონს: ნახევარს – კლასში, მეორე ნახევარს – შინ. თუ ერთ დღეს ორი გაკვეთილი აქვთ, ამ აქტივობას მხოლოდ ერთ გაკვეთილზე დაეთმობა, დაახლოებით, 5 წუთი. სასურველია, ეს დრო გამოიყოს გაკვეთილის შუაში ან ბოლოს და არა დასაწყისში.

(დაწვრილებითი რეკომენდაციები იხ. თავი 2, მტევანი 3.)

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

ა) სასაუბრო „შინაური ცხოველები და მათი ნაშიერები“

► ინსტრუქცია


სანამ მოსწავლეებს წაუკითხავთ მოთხრობას „ყველაფერი თავიდან“, გაახსენეთ შინაური ცხოველები და მათი ნაშიერები (შეხსენება: ოთხფეხა ცხოველი, ფრინველი, მწერი, ქვეწარმავალი – ყველა ცხოველია).

? დასვით შეკითხვები:

- გიყვართ თუ არა ცხოველები?
- შინ თუ გყავთ ოთხფეხა რომელიმე ცხოველი? რომელი?
- რას ვუწოდებთ იმ ცხოველებს, რომლებიც შინ გვყავს – როგორი ცხოველები არიან ისინი?
- რომელი შინაური ცხოველები იცით? ჩამოთვალეთ.
- რისთვის ჰყავთ ადამიანებს შინ ცხოველები? {უყვართ, სარგებლობა მოაქვთ შინაურ ცხოველებს მათთვის}
- რა ეწოდება ქათმის ნაშიერს?
- რომელი ცხოველის ნაშიერია ლეკვი? კნუტი?
- თიკანი რომელი ცხოველის ნაშიერს ეწოდება? ბატკანი?
- ხბო რომელი ცხოველის ნაშიერია?
- შინაურის გარდა, კიდევ როგორი ცხოველები იცით?
- რატომ ეწოდებათ მათ გარეული ცხოველები?
- რომელი გარეული ცხოველები იცით? გინახავთ რომელიმე? სად გინახავთ?

ბ) სურათის აღწერა

პირობა: დააკვირდით სურათებს. მასწავლებელთან ერთად გაარკვიეთ ცხოველთა ნაშიერების სახელები.



► ინსტრუქცია

ჯერ ნაშიერების სახელები ასწავლეთ, შემდეგ ცხოველთა სხეულის ნაწილებზე დაუსვით შეკითხვები.

? შეკითხვების ნიმუშები:

- ვინ იცის, რა ჰქვია კატის ნაშიერს? რა ჰქვია კამეჩის ნაშიერს? და მისთ.
- რომელი ცხოველის ნაშიერია თიკანი? ბატკანი? და მისთ.
- რომელ ცხოველებს აქვთ რქები? ჩლიქები? თათები? ფრთები?
- ამ ნახატებზე რომლებია ფრინველები?
- რომლებია ოთხფეხა ცხოველები?

- რომელ ცხოველებს აქვთ ბუმბული? ბეწვი? ბალანი? ნისკარტი?

და მისთ.

აქტივობა 2. ფიქრიას ეზოს აღწერა

პირობა: აღწერეთ ფიქრიას ეზო.



აქტივობა 3. სტუმრები ფიქრიას ეზოში

პირობა:

- **ფერად ბარათებზე დაწერილი სიტყვები მოძებნეთ სურათზე და ამოიცანით, რა წერია.**



ბუბი | ხბო | ღორი | ციო
ქა | ხე | მზე | ბაბი

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს უსახელებთ ბარათის ფერს და სთხოვთ, მასზე დაწერილი სიტყვა მოძებნონ სურათზე და ამოიცნონ, რა წერია.

- **რეკომენდაცია 1.** ვისაც მოსწონს ამბების შეთხზვა, მათ შესთავაზეთ, გამოიგონონ ამბავი იმაზე, თუ როგორ მოხვდნენ ბაბი, ბუბი და ციო ფიქრიას ეზოში.
- **რეკომენდაცია 2.** იგივე სიტყვები (ფიქრია, ბუბი, ბაბი, ციო, ღობე, ხბო, ქა, ხე, მზე) გამოიყენეთ ფონოლოგიური ანალიზის სავარჯიშოებისთვის:

  I. მოსმენილი სიტყვა წარმოთქვი დაშლილად – ბგერებად, მაგალითად, ასე: ზ-ღ-ა-პ-ა-რ-ი.

  II. გამოიცანი, რომელია: პირველი ბგერა; ბოლო ბგერა; მეორე ბგერა...

  III. მოსმენილ სიტყვაში ერთი ბგერა შევცვალოთ სხვა ბგერით ისე, რომ სხვა სიტყვა მივიღოთ. მაგალითად, ასე: რუ – კუ. რომელი ბგერა რომლით შევცვალე? ასეც შეიძლებოდა: რუ – რა. ახლა კი რომელი ბგერა რომლით შევცვალე? კარგი, ახლა

თქვენ შეცვალეთ ბგერები. ბაბი – ? {ბალი} რომელი ბგერა რომლით შეცვალე? ბუბი – ? {ბუზი} რომელი ბგერა რომლით შეცვალე? ციო – ? {სიო} რომელი ბგერა რომლით შეცვალე? რა არის სიო? {ძალიან სუსტი ნიავი, ხან რომ წამოუბერავს და ხან გაჩერდება} მზე – ? {მზა}. რომელი ბგერა რომლით შეცვალე?
ცხადია, თითოეული ეს შეკითხვა სხვადასხვა მოსწავლეს უნდა დაუსვათ.

აქტივობა 4. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა (ღორი, ჩირი, ლეღვი, ალი)

პირობა: დააკვირდით სურათის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 5. თამაში „სიტყვების ლოტო“ (ღობე, ჩირი, ლეღვი, ალი)

► ინსტრუქცია


ამ აქტივობის სიტყვებისთვის **(ღობე, ჩირი, ლეღვი, ალი)** მზად გაქვთ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებთან ერთად. მოსწავლეებს აჩვენებთ სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს. ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

თუ არა გაქვთ გამოსაკრავი სურათები, მოსწავლეები რვეულის სურათებს გამოიყენებენ.

აქტივობა 6. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

პირობა: შინ გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზით დააკავშირეთ ერთმანეთთან.

შენიშვნა: ეს უკვე კარგად ნაცნობი აქტივობაა და, სასურველია, მოსწავლეებმა შინ შეასრულონ.



აქტივობა 7. ლექსიკური შემზადება მოთხრობის „ყველაფერი თავიდან“ მოსასმენად

? მოსწავლებს დაუსვით შეკითხვები:

- როგორ გგონიათ, როგორი ბალახია **ლორთქო**? {ახალამოსული, ნორჩი}
- როგორ კაკალზე იტყვიან, **კერკეტია**ო? {ძალიან მაგარი რომაა, ძნელად რომ ტყდება}
- ვინ იცის, **ფუჩეჩი** რა არის? {სიმინდის ტაროს გარშემო შემოხვეული ფოთლები}
- თუ გაგიცლიათ ტაროსთვის ფუჩეჩი? ვინ იცის, რაში იყენებენ ფუჩეჩს?
- რა არის **ქოჩორი**? {ბიჭის შუბლის ზემოთ წამოზრდილი თმა} აბა, ვის აქვს ქოჩორი?
- როგორ ქათამზე ამბობენ, **ქოჩორააო?** {რომელსაც თავზე ბუმბულები ქოჩორივით აქვს}
- შეიძლება ადამიანზეც ვთქვათ **ქოჩორა?** {დიახ, ბიჭს თუ დიდი ქოჩორი აქვს, ამბობენ, ქოჩორააო}
- რა არის **რუხი** – როგორი ფერია? ჩვენს კლასში არის რაიმე რუხი? {რუხი არის იგივე ნაცრისფერი; ჩვენს კლასში არის რუხი კარი, მაგიდის ან მერხის ზედაპირი...}
- კიდევ რა შეიძლება იყოს რუხი? რუხი შეიძლება იყოს მგელი, ძაღლი, კურდღელი, ღრუბელი, ტანსაცმელი...}
- ვის აცვია კლასში რუხი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი?
- რას ნიშნავს **ფუმფულა**? რა შეიძლება იყოს ფუმფულა? {ბალიში, საბანი, სათამაშო დათუნია, ახალგამოჩეკილი წიწილა, ჭუკი...}
- რას ნიშნავს **კაშკაშა**? რა შეიძლება იყოს კაშკაშა {კაშკაშაა, რაც ძალიან ანათებს – მზე, მთვარე, სინათლე...}
- დააკვირდით სიტყვას **თავნება** – **თავ-ნება.** რას შეიძლება ნიშნავდეს სიტყვა **თავ-ნება**? {სულ თავის ნებაზე რომ უყვარს ყოფნა, არავის რომ არ უჯერებს}
- თქვენ ხომ არა ხართ თავნება? რატომ გგონიათ, რომ არა ხართ თავნება?
- **ჯიუტი** რას ნიშნავს? {თავისნათქვამა, თავისას რომ აიკვიატებს და სხვას არ უსმენს}

აქტივობა 8. ტექსტის – „ყველაფერი თავიდან“ – მოსმენა

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს ხმამაღლა და მხატვრულად, ხმის ცვლილებით (ცხოველთა ხმიანობის მიბაძვით) ბოლომდე წაუკითხავთ ტექსტს **„ყველაფერი თავიდან“.**

მნიშვნელოვანი მითითება

მოსწავლეებს ტექსტი ისე წაუკითხეთ, რომ არ უთხრათ სათაური, რადგან სათაურის შერჩევა ერთ-ერთი მომდევნო აქტივობაა.

ჭრელმა დედალმა კერკეტი კაკლის ხის ძირას, ფუჩეჩში, კვერცხი დადო და აკაკანდა:
– კაააა, კაააა, კაააა! რა კარგი კვერცხი დავდე! რა კარგი კვერცხი დავდე!
კაკანა დედალმა იმდენ ხანს იკაკანა, რომ კვერცხიდან ყვითელი ფუმფულა წი-

წილა გამოიჩეკა და აწივწივდა:
– წი,წი, წი! წინდები მინდა, ლამაზი წითელი წინდები მინდა! მცივა!
წიწილას წივწივმა კრუტუნა რუხი კნუტი გააღვიძა. კნუტმა დაიკნავლა:
– მიავ, მიავ, მიავ! მშია, მშია, მშია! გემრიელი ყველი მინდა!
კნუტის კნავილმა ლამაზი შავი ლეკვი გააღვიძა. ლეკვმა ყეფა დაიწყო:
– ჰამ, ჰამ, ჰამ! არც მცივა და არც მშია, ჰამ, ჰამ, ჰამ! ჰამაკი მინდა – ვიქანავებ აქეთ-იქით, ვიქანავებ ზევით-ქვევით!
ლეკვის ყეფამ ვარდისფერი ღრუტუნა გოჭი გააღვიძა. ღრუტუნა აღრუტუნდა:
– ღრუტ, ღრუტ, ღრუტ, ღრუბელი მინდა, ღრუბელი! გაწვიმდება და ტალახი მექნება – გავგორდები და გავგრილდები!
ღრუტუნას ღრუტუნმა თეთრი თავნება თიკანი გააღვიძა. თიკანმა დაიკიკინა:
– მეეე, მეეეე, მეეეე! მე არ მიყვარს ღრუბელი, მე მიყვარს მზე, კაშკაშა მზე, მეეე!
თეთრი თიკნის კიკინმა წაბლისფერი ხბო გააღვიძა. ხბომ დაიზმუვლა:
– მუუუ, მუუუ, მუუუ! მუცელი მტკივა ამდენი ბალახის ჭამით! ჩემი დედიკოს რძე მინდა, რძეე!
წიწილა წივწივებდა. კნუტი კნაოდა. ლეკვი ყეფდა. გოჭი ღრუტუნებდა, თიკანი კიკინებდა. ხბო ზმუოდა.
მალე ჩვენი კრუტუნა კნუტი გაიზარდა და ბურძგლა კატა გახდა.
ლეკვი გაიზარდა და ჭკვიანი ძაღლი გახდა.
პატარა ღრუტუნა გოჭი გაიზარდა და დიდი ღორი გახდა.
თიკანი გაიზარდა და ჯიუტი თხა გახდა.
ხბო გაიზარდა და ღონიერი ხარი გახდა.
წივწივა წიწილა გაიზარდა და ქოჩორა დედალი გახდა.
მერე ქოჩორა დედალმა კაკლის ხის ძირას კვერცხი დადო და აკაკანდა:
– კაააა, კაააა, კააა! რა კარგი კვერცხი დავდე! რა კარგი კვერცხი დავდე!
აბა, ვინ იტყვის, მერე რა მოხდებოდა?

აქტივობა 9. „სიტყვობანა“ (ლორთქო, კერკეტი, ფუჩეჩი, ქოჩორა)

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს ეტყვით, რომ უნდა ათამაშოთ **სიტყვობანა.**

აუხსენით თამაშის წესები:

ერთ-ერთ სიტყვას გიჩურჩულებთ ნასწავლი სიტყვებიდან. ვისაც ვუჩურჩულებ, მან უსიტყვოდ, მხოლოდ გათამაშებით უნდა მიახვედროს თანაკლასელებს, რა სიტყვაა. მხოლოდ სამი თქმის უფლება გექნებათ. თუ მესამე თქმაზეც ვერ გამოიცნობთ, მაშინ გავამჟღავნებ, რა სიტყვა იყო. შემდეგ სხვა მოსწავლე „გაითამაშებს“ გამოსაცნობ სიტყვას.

შემდეგ უთხარით:

სანამ თამაშს დავიწყებთ, მანამდე უნდა გადავამოწმოთ, გახსოვთ თუ არა ახალი სიტყვების მნიშვნელობა: ***ლორთქო, ჯიუტი, კერკეტი, ფუჩეჩი, ქოჩორა, თიკანი.***

როცა დარწმუნდებით, რომ ყველამ იცის დასახელებული სიტყვების მნიშვნელობა, დაიწყეთ თამაში. სანიმუშოდ ერთ-ერთი სიტყვა თქვენ განასახიერეთ მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, სიტუაციურად. ვინც პირველი ამოიცნობს, ის იქნება მომდევნო სიტყვის წარმდგენი. თუ ვერც ერთი ვერ გამოიცნობს, მაშინ თქვენ იტყვით, რა სიტყვა იყო და შეარჩევთ მოსწავლეს, რომელსაც მომდევნო სიტყვას უჩურჩულებთ.

ამოსაცნობი სიტყვები: ***ჯიუტი, კერკეტი, ფუჩეჩი, ქოჩორა, თიკანი.***

მეთოდიკური შენიშვნა: შესაძლებელია ამ აქტივობის, როგორც მოძრავი თამაშის, გამოყენება მოსწავლეთა წასახალისებლად.

აქტივობა 10. წინადადებების შედგენა და გავრცობა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს დაავალეთ, რომ მითითებული სიტყვების გამოყენებით რაც შეიძლება ვრცელი წინადადებები შეადგინონ. ვინც ვერ მოახერხებს ვრცელი წინადადებების შედგენას, მას შეკითხვებით დაეხმარეთ.

სიტყვები: **ლორთქო, კერკეტი, თავნება, ფუჩეჩი, გაწვიმდა, კაშკაშა.**

გავრცობილი წინადადებების ნიმუშები:

- გაზაფხულზე ლორთქო ბალახებში ლამაზი ყვავილები აღმოცენდა.
- გრიგალმა კაკლის ხიდან კერკეტი კაკალი ჩამოაგდო.
- გუშინ მეზობლის თავნება ფისომ ჩვენს ცუგას თათი გაჰკრა.

საუკეთესო იქნება დასახელებული სიტყვების გაერთიანება ერთ წინადადებაში, **მაგალითად:**

- კაშკაშა მზეს ღრუბელი გადაეფარა და გაწვიმდა.
- წვიმამ ლორთქო ბალახები და სიმინდის ფუჩეჩები სულ დაასველა.

აქტივობა 11. წინადადება – ტექსტში წინადადების მოძებნა

მეთოდიკური მითითება: წინადადება შემოგვაქვს გაცილებით გვიან, ვიდრე სტრიქონი, რადგან წინადადება ნაკლებ თვალსაჩინოა, ვიდრე სტრიქონი.

► **ინსტრუქცია**

- დაფაზე დაკიდეთ პირველი ნაწილი ტექსტისა „აი ია“. საჩვენებელი ჯოხით შემოხაზეთ წინადადება მის ბოლოს დასმული წერტილის ჩათვლით.
- „ეს არის წინადადება. ეს რა არის?“ (მიუთითეთ წერტილზე).

? დასვით შეკითხვები:

- როგორ ვხვდებით, რომ წინადადება დამთავრდა? {წინადადება დამთავრდა იქ, სადაც წერტილია}
- ამ წინადადებაში წერია ----- ხომ დამთავრდა ეს წინადადება? ჰოდა, მის ბოლოს წერია კიდეც წერტილი. წერტილი გვიჩვენებს, რომ წინადადება დამთავრდა.

- საიდან იწყება და სად მთავრდება მომდევნო წინადადება?
- რისგან შედგება აბზაცი? {აბზაცი შედგება სტრიქონებისაგან, ან შედგება წინადადებებისაგან}
- რისგან შედგება წინადადება? {სიტყვებისაგან}

დავალებები ორგვარია:

1) გამოდის მოსწავლე და აჩვენებს ან შემოხაზავს თქვენ მიერ მითითებულს: რომელიმე აბზაცის ამა თუ იმ (პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ბოლო, ბოლოსწინა) წინადადებას; მისი დაწყების ან დამთავრების ადგილს.

2) ტექსტში თქვენ აჩვენებთ (მიუთითებთ) რაიმეს და მოსწავლეებს ჰკითხავთ:

- რამდენი სტრიქონისგან შედგება ეს აბზაცი?
- რამდენი წინადადებისგან შედგება?
- რამდენი სიტყვისგან შედგება ეს წინადადება?
- ეს სიტყვა მერამდენე აბზაცშია? ამ აბზაცის მერამდენე წინადადებაშია?
- შემოხაზე ამ წინადადების მომდევნო წინადადება.
- გვაჩვენე ამ წინადადების პირველი სიტყვა; მეორე; ბოლო სიტყვა.
- გვაჩვენე ამ წინადადების წინარე სიტყვა; მომდევნო სიტყვა.
- რომელია (ამა თუ იმ წინადადებაში) ყველაზე გრძელი სიტყვა? ყველაზე მოკლე სიტყვა? (ცხადია, მასწავლებელი შეარჩევს ისეთ წინადადებას, რომელშიც ეს ადვილად ჩანს).

აქტივობა 12. ფონოლოგიური თამაში

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს მოსმენილი ზღაპრიდან წაუკითხეთ შემდეგი მონაკვეთი:

„ლეკვის ყეფამ ვარდისფერი ღრუტუნა გოჭი გააღვიძა. ღრუტუნა აღრუტუნდა: ღრუტ, ღრუტ, ღრუტ, ღრუბელი მინდა, ღრუბელი!“

- ჰკითხეთ:

როცა ისმენდით ამ წინადადებას, რომელი ბგერა გესმოდათ ყველაზე ხშირად? {ღ}


- **შემდეგ უთხარით:**

ა) მე დავასახელებ სიტყვებს. თქვენ ტაში უნდა დაუკრათ მხოლოდ იმ სიტყვებზე, რომლებშიც გაიგონებთ „ღ“ ბგერას. შემდეგ ხმამაღლა და მკვეთრად წარმოთქვით სიტყვები: ***გაიღვიძა, ღრუტუნა, თიკანი, ლეკვი, ღორი, კნუტი, ღობე, ქათამი, აღრუნტუნდა, ხერხი, ღამურა, ღორი.***

ბ) მე დაშლილად გეტყვით სიტყვას და თქვენ გამოიცანით, რომელი სიტყვა ვთქვი: ა-ღ-რ-უ-ტ-უ-ნ-დ-ა / გ-ო-ჭ-ი / ღ-რ-უ-ბ-ე-ლ-ი / ღ-რ-უ-ტ-უ-ნ-ა/

აქტივობა 13. ფონოლოგიური თამაში რვეულში (ფონოლოგიური ანალიზი)

პირობა: მოძებნეთ რამდენი „ღ“ ბგერაა სიტყვაში. შეაფერადეთ შესაბამისი ხაზი სურათის ქვეშ.



► ინსტრუქცია

შედეგები შემოწმდება და გასწორდება – მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ ბგერებად. დაუსვით მათ შეკითხვები თითოეულ სიტყვაზე:

შეკითხვების ნიმუშები:

- რამდენი ბგერისგან შედგება სიტყვა „ლეღვი“?
- ბგერა „ღ“ რამდენია ამ სიტყვაში?
- „ღ“ მერამდენე ბგერაა ამ სიტყვაში?
- რომელია ამ სიტყვაში პირველი ბგერა?
- „ვ“ მერამდენე ბგერაა ამ სიტყვაში?
- რომელია ამ სიტყვაში ბოლო ბგერა?
- ბოლოსწინა?

და მისთ.

აქტივობა 14. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

ა) პირობა: დააკავშირეთ სურათი შესაბამის სიტყვასთან. მოძებნეთ უსურათოდ დარჩენილი სიტყვა და შემოხაზეთ.



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს ჯერ დაასახელებინეთ, რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ ისინი დამოუკიდებლად იმუშავებენ.

თქვენ, როგორც ყოველთვის, მერხებს შორის ივლით და, საჭიროებისამებრ, დაეხმარებით მოსწავლეებს.

დარჩება სიტყვა „ბაბი“. ძალიან მნიშვნელოვანია, არ უთხრათ მოსწავლეებს, ეს რა სიტყვაა – მომდევნო (ბ) პუნქტში სიურპრიზად აღმოაჩენენ!

ბ) პირობა: დააკვირდით წინა დავალებაში თქვენ მიერ შემოხაზულ სიტყვას. იგივე სიტყვა მოძებნეთ სურათების ქვეშ. შინ გააფერადეთ შესაბამისი სურათი.



მტევანი 2.

აქტივობა 1. ტექსტის – **„ყველაფერი თავიდან“** – მეორედ წაკითხვა
აქტივობა 2. მოსმენილი ტექსტის – **„ყველაფერი თავიდან“** – ლექსიკისა და შინაარსის დამუშავება
აქტივობა 3. სათაურის შერჩევა მოსმენილი ტექსტისთვის. მცირე დისკუსია
აქტივობა 4. ცხოველთა ნაშიერებისა და მათი სურვილების დაკავშირება
აქტივობა 5. ენობრივი თამაში – სიტყვობანა **(რუხი, ფუმფულა, კაშკაშა, თავნება, კვიცი, ჭუკი)**
აქტივობა 6. ვრცელი წინადადებების შედგენა
აქტივობა 7. წინადადება. ტექსტში წინადადების ამოცნობა (განმტკიცება)
აქტივობა 8. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა **(მეფე, ჯუჯა, ჟოლო, ჟირაფი)**
აქტივობა 9. თამაში – „სიტყვების ლოტო“ **(მეფე, ჯუჯა, ჟოლო, ჟირაფი)**
აქტივობა 10. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება
აქტივობა 11. ფონოლოგიური თამაში
აქტივობა 12. ფონოლოგიური თამაში რვეულში
აქტივობა 13. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 4-5 სთ.

წერის შემამზადებელი აქტივობები
მეთოდიკური შეხსენება:

- იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც კითხვისა და წერის სწავლების ერთდროულად დაწყება სურთ, მოსწავლეებს უკვე უნდა დააწყებინონ წერის შემამზადებელი სავარჯიშოების შესრულება.

- ის მასწავლებლები, რომლებსაც ურჩევნიათ კითხვისა და წერის სწავლების ერთმანეთისგან გამიჯვნა (ანუ სურთ, წერის სწავლება დაიწყონ ყველა ასოს ცნობის შემდეგ), წერის შემამზადებელ აქტივობებზე მუშაობას დაიწყებენ საანბანო პერიოდის, დაახლოებით, მესამე კვირიდან.

წერის შემზადებელი აქტივობები (იხ. წერის დედანი)

მოსწავლეები ავსებენ დღეში ერთი სტრიქონს: ნახევარს – კლასში, მეორე ნახევარს – შინ. თუ ერთ დღეს ორი გაკვეთილი აქვთ, ამ აქტივობას მხოლოდ ერთ გაკვეთილზე დაეთმობა, დაახლოებით, 5 წუთი. სასურველია, ეს დრო გამოიყოს გაკვეთილის შუაში ან ბოლოს და არა დასაწყისში.

(დაწვრილებითი რეკომენდაციები იხ. თავი 2, მტევანი 3.)

აქტივობა 1. ტექსტის – „ყველაფერი თავიდან“ – მეორედ წაკითხვა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს ხელმეორედ წაუკითხეთ ტექსტი მხატვრულად, ხმის ცვლილებით. შიგადაშიგ სთხოვეთ, შეგაშველონ ის სიტყვები და წინადადებები, რომლებიც ტექსტიდან დაამახსოვრდათ.

აქტივობა 2. მოსმენილი ტექსტის – „ყველაფერი თავიდან“ – ლექსიკისა და შინაარსის დამუშავება

► **ინსტრუქცია**

ტექსტის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს დაუსვით

? შეკითხვები:

- როგორ, რით დაიწყო ამბავი ტექსტში?
- სად დადო კვერცხი კაკანა დედალმა?
- რას კაკანებდა დედალი?
- რა გამოიჩეკა კვერცხიდან?
- რას წივწივებდა წიწილა – რა უნდოდა, რისთვის?
- რას გაეღვიძა წიწილას წივწივზე?
- რა ქნა კნუტმა?
- რა დაიკნავლა – რა უნდოდა?
- რა გააღვიძა მისმა კნავილმა?
- რას ყეფდა ლეკვი – რა უნდოდა, რისთვის უნდოდა?
- ლეკვის ყეფამ რა გააღვიძა?
- რა მოისურვა ღრუტუნამ? რისთვის უნდოდა მას ღრუბელი?
- თქვენ გიყვართ ღრუბლიანი და წვიმიანი ამინდი? რატომ? როგორი ამინდი გიყვართ?

- რას ნიშნავს კაშკაშა? ვის უყვარს კაშკაშა მზე ამ მოთხრობაში?
- რის ხმაზე გაელვიძა თიკანს?
- რა დაიკიკინა თიკანმა, რა უნდოდა?
- თიკნის კიკინმა კი რა გააღვიძა?
- რა დაიზმუვლა ხბომ – რა სურდა მას?
- წიწილა რომ გაიზარდა, რა გახდა?
- ლეკვი რა გახდა? კნუტი? ღრუტუნა? თიკანი? ხბო?
- რა ქნა ქოჩორა დედალმა? რას კაკანებდა იგი?
- როგორ გგონიათ, რა მოხდებოდა ამის შემდეგ? როგორ მიხვდით?

აქტივობა 3. სათაურის შერჩევა მოსმენილი ტექსტისთვის. მცირე დისკუსია

► **ინსტრუქცია**

მოსწავლებს ჰკითხეთ:

- გაიხსენეთ: მოთხრობის წაკითხვა რომ დავიწყე, სათაური გითხარით თუ არა? როგორ გგონიათ, რატომ არ გითხარით სათაური? (მოსწავლეები თავიანთ ვარაუდებს გამოთქვამენ.) შემდეგ ეტყვით: „ავტორმა თქვენ მოგანდოთ, თქვენ გთხოვათ სათაურის შერჩევა და უნდა დაეხმაროთ.“

ამის შემდეგ მოსწავლეებს დაუსახელებთ ორ სათაურს: „**სოფელში“ და „ყველაფერი თავიდან“;** ეტყვით, რომ დასახელებული სათაურებიდან მათ უნდა აირჩიონ ის სათაური, რომელიც, მათი აზრით, ამ ზღაპრისთვის უფრო შესაფერისია. სთხოვეთ ახსნან, რატომ აირჩიეს ესა თუ ის სათაური.

მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს (ზოგი ერთ სათაურს აირჩევს, ზოგი – მეორეს).

დასვით შეკითხვა:

- რა არის ტექსტში მთავარი – იმის ჩვენება, რა მოხდა სოფელში, თუ ის, რომ ყველაფერი მეორდება და მეორდება? {მთავარია იმის ჩვენება, რომ ყველაფერი მეორდება}

კლასში შეაჯერეთ პასუხები. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ სათაური „ყველაფერი თავიდან“ უფრო შესაფერისია ამ ზღაპრისთვის, ვიდრე სათაური „სოფელში“.

აქტივობა 4. ცხოველთა ნაშიერებისა და მათი სურვილების დაკავშირება

პირობა: გაიხსენეთ ზღაპარი და ხაზით დააკავშირეთ, რომელ ნაშიერს რა სურდა.



აქტივობა 5. ენობრივი თამაში – სიტყვობანა (რუხი, ფუმფულა, კაშკაშა, თავნება, კვიცი, ჭუკი)

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს ეტყვით, რომ უნდა ათამაშოთ **სიტყვობანა.**

აუხსენით თამაშის წესები:

„ერთ-ერთს გიჩურჩულებთ სიტყვას ნასწავლი სიტყვებიდან. ვისაც ვუჩურჩულებ, მან უსიტყვოდ, მხოლოდ გათამაშებით უნდა მიახვედროს თანაკლასელებს, რა სიტყვაა. მხოლოდ სამი თქმის უფლება გექნებათ. თუ მესამე თქმაზეც ვერ გამოიცნობთ, მაშინ გავამჟღავნებ, რა სიტყვა იყო. შემდეგ სხვა მოსწავლე „გაითამაშებს“ გამოსაცნობ სიტყვას (ზოგიერთ რაიმეზე შეუძლიათ პირდაპირ მიუთითონ, ოღონდ უსიტყვოდ, მაგ., სიტყვა **რუხი** შეუძლიათ ახსნან რუხი ნივთის ჩვენებით).

შემდეგ უთხარით:

სანამ თამაშს დავიწყებთ, მანამდე უნდა გადავამოწმოთ, გახსოვთ თუ არა ამ სიტყვების მნიშვნელობა: **რუხი, ფუმფულა, კაშკაშა, თავნება, კვიცი, ჭუკი.**

როცა დარწმუნდებით, რომ ყველამ იცის დასახელებული სიტყვების მნიშვნელობები, დაიწყეთ თამაში (ინსტრუქცია იხ. მტევანი 1, აქტ. 4).

აქტივობა 6. ვრცელი წინადადებების შედგენა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს დაავალეთ, რომ მითითებული სიტყვების გამოყენებით რაც შეიძლება ვრცელი წინადადებები შეადგინონ. ვინც ვერ მოახერხებს ვრცელი წინადადებების შედგენას, მას შეკითხვებით დაეხმარეთ.

სიტყვები: **კრუხი, ფუმფულა, რუხი.**

გავრცობილი წინადადებების ნიმუშები:

- კრუხმა ფუმფულა წიწილები ეზოში სასეირნოდ გამოიყვანა.
- დაბურულ ტყეში კბილებდაკრეჭილი რუხი მგელი დაძუნძულებდა.
- ფეფომ თავის ფუმფულა ფისოს ჯამით რძე დაუდგა.

აქტივობა 7. წინადადება. ტექსტში წინადადების ამოცნობა (განმტკიცება)

► **ინსტრუქცია**

ა) დაფასთან მუშაობა – დაფაზე დაკიდეთ მეორე ნაწილი ტექსტისა **„აი ია“.**

საჩვენებელი ჯოხით შემოხაზეთ წინადადება მის ბოლოს დასმული სასვენი ნიშნის (წერტილის) ჩათვლით.

? დასვით შეკითხვები:

- ეს რა არის, რა შემოვხაზე?
- როგორ ხვდებით, რომ წინადადება დამთავრდა {მის ბოლოს წერტილია}

- რისგან შედგება წინადადება? {სიტყვებისაგან}
- სად იწყება ეს წინადადება? სად მთავრდება? მომდევნო წინადადება სად იწყება და სად მთავრდება? გვიჩვენე!
- რომელია ამ ტექსტის ბოლო წინადადება? ბოლოსწინა წინადადება? შემოხაზე.
- რომელია ამ ტექსტის მეორე წინადადება? შემოხაზე.
- ეს სიტყვა მერამდენე აბზაცშია? ამ აბზაცის მერამდენე სტრიქონშია?
- ეს წინადადება მერამდენე აბზაცშია?

და მისთ.

შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც აერთიანებს მიმართულებას „ტექსტის აგებულება“ (აბზაცი, სტრიქონი, წინადადება, სიტყვა) და „კითხვის შემზადება – მთელ-მთელი სიტყვების ცნობა“. აქტივობა თავ-თავიანთ ადგილებზე მსხდარ მოსწავლეებთან ტარდება სწრაფად. ცხადია, მოსწავლეებმა სურათებიან სიტყვებთან შედარება უნდა გამოიყენონ. ვისაც ურჩევნია, გვერდით კედელზე დაკიდებული სურათები გამოიყენოს, ვისაც ურჩევნია – რვეულში მოძებნოს სურათებიანი საყრდენი სიტყვების ნუსხა. ვისაც გაუჭირდება, ადგეს, ტექსტთან ახლოს მივიდეს და საჩვენებელი ჯოხის გამოყენებით შეასრულოს დავალება.

- მოძებნეთ პირველი აბზაცის მეორე წინადადება. ამ წინადადებაში მოძებნეთ სიტყვა **თხა**. ამ წინადადებაში მერამდენე სიტყვაა თხა? (და ასე ყველა სხვა ნასწავლ საყრდენ სიტყვაზე).
- მოძებნეთ მეორე აბზაცის პირველი წინადადება. მოძებნეთ მისი მესამე სიტყვა. ეს რა სიტყვაა, რა წერია? {ხე}.
- დააკვირდით ამ წინადადების თითოეულ სიტყვას. ამ წინადადებაში რომელ სიტყვას ცნობთ? და რა წერია?

ბ) რვეულში მუშაობა

პირობა:

- პირველ აბზაცში ლურჯად შემოხაზეთ პირველი წინადადება.
- მეორე აბზაცში წითლად შემოხაზეთ მეორე წინადადება.
- მესამე აბზაცში მწვანედ შემოხაზეთ რომელიმე წინადადება.

სხვის ეზოში

შეშინებულ თხას გზა დაებნა. უცებ ლამაზი ეზო დაინახა და შიგ შევარდა. ეზოში ჭა იყო. ჭასთან ბზა იზრდებოდა. ბზასთან რუ მიედინებოდა. რუს წყალს ხბო სვამდა. ხბოს ორი პატარა რქა ჰქონდა. თხამ ხბოს ჩაუქროლა და ბზის ბუჩქებში შეიმალა. ხბოს გაუკვირდა და პირი ისე დააღო, ენა გამოუჩნდა.

ეზოში ლელვის ხე იდგა. ხეზე გოგონა იჯდა. მას ოქროსფერი თმა ჰქონდა. უცებ გოგონამ ფოთოლზე ჭია დაინახა და დაიყვირა: – ვაი, ჭია! – გოგონას ყვირილმა თხა დააფრთხო. თხა ბუჩქებიდან გამოვარდა და ეზოდან გავარდა. გოგონა აკისკისდა.

გზაზე თხამ ვაზი დაინახა და მოეწონა. ვაზის ძირში ია იღიმებოდა. – აი ია! – მხიარულად დაიკიკინა თხამ და შიში სულ გადაავიწყდა.

აქტივობა 8. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა (მეფე, ჯუჯა, ჟოლო, ჟირაფი)

პირობა: დააკვირდით სურათის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 9. თამაში „სიტყვების ლოტო“ (მეფე, ჯუჯა, ჟოლო, ჟირაფი)

ამ აქტივობის სიტყვებისთვის – **მეფე, ჯუჯა, ჟოლო, ჟირაფი** – მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებთან ერთად. მოსწავლეებს აჩვენებთ სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს. ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

თუ არა გაქვთ გამოსაკრავი სურათები, მოსწავლეები რვეულის სურათებს გამოიყენებენ.

აქტივობა 10. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

პირობა: შინ გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზით დააკავშირეთ ერთმანეთთან.

შენიშვნა: ეს უკვე კარგად ნაცნობი აქტივობაა და სასურველია, მოსწავლეებმა შინ შეასრულონ.



აქტივობა 11. ფონოლოგიური თამაში

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს მოსმენილი ზღაპრიდან წაუკითხეთ შემდეგი მონაკვეთი:

„კაკანა დედალმა **კერკეტი კაკლის** ხის ძირას კ**ვერცხი** დადო და

აკაკანდა: – კაააა, კაააა, კაააა! რა **კარგი კვერცხი** დავდე! რა **კარგი კვერცხი** დავდე!“

ჰკითხეთ:

- როცა ისმენდით, რომელი ბგერა გესმოდათ ყველაზე ხშირად? {„კ“ ბგერა}


შემდეგ უთხარით:

ა) მე დავასახელებ სიტყვებს. თქვენ ტაში უნდა დაუკრათ მხოლოდ იმ სიტყვებზე, რომლებშიც გაიგონებთ **„კ“** ბგერას. შემდეგ ხმამაღლა, მკვეთრად და დაყოვნებით წარმოთქვით შემდეგი სიტყვები: **სოკო / წიწილა / კაკანა / კნუტი / ხარი / კერკეტი / კაკალი / კარგი / ღორი / კვერცხი.**

ბ) მე დაშლილად გეტყვით სიტყვას, თქვენ გამოიცანით და თქვით, რომელი სიტყვაა: **კ ე რ კ ე ტ ი / კ ნ უ ტ ი / ფ უ მ ფ უ ლ ა / კ ა კ ა ლ ი / კ ვ ე რ ც ხ ი / თ ი კ ა ნ ი.**

აქტივობა 12. ფონოლოგიური თამაში რვეულში

პირობა: მოძებნეთ რამდენი „კ“ ბგერაა სიტყვაში. გააფერადეთ შესაბამისი ხაზი სურათის ქვეშ (ფონოლოგიური ანალიზი).



შედეგები შემოწმდება და გასწორდება. მნიშვნელოვანია, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ ბგერებად. დაუსვით მათ კითხვები თითოეულ სიტყვაზე.


შეკითხვების ნიმუშები:

- რამდენი ბგერისგან შედგება სიტყვა **„კაკალი**“?
- რამდენი „**კ**“ ბგერაა ამ სიტყვაში?
- პირველი **„კ“** მერამდენე ბგერაა ამ სიტყვაში?
- მეორე **„კ“** მერამდენე ბგერაა ამ სიტყვაში?
- რომელია ამ სიტყვაში ბოლო ბგერა?
- **„ლ“** მერამდენე ბგერა ამ სიტყვაში?

და მისთ.

აქტივობა 13. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

ა) პირობა: დააკავშირეთ სურათი შესაბამის სიტყვასთან. მოძებნეთ უსურათოდ დარჩენილი სიტყვა და შემოხაზეთ.



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს ჯერ დაასახელებინეთ, რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ დამოუკიდებლად იმუშავებენ.

თქვენ მერხებს შორის ივლით და, საჭიროებისამებრ, დაეხმარებით მოსწავლეებს.

დარჩება სიტყვა „გიგი“, ძალიან მნიშვნელოვანია, არ უთხრათ მოსწავლეებს, ეს რა სიტყვაა – მომდევნო (ბ) პუნქტში სიურპრიზად აღმოაჩენენ!

ბ) პირობა: დააკვირდით წინა დავალებაში თქვენ მიერ შემოხაზულ სიტყვას. იგივე სიტყვა მოძებნეთ სურათების ქვეშ. შინ გააფერადეთ შესაბამისი სურათი.





მტევანი 3.

აქტივობა 1. ლექსის მოსმენა და შინაარსის დამუშავება

აქტივობა 2. ლექსისა და ზღაპრის შინაარსთა შედარება

აქტივობა 3. ხმიანობების ამოცნობა, დასახელება, მიბაძვა

აქტივობა 4. სახელების წარმოება ხმიანობის მიხედვით

აქტივობა 5. ლექსიკური შემზადება გამოცანების მოსასმენად **(მკვირცხლი, ჭიხვინი, მატყლი, კრავი, არგანი)**

აქტივობა 6. მარიამ წიკლაურის გამოცანების გამოცნობა

აქტივობა 7. ენობრივი თამაში შინაურ ცხოველთა ნაშიერებზე

აქტივობა 8. ცხოველების დაკავშირება შესაბამის ნაშიერებთან

აქტივობა 9. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა **(პეპელა, პური, სპილო, ბაყაყი)**

აქტივობა 10. თამაში „სიტყვების ლოტო“ **(პეპელა, პური, სპილო, ბაყაყი)**

აქტივობა 11. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება

აქტივობა 12. ფონოლოგიური თამაში რვეულში

აქტივობა 13. ფონოლოგიური თამაში (რა შეეშალა ფიქრიას ძმას?)

აქტივობა 14. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 5-6 სთ.

წერის შემამზადებელი აქტივობები

მეთოდიკური შეხსენება:

- იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც კითხვისა და წერის სწავლების ერთდროულად დაწყება სურთ, მოსწავლეებს უკვე უნდა დააწყებინონ წერის შემამზადებელი სავარჯიშოების შესრულება.
- ის მასწავლებლები, რომლებსაც ურჩევნიათ კითხვისა და წერის სწავლების ერთმანეთისგან გამიჯვნა (ანუ სურთ, წერის სწავლება დაიწყონ ყველა ასოს ცნობის შემდეგ), წერის შემამზადებელ აქტივობებზე მუშაობას დაიწყებენ საანბანო პერიოდის დაახლოებით მესამე კვირიდან.

წერის შემზადებელი აქტივობები (იხ. წერის დედანი)

მოსწავლეები ავსებენ დღეში ერთი სტრიქონს: ნახევარს – კლასში, მეორე ნახევარს – შინ. თუ ერთ დღეს ორი გაკვეთილი აქვთ, ამ აქტივობას მხოლოდ ერთ გაკვეთილზე დაეთმობა, დაახლოებით, 5 წუთი. სასურველია, ეს დრო გამოიყოს გაკვეთილის შუაში ან ბოლოს და არა დასაწყისში.

(დაწვრილებითი რეკომენდაციები იხ. თავი 2, მტევანი 3.)

აქტივობა 1. ლექსის მოსმენა და შინაარსის დამუშავება

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს ხმამაღლა, გარკვევით და მხატვრულად წაუკითხავთ ხალხური ლექსს **„კრუხი და კვერცხი“;** შემდეგ სტრიქონ-სტრიქონ გაამეორებინებთ მათ.

კრუხი და კვერცხი

კრუხუნამ უთხრა კვერცხსაო,
ეგრე ვიყავი მეცაო,
იმდენს გავედრებ ღმერთსაო,
ჩემსავით გაგხდი შენცაო.

? **დასვით შეკითხვები:**

- ვინ იცის, რა არის **კრუხი?** {დედალი, რომელიც კვერცხს აღარ დებს. იგი კვერცხებზე ზის და ათბობს, რომ წიწილები გამოიჩეკონ. ასეთ დედალზე ამბობენ მოკრუხებულიაო, კრუხიაო}
- ვის უნახავს კრუხი წიწილებთან ერთად? სად გინახავთ?
- როგორ ხმას გამოსცემს კრუხი? {კრუხ-კრუხ – კრუხუნებს}
- ანუ **კრუხუნა** რას ნიშნავს? {კრუხს, რომელიც კრუხუნებს}
- რა უთხრა კრუხუნამ კვერცხს? {„ეგრე ვიყავი მეცაო“}
- როგორ გგონიათ, რას ნიშნავს „ეგრე ვიყავი მეცაო“? {რომ ადრე თვითონაც კვერცხი იყო, კვერცხიდან გამოიჩეკა}
- კიდევ რა უთხრა? {„ჩემსავით გაგხდი შენცაო“}
- როგორ გგონიათ, რას ნიშნავს, „ჩემსავით გაგხდი შენცაო“? {კვერცხიდან წიწილა გამოიჩეკება, გაიზრდება და ქათამი გახდება}

ლექსი წაუკითხეთ სახალისო მეთოდების გამოყენებით: გამეორება სხვადასხვა სიჩქარითა და ხმის ტემბრით (წვრილი ხმით, ბოხი ხმით, სასაცილო ხმით, ჩქარა, ნელა, ძალიან ჩქარა, ძალიან შენელებულად, წამღერებით და სხვა).

აქტივობა 2. ლექსისა და ზღაპრის შინაარსთა შედარება

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს დაუსვით

? **შეკითხვები:**


- რომელიმე ტექსტი ხომ არ გაგახსენდათ ამ ლექსის მოსმენისას? {„ყველაფერი თავიდან“}
- თქვენი აზრით, რით ჰგავს ეს ლექსი ზღაპარს „ყველაფერი თავიდან“?

აქტივობა 3. ხმიანობების ამოცნობა, დასახელება, მიბაძვა

პირობა:

ა) მოისმინეთ და ამოიცანით, რომელი ცხოველის ხმიანობაა. რა ჰქვია ამ ხმიანობას?

ბ) ახლა თქვენ მიჰბაძეთ რომელიმე ცხოველის ხმიანობას, თანაკლასელები ამოიცნობენ, რა ცხოველია და რა ჰქვია მის ხმიანობას.



► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს სათითაოდ მოასმენინეთ სხვადასხვა ცხოველის ხმიანობა და სთხოვეთ, დაასახელონ, რა ჰქვია ამ ხმიანობას (წივწივი, კიკინი, ზმუილი, ყეფა, ღრუტუნი, კნავილი...).

ბ) შემდეგ თვითონ მოსწავლეებმა მიჰბაძონ რომელიმე ცხოველის ხმიანობას, თანაკლასელებმა კი უნდა ამოიცნონ, რა ცხოველია და რა ჰქვია მის ხმიანობას.

შენიშვნა: როგორც ყოველთვის, მოსწავლეებს გუნდურად არ აპასუხებინოთ – თქვენი შეკითხვა მიემართებოდეს კონკრეტულად რომელიმე მოსწავლეს. ეცადეთ, ყოველ ჯერზე სხვადასხვა მოსწავლე ჩართოთ აქტივობაში, რომ არავინ დარჩეს უყურადღებოდ.

აქტივობა 4. ცხოველთა ხმიანობა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს დაუსვით

? შეკითხვები:

- გახსოვთ, ჩვენს ტექსტში, „ყველაფერი თავიდან“, როგორი იყო დედალი? {დედალი იყო კაკანა}.
- რას ნიშნავს კაკანა? რატომ უწოდა ავტორმა დედალს კაკანა? {იმიტომ უწოდა ავტორმა დედალს კაკანა, რომ კაკანებდა}
- მაშ, დედალი კაკანებდა და ამიტომ იყო... როგორი? {კაკანა}
- წიწილა რას შვრებოდა? {წივწივებდა} ამიტომ იყო... როგორი? {წივწივა}
- კნუტი რას შვრებოდა? {კნაოდა} ამიტომ იყო... {კნავილა}
- ლეკვი რას შვრებოდა? {ყეფდა} ამიტომ იყო... {მყეფარა}
- გოჭი ღრუტუნებდა, ამიტომ იყო... {ღრუტუნა}
- ხბო რას შვრებოდა? {ზმუოდა}, ამიტომ იყო... {ზმუილა}
- თიკანი კიკინებდა, ამიტომ იყო... {კიკინა}
- კრუხზე რა იყო ნათქვამი ლექსში, როგორი იყოო? {კრუხუნა}
- რატომ იყო კრუხუნა? {კრუხუნებდა და იმიტომ}

აქტივობა 5. ლექსიკური შემზადება გამოცანების მოსასმენად (მკვირცხლი, ზანტი, ჭიხვინი, მატყლი, კრავი, კუნტრუში, ცური, არგანი)

► **ინსტრუქცია**

სანამ მოსწავლეებს მოასმენინებთ გამოცანებს ცხოველთა ნაშიერებზე, გააცანით და ერთობლივად ახსენით ის უცნობი სიტყვები, რომლებიც გამოცანებში შეხვდებათ, რათა გაუადვილდეთ გამოცანის გამოცნობა.

? **დასვით შეკითხვები:**

- ვინ იცის, რას ნიშნავს **მკვირცხლი**? {იგივე მარდი, სწრაფი, სხარტი}
- აბა, ვის ახსოვს, სად შეგვხვდა სიტყვა „მარდი„? {ლექსში „სკოლისაკენ“}
- **მკვირცხლის** საპირისპირო რომელი სიტყვაა, ვინ იცის? {ზანტი}
- რომელი ცხოველია **ზანტი**? {კამეჩი, ძროხა... }
- **ჭიხვინი** რომელი ცხოველის ხმიანობაა? {ცხენის ხმიანობა}
- გაგიგონიათ ცხენის ჭიხვინი? სად?
- გაგიგიათ სიტყვა **მატყლი?** რა არის მატყლი? {ცხვრის ბეწვს ეწოდება მატყლი}
- ვინმემ ხომ არ იცის, რაში იყენებენ მატყლს? {მატყლისგან მზადდება საქსოვი ძაფი და მისგან ბევრ რამეს ქსოვენ: წინდებს, ქუდებს, ტანსაცმელს...}
- რა არის **კრავი** – რომელი ცხოველის ნაშიერია? {ცხვრის}
- კრავის გარდა, კიდევ რა ეწოდება ცხვრის ნაშიერს? {ბატკანი}
- ვინ იცის, რა არის **კუნტრუში?** ვის შეუძლია, გაიკუნტრუშოს და გვაჩვენოს? {კუნტრუში არის ხტუნაობით სირბილი}
- რომელ ნაშიერებს უყვართ კუნტრუში? {ხბოს, ბატკანს, თიკანს...}
- თუ გინახავთ მწყემსის სურათი, ხელში რა უჭირავს ხოლმე? {გრძელი ჯოხი. კომბალი. ასეთ ჯოხს ძველად ერქვა **არგანი}.**
- რისთვის სჭირდება მწყემსს არგანი? {რომ გარეკოს ცხვრები, ან დაიცვას ნადირისგან}
- თუ გინახავთ ბატკანი, სად გინახავთ?
- ვის უყვარს რძე? თუ იცით, საიდან, როგორ ვიღებთ რძეს? {ძროხას წველიან, თხას წველიან}
- გინახავთ, როგორ წველიან ძროხას, თხას ან ცხვარს? რა ჰქვია ცხოველის იმ ნაწილს, რომელშიც რძე გროვდება? {ცური}

აქტივობა 6. გამოცანების გამოცნობა

► **ინსტრუქცია**

- მოსწავლეებს ნელა, ხმამაღლა და გამოთქმით წაუკითხეთ **მარიამ წიკლაურის** გამოცანები ცხოველთა ნაშიერებზე (თითო ჯერზე – თითო გამოცანა);
- კითხვისას აქცენტი გააკეთეთ იმ სარითმო სიტყვებზე, რომლებიც ბავშვებს პასუხის პოვნაში დაეხმარება;

- შემდეგ მოსმენილი გამოცანა ნაწილ-ნაწილ გაამეორებინეთ (გასამეორებელი მონაკვეთი დასრულებული წინადადება უნდა იყოს). თითოეულ გამოცანასთან დაკავშირებით დასვით შეკითხვები.

დედას დასდევს კუდში,
მარდია და მკვირცხლი,
ჭიხვინს სწავლობს, კუნტრუში
უკვე კარგად **იცის,**
ცხენის გვერდით დგას და
ბალახს წიწკნის ------/**კვიცი**/.

შეკითხვები:

- აბა, ვინ გამოიცნო, რა არის? {კვიცი}
- როგორ მიხვდით? რას მიაქციეთ ყურადღება? {მარდია, მკვირცხლია, ჭიხვინი და კუნტრუში იცის, ცხენთან დგას, ბალახს წიწკნის...}

თხა კიკინებს: „მე-მე-მე,
ცურით მომაქვს ტკბილი რძე,
რძით აგივსებთ ჭიქებს,
ლამაზ გოგო-ბიჭებს.“
„თქვენ შეჭამეთ **ხინკალი,**
რძე – მეეეე!“ – ამბობს -----/**თიკანი**/.

შეკითხვები:

- აბა, ვინ გამოიცნო, რა არის? {თიკანი}
- როგორ მიხვდით, რას მიაქციეთ ყურადღება? {თხაა ნახსენები, კიდევ ის, რომ რძე უყვარს და „მეეეე-ს“ გაიძახის}

რქებით იცნობ შავს და ძლიერს,
გამორჩეულს რძით და მაწვნით,
ნაშიერიც ყოყინა ჰყავს,
ზანტი, არ ღლის მწყემსებს **საქმით**.
უყვარს თურმე წყალში წოლა,
კამეჩის შვილს ჰქვია ------ /**ზაქი**/.

შეკითხვები:

- აბა, ვინ გამოიცნო, რა არის? {ზაქი}
- როგორ მიხვდით, რას მიაქციეთ ყურადღება? {კამეჩის შვილიაო, ყოყინააო, ზანტიაო, წყალში წოლა უყვარსო...}
- **ყოყინა** რას ნიშნავს? {ყოყინაა, რაც ყოყინებს ანუ ყროყინებს, ანუ ზაქი და კამეჩი არის ყროყინა}

ბატი ჩეკავს კვერცხიდან
ყვითელგულა შვილებს.
წყალში შეცურდებიან,
როცა ტბორთან მივლენ.
„ყი-ყი!“ – ყველას **უკვირს**,
ისე ყვინთავს ----- /**ჭუკი**/ .

შეკითხვები:

- აბა, ვინ გამოიცნო, რა არის? {ჭუკი}
- როგორ მიხვდით, რას მიაქციეთ ყურადღება? {ბატი ჩეკავსო, ყვითელგულააო, წყალში ყვინთავსო...}

მატყლი, ყველი, ხორცი, ერბო,
ადამიანს ცხვრისგან ერგო.
„ბე-ბე!“ – კრავი დედას უხმობს,
დედაც აჭმევს ტკბილ რძეს უხმოდ.
მწყემსს უჭირავს **არგანი,**
რომ დაიცვას ----- /**ბატკანი**/

შეკითხვები:

- აბა, ვინ გამოიცნო, რა არის? {ბატკანი}
- როგორ მიხვდით, რას მიაქციეთ ყურადღება? (ცხვრის შვილია, „ბე-ბე-ს“ გაიძახის...}
- როგორ მიხვდით, რომ ცხვრის ნაშიერზე იყო საუბარი? {ლექსში იყო, რომ ცხვარი მატყლს, ყველს ერბოს გვაძლევს, კრავი დედას ეძახის...}

მეთოდიკური კომენტარი: გამოცანები წაუკითხეთ სახალისო მეთოდების გამოყენებით: გამეორება სხვადასხვა სიჩქარითა და ხმის ტემბრით (წვრილი ხმით, ბოხი ხმით, სასაცილო ხმით, ჩქარა, ნელა, ძალიან ჩქარა, ძალიან შენელებულად, წამღერებით და სხვა).


აქტივობა 7. ენობრივი თამაში შინაურ ცხოველთა ნაშიერებზე

ა) დააყენებთ მოსწავლეებს წრეზე (ან მწკრივად). დაუსახელებთ შინაურ ცხოველს, მათ უნდა გაიხსენონ შესაბამისი ნაშიერის სახელი. როცა რომელიმე მოსწავლე შეჩერდება და ვერ გაიხსენებს, დაიძახეთ: ვინ იქნება მაშველი? თუ ვეღარც „მაშველები“ გაიხსენებენ სიტყვებს, თქვენ შეეშველებით.

ბ) სასურველია, მოინიშნოთ, რომელი სიტყვები არ გაახსენდათ და პერიოდულად გაახსენოთ ხოლმე, სანამ არ დარწმუნდებით, რომ ეს სახელები აითვისეს. ამისთვის ერთი წუთის დათმობაც საკმარისია (მაგალითად: აბა, გაიხსენეთ, რა ჰქვია კამეჩის ნაშიერს?).

აქტივობა 8. ცხოველების დაკავშირება შესაბამის ნაშიერებთან

პირობა: ხაზით დააკავშირეთ ცხოველები თავიანთ ნაშიერებთან და დაასახელეთ თითოეული მათგანი.



აქტივობა 9. მთელ-მთელი სიტყვების ამოცნობა (პეპელა, პური, სპილო, ბაყაყი)

პირობა: დააკვირდით სურათის ქვეშ დაწერილ სიტყვას. მეორე სვეტში მოძებნეთ იგივე სიტყვები და შემოხაზეთ თითოეული.



აქტივობა 10. თამაში „სიტყვების ლოტო“ (პეპელა, პური, სპილო, ბაყაყი)

► ინსტრუქცია


ამ აქტივობის სიტყვებისთვის (პეპელა, პური, სპილო, ბაყაყი) მომზადებული გექნებათ სიტყვის ბარათები. შესაბამის წარწერიან სურათებს კედელზე გამოაკრავთ უკვე გამოკრულ წინა სიტყვებთან ერთად. მოსწავლეებს აჩვენებთ სიტყვის თითო ბარათს და წაახალისებთ, რომ ამოიცნონ, რომელი სიტყვაა. ცხადია, სიტყვის ამოსაცნობად მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კედელზე გამოკრულ წარწერებიან სურათებს. ერთ-ერთი უპასუხებს, დანარჩენები აზრს გამოთქვამენ, სწორია თუ არა პასუხი.

თუ არა გაქვთ გამოსაკრავი სურათები, მოსწავლეები რვეულის სურათებს გამოიყენებენ.

აქტივობა 11. გაფერადება, სიტყვის მოძებნა-დაკავშირება


პირობა: შინ გააფერადეთ ნახატები, შემდეგ მოძებნეთ ერთნაირი სიტყვები და ხაზით დააკავშირეთ ერთმანეთთან.

შენიშვნა: ეს უკვე კარგად ნაცნობი აქტივობაა და სასურველია, მოსწავლეებმა შინ შეასრულონ.



აქტივობა 12. ფონოლოგიური თამაში რვეულში

ბ) პირობა: სიტყვების ამ წყვილებში მოძებნეთ განსხვავებული ბგერები და დაასახელეთ. გააფერადეთ შესაბამისი ხაზი სურათის ქვეშ.



► ინსტრუქცია

დააკვირვეთ მოსწავლეები ნიმუშზე.

უთხარით:

- დაასახელეთ ამ წყვილის პირველი სიტყვა. რამდენი ბგერისგან შედგება ის?
- ახლა დააკვირდით სიტყვის ქვეშ ჩამოსმულ ხაზებს. რამდენი ხაზია? რატომ? {ხაზები სიტყვაში ბგერების რაოდენობას აღნიშნავს}.
  იგივე გააკეთეთ მეორე სიტყვაზე.

უთხარით:

ეს ორი სიტყვა მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდება ერთმანეთისგან.

- რომელია ეს ერთი განსხვავებული ბგერა?
- მერამდენე ბგერაა განსხვავებული?

დააკვირდით: სწორედ პირველი ხაზია წითლად გაფერადებული **ხართანაც** და **კართანაც** – ანუ ეს ხაზები აღნიშნავს, სად არის განსხვავებული ბგერა.

მომდევნო ნიმუში ერთობლივად გააკეთეთ. შემდეგ კი მოსწავლეები, მზაობის შესაბამისად, იმუშავებენ დამოუკიდებლად ან თქვენი დახმარებით.

შედეგები შემოწმდება და გასწორდება. მნიშვნელოვანია, რამდენიმე მოსწავლეს სიტყვები ხმამაღლაც დააშლევინოთ ბგერებად. დაუსვით მათ კითხვები თითოეულ სიტყვაზე.

? შეკითხვების ნიმუშები:

- რამდენი ბგერისგან შედგება სიტყვა პური? ყური?
- რომელია განსხვავებული ბგერა მეორე სიტყვაში? მერამდენეა განსხვავებული ბგერა?
- რომელია ერთნაირი ბგერები ამ ორ სიტყვაში?
- „რ“ მერამდენე ბგერაა ამ სიტყვებში?

შენიშვნა: განსხვავებული შეკითხვების დასმას მოითხოვს წყვილი – **მთა და თმა** – ამ შემთხვევაში ყველა ბგერა ერთნაირია, მაგრამ განსხვავებულია მათი ადგილმდებარეობა.

? შეკითხვების ნიმუშები:

- რამდენი ბგერაა პირველ სიტყვეში?
- რომელი ბგერებისგან შედგება ეს სიტყვა?
- პირველი ბგერა რომელია? მეორე? მესამე?
- ახლა დააკვირდით მეორე სიტყვას – რომელი ბგერებისგან შედგება?
- პირველი ბგერა რომელია? მეორე? მესამე?
- „მ“ ბგერა მერამდენეა პირველ სიტყვაში (მთა)? მეორეში (თმა) ?
- „თ“ მერამდენეა პირველ სიტყვაში? მეორეში?
- მაშ, ბგერები ერთნაირია თუ არა?
- მაშ ეს ორი სიტყვა ერთმანეთისგან განსხვავდება ბგერებით, თუ ბგერების თანმიმდევრობით?

და მისთ.

აქტივობა 13. ფონოლოგიური თამაში (რა შეეშალა ფიქრიას ძმას?)

► ინსტრუქცია

მოსწავლეებს უთხარით:

– ფიქრიას ჰყავს პატარა ძმა, ის ამბობდა წინადადებებს, მაგრამ რაღაც სიტყვები ეშლებოდა. კარგად მომისმინეთ, რომ აღმოაჩინოთ, რა ეშლებოდა ფიქრიას პატარა ძმას.

მან თქვა:

1) **ბუბი ბაბის ძნაა.**

? დასვით შეკითხვები:


- რა შეეშალა ბავშვს, რა უნდა ეთქვა და რა თქვა? {უნდა ეთქვა **ძმა** და თქვა **ძნა**}
- რომელი ბგერა რომლით შეცვალა? {**მ** ბგერა შეცვალა **ნ** ბგერით}
- შეცვლილი ბგერა მერამდენეა სიტყვაში? {შეცვლილი ბგერა არის მეორე}

მსგავსად განიხილეთ სხვა შეცდომებიც:

1. მამუმ ნავი მოიფხანა.
2. დადუმ ბაბის ლამაზი კატა ჩააცვა.
3. დედამ წითელი მუშტი მიყიდა.
4. ციომ ფუღუროში კუ დაინახა.
5. ორი კარი ბალახს ძოვს.
6. კუს კაკანი ძალიან მაგარია.
7. ხეს ბევრი წითელი ვაფლი ესხა.

აქტივობა 14. უსურათოდ დარჩენილი სიტყვის მოძებნა და ამოცნობა

ა) პირობა: დააკავშირეთ სურათი შესაბამის სიტყვასთან. მოძებნეთ უსურათოდ დარჩენილი სიტყვა და შემოხაზეთ.



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს ჯერ დაასახელებინეთ, რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ ისინი დამოუკიდებლად იმუშავებენ.

როგორც ყოველთვის, მერხებს შორის ივლით და, საჭიროებისამებრ, დაეხმარებით მოსწავლეებს.

დარჩება სიტყვა „ციო“, ძალიან მნიშვნელოვანია, არ უთხრათ მათ, ეს რა სიტყვაა – მომდევნო (ბ) პუნქტში სიურპრიზად აღმოაჩენენ!

ბ) პირობა: დააკვირდით წინა დავალებაში თქვენ მიერ შემოხაზულ სიტყვას. იგივე სიტყვა მოძებნეთ სურათების ქვეშ. შინ გააფერადეთ შესაბამისი სურათი.



მტევანი 4.


აქტივობა 1. ზღაპრის შინაარსის გახსენება

აქტივობა 2. ზღაპრის შინაარსის გათამაშება

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2-3 სთ.

მოსამზადებელი სამუშაოები

აქტივობა 1. ზღაპრის შინაარსის გახსენება



► ინსტრუქცია

ა) თანმიმდევრობის გახსენება

მოსწავლეებს გაახსენეთ მოსმენილი ზღაპარი „ყველაფერი თავიდან“. შემდეგ აჩვენეთ **თანმიმდევრობის ღერძი** და უთხარით, რომ ამ ღერძზე უნდა დააწებონ ცხოველების სურათები იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ტექსტშია. რვეულის ბოლოში აჩვენეთ ამოსაჭრელი სურათები.

? დაუსვით შეკითხვები:

- პირველად რომელი ცხოველი გამოჩნდა ტექსტში? {დედალი}
- შემდეგ რომელი გამოჩნდა? {წიწილა} შემდეგ?

(ასე გაგრძელდება ბოლომდე და შეივსება „თანმიმდევრობის ღერძი“).

ბ) გაავარჯიშეთ მოსწავლეები ეპიზოდების თანმიმდევრობის დამახსოვრებაზე (რომელი ცხოველი რომლის შემდეგაა ტექსტში);

- გაანაწილეთ როლები მოსწავლეთა მზაობის, აგრეთვე, მათი სურვილების გათვალისწინებით;
- გაავარჯიშეთ ცხოველთა ხმიანობისა და მათ სახელწოდებათა შესატყვისი სიტყვების სწორად გამოთქმაზე.

აქტივობა 2. ზღაპრის შინაარსის გათამაშება

გათამაშების შემდეგ დასასმელი შეკითხვები:

- ახსენი, რატომ შეარჩიე ეს პერსონაჟი, რით არის ის შენთვის საინტერესო?
- შენი აზრით, როგორ გუნებაზეა ეს პერსონაჟი? რატომ გგონია ასე?
- შენ რას დაარქმევდი ამ ზღაპარს? რატომ?

განმავითარებელი შეფასების შესახებ
(ზოგადი კომენტარი)

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, თითოეული მოსწავლის წინსვლის, განვითარების ხელშეწყობა. განმავითარებელი შეფასების გამოყენებით ფასდება სწავლის პროცესი, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი წინსვლა, ერთი მხრივ, მისსავე წინარე შედეგებთან, მეორე მხრივ კი – სტანდარტის მოთხოვნებთან შედარებით. სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაკვირვება მასწავლებელს ეხმარება პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯოსებაში, მოსწავლეთა შესაძლებლობების უკეთ განსაზღვრასა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებაში.

განმავითარებელი შეფასებისას შემფასებელი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მიეცეთ თვითშეფასების საშუალება (იშვიათად – ურთიერთშეფასებისაც). სწავლის პროცესის შეფასებაში მონაწილეობა მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს სწავლის პროცესი, რათა გააზრებულად და დამოუკიდებლად მართოს იგი.

გარდა ამისა, მოსწავლის მიერ შევსებული თვითშეფასების სქემები მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი წყაროა მოსწავლის ცოდნის სტრუქტურების განვითარების შესაფასებლად.

განმავითარებელი შეფასების სახეობები

გამოვყოფთ განმავითარებელი შეფასების სამ ძირითად სახეს:

1. მიმდინარე შეფასება – გამოიყენება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში; ყოველ გაკვეთილზე თითოეულმა მოსწავლემ, სულ ცოტა, ორი მცირე განმავითარებელი შეფასება უნდა მიიღოს ინდივიდუალურად.

2. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება – გამოიყენება სასწავლო ერთეულის ბოლოს, ეს იქნება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულებისას, თემის დასრულებისას, სემესტრის დასრულებისას და სხვა.

3. განმავითარებელი სადიაგნოსტიკო შეფასება – მისი მიზანია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენის გზით. სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა, დეტალური ინფორმაცია მივიღოთ თითოეულ მოსწავლეზე სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების შესახებ. ამ ხარვეზების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ აქტივობათა შემუშავება.

წინასაანბანო პერიოდში მნიშნელოვანია ფონოლოგიური უნარების დიაგნოსტირება. გთავაზობთ ბმულს, სადაც ნახავთ „ჯიპრაიდის“ მიერ შემუშავებულ ტესტებს ფონოლოგიური უნარების დიაგნოსტირებისათვის.

განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლის მიღწევას, ნამუშევარს, ქმედებას, ქცევას, პასუხს... ოღონდ არავითარ შემთხვევაში – პიროვნებას. გავრცელებული შეფასებები „კარგი გოგო/ბიჭი“, „ნიჭიერი ბავშვი“, „ზარმაცი ბავშვი“ და მისთ. არც განმავითარებელი შეფასებაა და, უფრო მეტიც, უხეში პედაგოგიური შეცდომაა. „კარგია“ ან „ყოჩაღ“ განმავითარებელ შეფასებად მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდგება, როდესაც პირდაპირ და უეჭველად ცხადია, თუ კონკრეტულად რისთვის აქებს მასწავლებელი მოსწავლეს. ხოლო საუკეთესო განმავითარებელი შეფასება იგივეა, რაც კონკრეტული და საქმიანი ინდივიდუალური უკუკავშირი. ის ერთ-ორ დადებითსა და ერთ-ორ გასაუმჯობესებელ ან განსავითარებელ საკითხს აკონკრეტებს, თანაც მცირე სასწავლო ხარაჩოსაც კი შეიცავს. საუკეთესო მიმდინარე განმავითარებელი შეფასების მაგალითები: „ეს სიტყვა აქ კარგად ჩაგისვამს, ძალიან მომწონს. ოღონდ აქ სასვენ ნიშნებს დააკვირდი!“ „დიახ, ზუსტი მიხვედრაა, თუმცა მერე შეცდომა მოგივიდა. აბა გაიაზრე და შეასწორე!„ „მთელი შენი ნამუშევარი ძალიან მომეწონა, არც შეცდომებია და

შინაარსიც ძალიან კარგია! აბა, სცადე, ჩამოაყალიბო კიდევ უფრო საინტერესო აზრი – რა მოხდებოდა, ეს რომ ასე არ ყოფილიყო“. „სუფთა და ლამაზი ნაწერია (სასიამოვნოა შენი ხმის მოსმენა), ოღონდ აქ სამი შეცდომა უნდა მოძებნო და შეასწორო. ასეთივე სტილისაა კარგი შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებებიც.

მოკლე ფორმულა: მიღწევის გამოკვეთა და დაფასება + ბიძგი განვითარებისკენ.

განმავითარებელ შეფასებათა და ინდივიდუალურ უკუკავშირთა სისტემატური და მიზანშეწონილი გამოყენება – ესაა მასწავლებლის მთავარი მოვალეობა და თან მისი პროფესიული ოსტატობის მთავარი მაჩვენებელი, აგრეთვე პედაგოგიური შემოქმედების მთავარი სარბიელი. მასწავლებელი კარგ სახელმძღვანელობსა და სხვა მზა სასწავლო რესურსებს უნდა იღებდეს. მისი მთავარი საზრუნავი და საფიქრალი ის უნდა იყოს, თუ დღეს, აი, ამ კონკრეტულ ვითარებაში, რა იქნება საუკეთესო განმავითარებელი შეფასება და ინდივიდუალური უკუკავშირი თამუნასთვის, შიოსთვის, ლეოსა თუ ელენესთვის.

შეფასების სქემები წინასაანბანო პერიოდისთვის

წინასაანბანო პერიოდი სამ თავს მოიცავს. სახელმძღვანელო თითოეული თავისთვის გთავაზობთ მიმდინარე განმავითარებელი შეფასებისთვის განკუთვნილ სქემებს.

ამას გარდა, გთავაზობთ ბმულს, სადაც ნახავთ „ჯიპრაიდის“ მიერ მომზადებულ დიაგნოსტიკურ ტესტებს ფონოლოგიური და კითხვის უნარჩვევათა შესაფასებლად. ამ პორტალზე (https://el.ge/projects/iskola) ნახავთ ყველა საჭირო ინფორმაციასა და მზა რესურსებს დიაგნოსტიკური შეფასების ჩასატარებლად.

თავი 1. „დილა არის მშვენიერი“

ინსტრუმენტი 1. სამდონიანი რუბრიკა მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად (სტანდარტის შედეგებთან შედარებით)

პირველი თავი სამი პარაგრაფისგან შედგება. მასწავლებელი ინიშნავს მოსწავლეების მიღწევებს ამ თავის ყოველი პარაგრაფის დასრულებისას. საჭიროებისამებრ, მასწავლებელს ბოლო სვეტში საგულისხმო ჩანიშვნების გაკეთებაც შეუძლია.

რეკომენდაცია: სასურველია, ქვემოთ მოცემული ცხრილი აიგოს ინტერაქციულ პლატფორმაზე (მაგალითად, Excell, OneNote და სხვა).

ა	ბ	გ
• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნებს სრულად პასუხობს • დამოუკიდებლად და თავდაჯერებულად ასრულებს მიცემულ დავალებებს.	• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნებს ნაწილობრივ პასუხობს; • საჭიროებს მცირე დახმარებას (მისახვედრებელი, დამკვალიანებელი შეკითხვები, ნიმუშები).	• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნები დასაძლევია; • საჭიროებს ინტენსიურ დახმარებასა და დამატებით ვარჯიშს.

სამიზნე ცნების მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**ა ბ გ**			დაკვირვების ჩანაწერი, შენიშვნები; უკუკავშირი („რა გამოვიდა კარგად„ + „რაზე უნდა ვიმუშაოთ„ + „შემდეგი ნაბიჯი„).
		§.1. პირველი დღე სკოლაში	§.2 დილა ტყეში	§ 3. სხვის ეზოში	
სამიზნე ცნება – ტექსტი					
1. „ტექსტის შინაარსი (ლექსი „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი"; მოთხრობა „აი ია")	1.1. ამოიცნობს ტექსტში პირდაპირ მოცემულ ინფორმაციას; 1.2. ამოიცნობს არაპირდაპირ, მინიშნებებით მოცემულ, ნაგულისხმევ ინფორმაციას, გამოაქვს დასკვნები (მაგ., ამოიცნობს პერსონაჟთა შორის არსებულ ურთიერთობებს, მოქმედებათა თანმიმდევრობას, მოქმედების დროსა და ადგილს);				
	1.3. აკავშირებს შინაარსს პირად გამოცდილებასთან, აყალიბებს საკუთარ აზრს (მაგ., ტექსტის შინაარსთან, პერსონაჟის ქცევასთან დაკავშირებით);				
	1.4. ამოიცნობს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას 1-ელი კლასის დონის შესაბამისი კონტექსტური გასაღებების გამოყენებით (მაგ.,უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა-გაგება მასწავლებლის მიერ მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითის საფუძველზე).				

2. **სამეტყველო ქმედება**	2.1. განავრცობს წინადადებებს 3-4 სიტყვამდე; 2.2. წარმოთქვამს ვრცელ, არანაკლებ 3-4-სიტყვიან წინადადებებს;				
	2.3. აღწერს სკოლის ილუსტრაციას (შეკითხვების დახმარებით, შეკითხვების გარეშე);				
	2.4. სურათებზე დაყრდნობით ზეპირმეტყველებით გადმოსცემს ზღაპრის „აი ია" შინაარსს (შეკითხვების დახმარებით, შეკითხვების გარეშე).				
3. ტექსტის აგებულება	3.1. სწორად უთითებს ტექსტს, სათაურს, აბზაცს; 3.2. არკვევს ტექსტში აბზაცების რაოდენობასა და ადგილმდებარეობას.				
4. თემატური ლექსიკა	4.1. იგებს და იყენებს ახალნასწავლ სიტყვებს.				
სამიზნე ცნება – წარმოთქმული სიტყვა					
5. ზეპირი მარცვალი, ბგერა (ამ ეტაპზე – მხოლოდ მარტივი ბგერითი შემადგენლობის სიტყვები: არაუმეტეს 3 მარცვლისა და თანხმოვანთა შეჯგუფების გარეშე)	5.1. ტაშით შლის სიტყვას მარცვლებად; ამთლიანებს მარცვლებად დაშლილ სიტყვას;				
	5.2. წარმოთქმულ სიტყვას დაშლის ბგერებად (ფონოლოგიური ანალიზი), ამთლიანებს ბგერებად დაშლილ სიტყვას (ფონოლოგიური სინთეზი);				
	5.3. ამოიცნობს სიტყვაში ბგერების რაოდენობას; 5.4. ამოიცნობს/შეცვლის სიტყვაში ბგერას; 5.5. ამოიცნობს სიტყვაში ბგერის ადგილმდებარეობას (მერამდენეა).				
სამიზნე ცნება – დაწერილი სიტყვა					
6. სიტყვის გრაფიკული ფორმა	6.1. ამოიცნობს პირველი 8-10 საყრდენი სიტყვის მთლიან გრაფიკულ ფორმას თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით.				

თავი 2. ქალაქის უცნაური სტუმრები

ინსტრუმენტი 1. სამდონიანი რუბრიკა მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად (სტანდარტის შედეგებთან მიმართებით)

მეორე თავი 6 მტევნისაგან შედგება. მასწავლებელი ინიშნავს მოსწავლეების მიღწევებს ამა თუ იმ მტევნის დასრულებისას. საჭიროებისამებრ, მასწავლებელს ბოლო სვეტში საგულისხმო ჩანიშვნების გაკეთებაც შეუძლია.

რეკომენდაცია: სასურველია, ქვემოთ მოცემული ცხრილი აიგოს ინტერაქტიულ პლატფორმაზე (მაგალითად, Excell, OneNote და სხვა)

ა	ბ	გ
• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნებს სრულად პასუხობს; • დამოუკიდებლად და თავდაჯერებულად ასრულებს მიცემულ დავალებებს.	• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნებს ნაწილობრივ პასუხობს; • საჭიროებს მცირე დახმარებას (მისახვედრებელი, დამკვალიანებელი შეკითხვები, ნიმუშები).	• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნები დასაძლევია; • საჭიროებს ინტენსიურ დახმარებასა და დამატებით ვარჯიშს.

სამიზნე ცნების მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**ა ბ გ**			დაკვირვების ჩანაწერი, შენიშვნები; უკუკავშირი („რა გამოვიდა კარგად„+ „რაზე უნდა ვიმუშაოთ„ + „შემდეგი ნაბიჯი„).
		მტევანი 1, 2.	მტევანი 3, 4	მტევანი 5, 6	
სამიზნე ცნება – ტექსტი					
1. **ტექსტის შინაარსი** (ზღაპარი -„ბელები ქალაქში"; ლექსები: „ზებრა„, „ფიქრიას ნატვრა„)	1.1. ამოიცნობს ტექსტში პირდაპირ მოცემულ ინფორმაციას; 1.2. ამოიცნობს არაპირდაპირ, მინიშნებებით მოცემულ, ნაგულისხმევ ინფორმაციას, გამოაქვს დასკვნები (მაგ., ამოიცნობს პერსონაჟთა შორის არსებულ ურთიერთობებს, მოქმედებათა თანმიმდევრობას, მოქმედების დროსა და ადგილს);				
	1.3. აკავშირებს შინაარსს პირად გამოცდილებასთან, აყალიბებს საკუთარ აზრს (მაგ., ტექსტის შინაარსთან, პერსონაჟის ქცევასთან დაკავშირებით);				
	1.4. ამოიცნობს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას 1-ელი კლასის დონის შესაბამისი კონტექსტური გასაღებების გამოყენებით (მაგ.,უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა-გაგება მასწავლებლის მიერ მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითის საფუძველზე).				

1. **სამეტყველო ქმედება**	5.6. განავრცობს წინადადებებს 4-5 სიტყვამდე; 1.1. წარმოთქვამს ვრცელ, არანაკლებ 4-5-სიტყვიან წინადადებებს;				
	1.2. აღწერს ქალაქის სურათებს (შეკითხვების დახმარებით, შეკითხვების გარეშე);				
	1.3. ილუსტრაციებზე დაყრდნობით ზეპირმეტყველებით გადმოსცემს ზღაპრის „ბელები ქალაქში" შინაარსს (შეკითხვების დახმარებით, შეკითხვების გარეშე).				
2. **ტექსტის აგებულება**	2.1. სწორად უთითებს ტექსტს, სათაურს, აბზაცს, სტრიქონს; 2.2. არკვევს აბზაცში სტრიქონების რაოდენობასა და ადგილმდებარეობას (მაგ.: მეორე აბზაცის მესამე სტრიქონი).				
3. **თემატური ლექსიკა**	3.1. იგებს და იყენებს ახალნასწავლ სიტყვებს.				
სამიზნე ცნება – წარმოთქმული სიტყვა					
4. **ზეპირი მარცვალი, ბგერა** (ამ ეტაპზე – საშუალო სირთულის ბგერითი შემადგენლობის სიტყვები: არაუმეტეს 4 მარცვლისა და მხოლოდ 2 თანხმოვნის შეჯგუფებით)					
	4.1. წარმოთქმულ სიტყვას შლის ბგერებად (ფონოლოგიური ანალიზი), ამთლიანებს ბგერებად დაშლილ სიტყვას (ფონოლოგიური სინთეზი);				
	4.2. ამოიცნობს სიტყვაში ბგერების რაოდენობას; 4.3. ამოიცნობს/შეცვლის სიტყვაში ბგერას; 4.4. ჩაამატებს/ამოაკლებს სიტყვაში ბგერას; 4.5. ამოიცნობს სიტყვაში ბგერის ადგილმდებარეობას (მერამდენეა).				
სამიზნე ცნება – დაწერილი სიტყვა					
5. **სიტყვის, გრაფიკული ფორმა**	6.1. ამოიცნობს 15-20 საყრდენი სიტყვის მთლიან გრაფიკულ ფორმას თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით ; 6.2. ამოიცნობს 5-10 საყრდენი სიტყვის მთლიან გრაფიკულ ფორმას ნიმუშის გარეშე.				

თავი 3. ყველაფერი თავიდან

ინსტრუმენტი 1. სამდონიანი რუბრიკა მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად (სტანდარტის შედეგებთან შედარებით)

მესამე თავი 4 მტევნისაგან შედგება. მასწავლებელი ინიშნავს მოსწავლეების მიღწევებს ამა თუ იმ მტევნის დასრულებისას. საჭიროებისამებრ, მასწავლებელს ბოლო სვეტში საგულისხმო ჩანიშვნების გაკეთებაც შეუძლია.

რეკომენდაცია: სასურველია, ქვემოთ მოცემული ცხრილი აიგოს ინტერაქტიულ პლატფორმაზე (მაგალითად, Excell, OneNote და სხვა)

ა	ბ	გ
• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხროვნებს სრულად პასუხობს; • დამოუკიდებლად და თავდაჯერებულად ასრულებს მიცემულ დავალებებს.	• კრიტერიუმის/კრიტერიუმები მოთხოვებს ნაწილობრივ პასუხობს; • საჭიროებს მცირე დახმარებას (მისახვედრებელი, დამკვალიანებელი შეკითხვები, ნიმუშები).	• კრიტერიუმის.კრიტერიუმების მოთხოვნები დასაძლევია; • საჭიროებს ინტენსიურ დახმარებასა და დამატებით ვარჯიშს.

სამიზნე ცნების მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**ა ბ გ**			დაკვირვების ჩანაწერი, შენიშვნები; უკუკავშირი („რა გამოვიდა კარგად„ + „რაზე უნდა ვიმუშაოთ„ + „შემდეგი ნაბიჯი„).
		მტევანი 1., 2.	მტევანი 3.	მტევანი 4.	
სამიზნე ცნება – ტექსტი					
1. **ტექსტის შინაარსი** (ზღაპარი -„ყველაფერი თავიდან")	1.1. ამოიცნობს ტექსტში პირდაპირ მოცემულ ინფორმაციას;				
	1.2. ამოიცნობს არაპირდაპირ, მინიშნებებით მოცემულ, ნაგულისხმევ ინფორმაციას, გამოაქვს დასკვნები (მაგ., ამოიცნობს პერსონაჟთა შორის არსებულ ურთიერთობებს, მოქმედებათა თანმიმდევრობას, მოქმედების დროსა და ადგილს);				
	1.3. აკავშირებს შინაარსს პირად გამოცდილებასთან, აყალიბებს საკუთარ აზრს (მაგ., ტექსტის შინაარსთან, პერსონაჟის ქცევასთან დაკავშირებით);				
	1.4. ამოიცნობს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას 1-ელი კლასის დონის შესაბამისი კონტექსტური გასაღებების გამოყენებით (მაგ., უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა-გაგება მასწავლებლის მიერ მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითის საფუძველზე).				

1. **სამეტყველო ქმედება**	1.1. განავრცობს წინადადებებს; 1.2. წარმოთქვამს ვრცელ წინადადებებს;				
	1.3. აღწერს „ფიქრიას ეზოს" (შეკითხვების დახმარებით, შეკითხვების გარეშე);				
	1.4. წარმოთქმით გაითამაშებს ზღაპრის შინაარსს.				
2. **ტექსტის აგებულება**	2.1. სწორად უთითებს ტექსტს, სათაურს, აბზაცს, სტრიქონს, წინადადებას; 2.2. არკვევს აბზაცში წინადადებების რაოდენობასა და ადგილმდებარეობას (მაგ.: მესამე აბზაცში მეხუთე/ბოლო წინადადება). არკვევს სტრიქონში/წინადადებაში სიტყვების რაოდენობასა და ადგილმდებარეობას (მაგ.: მესამე სტრიქონში/წინადადებაში მეხუთე/ბოლო სიტყვა).				
3. **თემატური ლექსიკა**	3.1. იგებს და იყენებს ახალნასწავლ სიტყვებს.				
სამიზნე ცნება: წარმოთქმული სიტყვა					
4. **ზეპირი მარცვალი, ბგერა** 5. **(ამ ეტაპზე უკვე – ყოველგვარი ან თითქმის ყოველგვარი სიტყვები)**	5.1. წარმოთქმულ სიტყვას შლის ბგერებად (ფონოლოგიური ანალიზი), ამთლიანებს ბგერებად დაშლილ სიტყვას (ფონოლოგიური სინთეზი);				
	5.2. ამოიცნობს სიტყვაში ბგერების რაოდენობას; 5.3. ამოიცნობს/შეცვლის სიტყვაში ბგერას; 5.4. ჩაამატებს/ამოაკლებს სიტყვაში ბგერას; 5.5. ამოიცნობს სიტყვაში ბგერის ადგილმდებარეობას (მერამდენეა).				
სამიზნე ცნება: დაწერილი სიტყვა					
6. **სიტყვის, გრაფიკული ფორმა**	6.1. ამოიცნობს ყველა საყრდენი სიტყვის მთლიან გრაფიკულ ფორმას თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით ; 6.2. ამოიცნობს 10-15 საყრდენი სიტყვის მთლიან გრაფიკულ ფორმას თვალსაჩინოების გარეშე.				

დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები

დამატებით რესურსად გთავაზობთ გასაფერადებელ სურათებს და მოთხრობას „ბაბი და ბუბი უცნაურობათა წრეში“. ეს მოთხრობა გამოსაკრავი რესურსის სახითაც არის.


მეთოდიკური რეკომენდაცია 1.


მეთოდიკური რეკომენდაცია გასაფერადებელი სურათებისთვის.

გასაფერადებელი სურათები ფონოლოგიური სავარჯიშოებისთვისაა განკუთვნილი. ამოჭრით სურათებს, მოსწავლეებს დაურიგებთ და დაამზადებინებთ ერთგვარ ლოტოს ფონოლოგიური თამაშებისთვის: მოსწავლეები სურათებს გააფერადებენ და სქელ ფურცლებზე ან მუყაოზე დააწებებენ, რათა გამოყენებისას ადვილად არ გაფუჭდეს. შემდეგ თითოეულ სურათის უკანა მხარეს დახაზავენ იმდენ მსხვილ ხაზს (შტრიხს), რამდენი ბგერაცაა სურათის შესაბამის სიტყვაში და ბარათიც მზად იქნება.

ამ ბარათებს სხვადასხვა ფონოლოგიური სავარჯიშოსთვის გამოიყენებთ, მაგალითად: ბგერებად დაშლილი სიტყვის ამოცნობა, სიტყვის ბგერებად დაშლა; სიტყვაში კონკრეტული ბგერისა და მისი ადგილმდებარეობის ამოცნობა; ფონოლოგიური გამოცანები (მაგ., აჩვენებთ 4-5 სურათს, ასახელებთ რომელიმე სურათის შესაბამისი სიტყვის პირველ ან ბოლო ბგერას, ასევე ბგერათა რაოდენობას. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელი სიტყვაა).

მნიშვნელოვანია, რომ ყოველ მოსწავლეს განსხვავებული სიძნელის სიტყვები მივაწოდოთ მისი მზაობის გათვალისწინებით. ფონოლოგიის თვალსაზრისით, სიტყვის სიძნელე ორი ნიშანთვისებითაა განსაზღვრული: 1) ბგერების საერთო რაოდენობა; 2) თანხმოვნების შეჯგუფება: მაგ.: საქანელა – სულ არაა შეჯგუფებული თანხმოვნები; ამწე – ორია; მსხალი – სამია; ვარსკვლავი – სამზე მეტი და სხვა.





მეთოდიკური რეკომენდაცია 2.

მეთოდიკური რეკომენდაცია რესურსისთვის „ბაბი და ბუბი უცნაურობათა წრეში“

- ეს მოთხრობა გამოსაკრავ პლაკატზე 4-ნაწილიანია, მასწავლებლის წიგნში ამ ტექსტის მეხუთე ნაწილიცაა მოცემული. სურვილისამერ, ამ ნაწილს მოსწავლეებს ან წაუკითხავთ, ან არა.
- მას შემდეგ რაც მოსწავლეებს გააცნობთ საკლასო ოთახში გამოკრული ტექსტის „ბაბი და ბუბი უცნაურობათა წრეში“ შინაარსს, შესაძლებელია, ეს ტექსტი მთელ-მთელ სიტყვებზე სამუშაოდ გამოიყენოთ. სასურველია, ამ აქტივობას გაკვეთილზე 5 წუთი დაეთმოს ხოლმე.
- ტიპობრივი აქტივობების ნიმუშები – მასწავლებელი გამოძახებულ მოსწავლეს ავალებს:

1. მოძებნოს, ვთქვათ, მეორე აბზაცის მესამე სტრიქონი. შემდეგ მოძებნოს ამ სტრიქონის, მაგალითად, ბოლოსწინა სიტყვა. მოძებნოს და „წაიკითხოს“, ანუ იცნოს, რა სიტყვაა;
2. მითითებულ სტრიქონში ან წინადადებაში მოძებნოს რომელიმე ნასწავლი სიტყვა, მაგალითად, ***ჟოლო***. ბოლოს მოსწავლე არკვევს, სტრიქონში (ან წინადადებაში) მერამდენეა ეს სიტყვა (***ჟოლო).***
3. მითითებულ სტრიქონში ან წინადადებაში მოძებნოს ყველა ნასწავლი სიტყვა. მთელ აბზაცშიც შეიძლება ყველა ნასწავლი სიტყვის მოძებნა, განსაკუთრებით მაღალი მზაობის მოსწავლის გამოძახებისას.
4. მასწავლებელი საჩვენებელი ჯოხით შემოხაზავს ერთ-ერთ ნასწავლ სიტყვას და რომელიმე მოსწავლეს ეკითხება, თუ რომელი სიტყვაა ეს. შემდეგ მასწავლებელი შემოხაზავს სხვა ნასწავლ სიტყვას და სხვა მოსწავლეს ეკითხება, თუ რომელი სიტყვაა და ასე შემდეგ.

- ამ ტიპის აქტივობების დროს მოსწავლე ადარებს თვალსაჩინოების (სურათების) ქვეშ მიწერილ სიტყვებს, ან ისე, ზეპირად ცნობს, როგორც ურჩევნია.

შენიშვნა: მასწავლებლის ტექსტში მონიშნულია საყრდები სიტყვები.

ბაბი და ბუბი უცნაურობათა წრეში

I

ბაბი და ბუბი ქალაქის განაპირას, ახალ სკვერში კოტრიალებდნენ, ბუქნაობდნენ და ადამიანებს ართობდნენ. ბავშვები კისკისებდნენ, ფისო და ცუგა ცელქობდნენ. ბავშვებს ჩირი და თონის პური წამოეღოთ და ძელსკამზე ედოთ. ბრანგვებს ჩირი ძალიან მოეწონათ.

– ჩვენ კი ტყიდან ჟოლოს მოგიტანთ! – დაჰპირდნენ ისინი ბავშვებს.

– ვაშაააა, ჟოლო ძალიან გვიყვარს! – გაუხარდათ ბავშვებს.

მერე ბრანგვები შინ, ტყისკენ გაბრუნდნენ. უცებ შორს დიდი მთა დაინახეს. რუხ კლდეებზე ოთხი წაბლისფერი ჯიხვი კუნტრუშებდა.

ბუბი, მამამ თქვა, რომ იმ მთაზე ბევრი ჟოლოა. მოდი, ხვალ ბავშვებსაც დავუკრიფოთ! – უთხრა ბაბიმ ძმას.

II

მეორე დღეს ბრანგვები მთაზე ავიდნენ და დიდი მწვანე მინდორი დაინახეს. მინდორზე ლოდებით შემოღობილი დიდი წრე იყო.

– რა უცნაურია ეს ღობე! – გაუკვირდათ ბრანგვებს, – ნეტა შიგნით რა არის?!

წრის შესასვლელთან ორი ოქროსფერი ძნა იდგა. ბაბი და ბუბი წრეში შევიდნენ. იქ წითელ-ყვითელი ყვავილები ხარობდა. მათ უამრავი ვერცხლისფერი პეპელა დაჰფარფატებდა. პეპლების ფრთების ფარფატით ჰაერი რომ შეირხეოდა, სიო აჩურჩულდებოდა.

ბრანგვებმა გზა განაგრძეს. გზად დახუნძლული ბუჩქი დაინახეს. ბუჩქს მწიფე ჟოლო ესხა. იქვე სამი ხე იდგა. ერთს მწიფე თუთა ესხა, მეორეს– მკვახე ნუში, მესამეს – მკვახე ლელვი.

ბრანგვებს გაუხარდათ და პირი ჩაიტკბარუნეს. ბაბის სულ მოეთხუპნა ყბა და სახე, ბუბის კი – ორივე თათი. ბაბიმ და ბუბიმ გზა განაგრძეს.

III

წრის შუაგულში ცამდე აწოწილი ალისფერი მუხა იდგა, წითელი რკო ესხა. მუხის რტოზე ვარდისფერი შოშია გალობდა. ისეთი უცნაური ხმა ჰქონდა, ბრანგვებს შეეშინდათ. მუხის გარშემო ხუთი თეთრი ჟირაფი დაბაჯბაჯებდა, რკოებს ჭამდნენ. მუხის ძირში კი, კუნძზე, ჰოი, საოცრებავ – ლურჯი ჯუჯა იჯდა, შინდისფერი ჩოხა ეცვა. გვერდით, მეორე კუნძზე, ნივთები ეწყო: გამჭვირვალე ქვა, უისრებო საათი, ხის უთო, რაღაც სია და რვა სქელი წიგნი. რვავე წიგნს იისფერი ყდა ჰქონდა. უთოს ალი ასდიოდა. მაგრამ არ იწვებოდა. ქვა კი ისე ანათებდა, ბაბიმ და ბუბიმ თვალები მოჭუტეს. ჯუჯის გვერდით ცისფერთმიანი თოჯინა იჯდა და ბრანგვებს თვალებს უპაჭუნებდა. ჯუჯას ხელში თიხის თასი ეკავა და რაღაცას ბურტყუნებდა.

IV

ბაბი და ბუბი მოსულან! – ისე თქვა ჯუჯამ, რომ ბრანგვებისთვის არც შეუხედავს. ბაბიმ და ბუბიმ ერთმანეთს გაოცებით შეხედეს. თოჯინამ გადაიკისკისა.

– ჩვენი სახელი საიდან იცით? – გაუკვირდათ ბრანგვებს.

– ჩვენ ყველაფერი ვიცით! – დაიწრიპინა თოჯინამ, – ისიც ვიცით, ამ მთაზე რისთვის ამოხვედით – ბავშვებისთვის ჟოლო რომ დაკრიფოთ!

ბრანგვებს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდათ. თოჯინამ ისევ გადაიკისკისა.

უცებ ჯუჯამ თავი ასწია, ბრანგვებს შეხედა და ხმამაღლა უთხრა:

– მიყვარს, როცა სხვებზე ზრუნავენ! თქვენ კარგი ბრანგვები ხართ, რომ მეგობრებზე ზრუნავთ. რამდენიც გინდათ, იმდენი ჟოლო დაკრიფეთ და ბავშვებს წაუღეთ!

გაოცებული და გახარებული ბრანგვები ჯუჯასა და თოჯინას დაემშვიდობნენ და უკან გამობრუნდნენ. გზად ბევრი ჟოლო დაკრიფეს ბავშვებისთვის და სულ კუნტრუშით დაეშვნენ მთიდან

V

– ბაბი! – თქვა უცებ ბუბიმ, – მოდი, ბავშვებს ვუამბოთ ეს ამბავი!

– მგონი არ დაიჯერებენ, ჩვენი გამოგონილი ზღაპარი ეგონებათ! – თქვა ბაბიმ.

– მერე რა, ეგონოთ, ბავშვებს უყვართ ზღაპრები! – გაიცინა ბუბიმ, – სამაგიეროდ, კარგად გაერთობიან!

– ისე, მეც არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი ცხადში ვნახეთ, და არა სიზმარში! –დარცხვენით თქვა ბაბიმ!

– მგონი, თუთით და ჟოლოთი რომ გავიტიკეთ, ჩაგვეძინა და ეს ყველაფერი მაშინ დაგვესიზმრა.

– მერე რა! მთავარია, რომ ბავშვებს დანაპირებს შევუსრულებთ და ჟოლოს მივუტანთ!

ბრანგვებმა გაიცინეს და ჟოლოთი სავსე კალათით სულ კუნტრუშით დაეშვნენ მთიდან.



1840-1912

იაკობ გოგებაშვილი — ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „დედაენის“ ავტორი.

„... გადგიშლი წიგნსა პატარას,

მეც მოგიჯდები გვერდსაო,

გასწავლი წერა-კითხვასა,

არაკებს გეტყვი ბევრსაო...

გიმღერ და შენცა გამღერებ,

ლექსებს გასწავლი ძველსაო.“

9 789941 889042

26.01.1.0.1